



სამჭრთა ხელოვნება

ГОБЕЎГРОЕ
ՄԿՐՄԳԳՒԾՈ

SOVIET
ART

SOWJETKUNST

ART
SOVIETIQUE

12

1971

საგჭოთა სელოვნება



შარნალი გამომცემი 1921 წლიდან

თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ქორეოგრაფია

12

საპარტველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ლიტერატურულ-მხატვრული, მეცნიერულ-თეორიული ყოველთვიური შარნალი

1971



ზ. ფალიაშვილის ძეგლის გახსნა. ტრიბუნაზე სიტყვას ამბობს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შოთა ბუბრაშვილი.

ზაქარია ფალიაშვილის დაბადების ასი წლისთავი

დიდი კომპოზიტორის ძეგლის გახსნა თბილისში

1933 წლის 10 ოქტომბერს ღრმად დამწუხრებულმა ქართველმა ხალხმა სამუდამო ადგილსამყოფელში მიაცილა ქართული პროფესიული მუსიკის თავკაცი, 62 წლის ზაქარია ფალიაშვილი. დიდი კომპოზიტორის ნეშტი მისი სიყრმის მეგობრისა და მუსაიდუმლის, განუმეორებელი აბესალომისა და მალხაზის — ლეგენდარული ვანო სარაჯიშვილის გვერდით დაკრძალეს თბილისის საოპერო თეატრის ბაღში.

უნებურად ვისვენებთ ვანოს უდროო სიკვდილით დამგლოვიარებული ზაქარიას მღვლეარე სიტყვებს: „აღარა გყავს ვანო სარაჯიშვილი! მოკვდა დიდი ხელოვანი, დიდი

მომღერალი და იშვიათი კეთილი გულის მქონე ადამიანი. უაობლდა და ბურჯი შეერყა ახლად ფეხადგმულ ქართულ ეროვნულ ოპერასაც. დავკარგეთ ის ადამიანი, რომელმაც თავისი არაჩვეულებრივი, ბუნებრივი ბრწყინვალე ნიჭით მთელი ეპოქა შექმნა ეროვნული სიმღერების დარგში. ის იყო იმ ბედნიერ მიზნუთაგანი, რომელმაც ჩვენში ასე მოულოდნელად, ერთბაშად თავი წამოაყოფინა იმისთანა

მ. ბერძენიშვილი
ზაქარია ფალიაშვილის ძეგლი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სკვერში. →



უმალეს და რთულ მუსიკალურ ფორმას ვოკალური ხელოვნებისას, როგორც არის ოპერა“.

დიდი კომპოზიტორის ეს სიტყვები თავად ზაქარიას პიროვნების დასახასიათებლადაც გამოდგება. მართლაც, სწორიუფობა ამ ორი დიდი ხელოვანის ღვაწლი ერთ-ერთი კულტურის წინაშე.

სწორედ ამიტომ ქართველმა ხალხმა ერთმანეთის გვერდით დაკრძალა ქართული მუსიკის ორი კორიფე. წმიდათაწმიდა საგანედ იქცა თბილისის ოპერის თეატრის ბაღი, რომელსაც 1919 წლის 21 თებერვლიდან, „აბესალომ და ეთერა“ ტრიუმფალური პრემიერის დღიდან, შეუწყვეტილ ეფინება დიდი ზაქარიას მუსიკის უკვდავი კანგები, დიდების შარავანდედი სამუდამოდ ადგას ზაქარიასა და ვანოს საფლავებს.

1971 წლის 13 ოქტომბერს ამ ბაღში დღიდან აქედრდა ნაწყვეტები ზ. ფალიაშვილის ოპერებიდან. 2 საათისათვის თავი მოიყარეს ჩვენი დედაქალაქის მშრომლებმა, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. აქ იყვნენ მინისტრები, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწენი, მომხრე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები.

ხალხმრავალი საზოგადოება მღელვარედ ელოდა ზაქარია ფალიაშვილის ძეგლის გახსნას. ტრიუმფზე ავიდნენ ამხანაგები მ. გოტიჩაიშვილი, თ. ლოლაშვილი, შ. კიკნაძე, ვ. მჭავანაძე, ნ. ცხაკაია, გ. ძოწენიძე, შ. ტანუკვაძე, გ. ჯავახიშვილი, მ. მტკრეველი, თ. მოსაშვილი, პ. პატიშვილი.

დიდი კომპოზიტორის მონუმენტის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დემუკრატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ბუხრაშვილმა.

„ზ. ფალიაშვილის სახელი, — თქვა ორატორმა, — მუდამ დიდების შარავანდედით იქნება მოსილი, რადგან კომპოზიტორის გენიალური მუსიკა ხალხის ესთეტიკური სიამოვნების დაუმრეტელი წყაროა. მან სახელი მოიხვეჭა არა მარტო როგორც უკვდავი ერთგული ოპერების შემ-

ქმნელმა, არამედ აგრეთვე როგორც შესანიშნავმა პედაგოგმა, დირიჟორმა, ერთგული მუსიკალური კადრება აღმზრდელმა, საზოგადო მოღვაწემ, ქართული ხალხური სიმღერების შემკრებმა და პოპულარიზატორმა.

კომპოზიტორის ეს ძველი აღიარება მისი დიდი დამსახურებისა ქართველი ხალხის წინაშე“.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი შ. მშველიძე, კამვოლ-მუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ლ. კობლიშვილი, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ს. ტულიაოვი, თბილისის კონსერვატორიის ასპირანტი მ. ჭოლოშვილი.

ტრიუმფზე ცნობილი ინდოელი ხელოვნებისმცოდნე ჩაიტანია დევა. მან თქვა: „ინდოელი მუსიკისმცოდნენი და კომპოზიტორები ნაკლებად ვიცნობთ ქართულ მუსიკას, მაგრამ ხალხურ თქმულებებში, ლეგენდებში საქართველოს სილამაზეზე ბევრია ნათქვამი. არც მე ვიცნობდი საქართველოს და მოწვევისათვის მასპინძლებს მადლობა მინდა მოვახსენო. ოპერა „აბესალომ და ეთერა“ გამაცნო ქართული პროფესიული მუსიკა, ახლა მივხვდი, თუ რატომ შეიმოძრა ასეთი სიხარულით ხალხი თავისი შეილის იუბილე. ინდოეთში რომ აღებრუნდები, აუცილებლად ვეცდები ავეწურო კოლეგებს საქართველოსა და ფალიაშვილის მუსიკის სილამაზე“.

საკვ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჭავანაძემ გაჭრა ლენტე. ძველ საბურველი ჩამოსხნეს, წარმოსდგა სავარძელში მჯდომარე ზ. ფალიაშვილის ბრინჯაოს ფიგურა. აქედრდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ პიონები. შემდეგ ვ. მჭავანაძემ და გ. ჯავახიშვილმა გვირგვინებით შეამკეს დიდი კომპოზიტორის ქანდაკება.

ზაქარია ფალიაშვილის ძეგლის ავტორია რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, მოქანდაკე მერბა ბერძინიშვილი, კვარცხლბეცისა — არქიტექტორი ა. ბაქრაძე.



საიუბილეო დღეაზი

ძარბაზი ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა ეროვნული პროფესიული მუსიკის ფუძემდებლის ზაპარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი. ამ დიდი თარიღის აღსანიშნავად ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარდა. საიუბილეო დღეებში ღვაწლმოსილი კომპოზიტორის ხსოვნის აღსანიშნავად ჩვენს დედაქალაქს ესტუმრნენ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო მუსიკოს-მოღვაწენი. მათ მხურვალედ გამოხატეს თავიანთი ღრმა პატივისცემა ქართული მუსიკის კორიფე — ზაპარია ფალიაშვილისადმი.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საზეიმო ვითარება სუფევდა. 12 და 13 ოქტომბერს თეატრმა გამართა „აბუსალიმ და ეთერისა“ და „დაისის“ საიუბილეო სპექტაკლები. 14 ოქტომბერს კი ჩატარდა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოსა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის გაერთიანებული პლენუმი.

სცენის სიღრმეში ქნარის ფონზე დიდი ზაპარიას პორტრეტი იყო გამოფენილი, იქვე დაფინს ტოტებ ქვეშ ციფრი 100 ელვარებდა. ჟღერდა ოპერა „დაისის“ შესავლის პანგები.

საიუბილეო პლენუმის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები — ვ. შატავაძე, გ. ჯავახიშვილი, გ. ძოწენიძე, მ. გოგიჩაიშვილი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. კუხარაძე, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი ტ. ხრენიკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ვ. ჩხიკვიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი თ. თაქთაქიშვილი, თბილისის მშრომელთა დებუტატების საქალაქო

საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი, ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

საიუბილეო პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ბალანჩივაძემ. მან თქვა: „ჩვენ შევიკრიბეთ, რათა პატივი ვცეთ საქართველოს მუსიკალური ხელოვნების უდიდეს წარმომადგენელს, ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ვისმა მოღვაწეობამაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ხალხის მუსიკალური კულტურის ისტორიაში.“

ზ. ფალიაშვილის ისტორიული როლი ის არის, რომ უმდიდრესი ხალხური შემოქმედების ორგანული განვითარებით მან შექმნა საკუთარი კლასიკური ეროვნული მუსიკალური სტილი, აზიარა ჩვენი მუსიკა კლასიკური მუსიკალურ კულტურის მაღალ ტრადიციებს. შექმნა ნაწარმოებები, რომლებიც სიღამაზითა და შინაარსით გაბედულად შევიძლია გვერდში დავუყენოთ საოპერო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს.

ზ. ფალიაშვილის ნოვატორული დამსახურება ის არის, რომ მის ქმნილებებში გამოვლინდა ხალხის უზარმაზარი მუსიკალური ნიჭი, მისი სულიერი სიღია და ძალა.

მან ერთ-ერთმა პირველმა სიყვარულით შეკრიბა ხალხური შემოქმედების მარგალიტები და, რაც უფრო დიდძალიმ ვნებოვანია, უდადესი მხატვრული გულისხმიერებით ჩააქსოვა იხინი თავისი ოპერების მუსიკაში.

„მე ვიყავი და მუდამ ვიქნები მომხრე, რომ სრულად დავიცვათ ხალხის წიაღში წარმოშობილი ქართული კოლორიტის სიმინდე, რადგან ეს არის ერთადერთი გზა, რომლითაც შეიძლება განვითარდეს და გაიფურჩქნოს ჩვენი მუსიკალური ხელოვნება“. რა აქტუალურად ჟღერს კომპოზიტორის ეს სიტყვები დღეს! ეს დებულება ხომ თა-



ზ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი

ნამედროვე ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების დიდ-
მნიშვნელოვანი, წარმმართველი თუხისია.

როგორც ნამდვილი კლასიკოსი, ზ. ფალიაშვილი თავის
შემოქმედებაში პარმონიულად ახამებს ეთიკურ და ესთე-
ტიკურ საწყისებს. მისი მუსიკა ერთნაირად მძინავდალია
პროფესიონალი მუსიკოსისა და ფართო მსმენელთა აუდი-
ტორიისათვის. ამ მხრივ ფალიაშვილი ქართველი მუსიკო-
სებისათვის სამაგალითოა, ოპერა „ახესლომ და ეთერი“
და „დაისი“ ქართული ხელოვნების მარგალიტებია. ზ. ფა-
ლიაშვილი ჩვენთვის სამაგალითოა, როგორც ხელოვანი-
პატრიოტი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილ-
ზე თავდადებით ემსახურებოდა ხალხს, სამშობლოს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
მდივანმა მ. გოგინაიშვილმა წაიკითხა საქართ-
ველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართვე-
ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბ-
ლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმება ვ. ფალიაშვილის და-
ბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის
კომპოზიტორთა კავშირისა და საქართველოს კომპოზი-
ტორთა კავშირის გამგეობის გავრთიანებული პლენუმი-
სადმა.

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის პირველმა
მდივანმა ტ. ხრენიკოვმა გააკეთა მოხსენება ზ. ფა-
ლიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. „ჩვენ
შევიკრიბეთ აქ — თქვა ორატორმა, — საბჭოთა საქართ-
ველოს უძველეს და მარად ახალგაზრდა დედაქალაქში,
რათა სახეიმი ვითარებაში აღვიშროთ შესანიშნავი კომ-
პოზიტორის, ქართული მუსიკის კლასიკოსის ზაქარია ფა-
ლიაშვილის დაბადების 100 წლისთავი. ეს იუბილე დიდი,
სასიხარულო დღესასწაულია არა მარტო ქართველი, არა-

მედ საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხისთვისაც. ზაქარია ფა-
ლიაშვილი აბლომელი და ძვირფასია მთელი ჩვენი ქვეყ-
ნის აღმზანებისათვის, რადგან მისი შემოქმედება შესა-
ნიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდება პროგრესუ-
ლი ეროვნული ხელოვნება ინტერნაციონალური და ზო-
გადაცობრიული.

ჩვენ ყველანი დიდად ვაფასებთ ამიერკავკასიის რეს-
პუბლიკების კლასიკოს კომპოზიტორთა შემოქმედებით
მოღვაწეობას. მე ვლაპარაკობ ახლა პაჯიბეკოვზე, კომი-
ტეასა და სპენდიაროვზე, რომლის 100 წლის იუბილეც
წელს აღინიშნება. ზ. ფალიაშვილი კომპოზიტორთა ამ
პლედის სახელოვანი წარმომადგენელია. მათ მტკიცე სა-
ფუძველი ჩაუყარეს სამ საბჭოთა საკომპოზიციო სკოლას.

როცა უკვდავი ქართული ოპერების „ახესლომ და ეთე-
რის“ და „დაისის“ ავტორზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მაშინვე
გვაგონდება მისი თანამედროვენი და თანამოღვაწენი. ესე-
ნი არიან: დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე,
ისინი ზ. ფალიაშვილიდან ერთად ქართულ მუსიკაში ამ-
კვიდრებდნენ ცხოვრებისეული სიმართლის მაღალ პრინცი-
პებს, ქმნიდნენ ეროვნული სულისკვეთების ხელოვნებას.
მაგრამ ზ. ფალიაშვილის დამსახურება განსაკუთრებით
დიდია. მართალი არიან ქართველი მუსიკოსმცოდნენი, რო-
ცა ამტკიცებენ, რომ სწორედ მან ჩააქოვა თავის შემოქმე-
დებაში ქართველი ხალხის უმნიშვნელოვანესი სულიერი
თვისებები და ამიტომ გახდა უდიდესი ეროვნული კომ-
პოზიტორი. სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ სიცოცხლეში, მას
„ქართულ გლივას“ უწოდებდნენ.

საიუბილეო პლენუმზე სიტყვით გამოვიდა უკრაინის
სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. კირე-
იკო. „ჩვენს ხალხებს, — თქვა მან, — საუკუნეთა მან-



საზემო საბუღალთო საღამო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

ძილზე მეგობრობისა და ურთიერთგაგების დიდი ტრადიციები აკავშირებთ. ჩვენში უყვართ და პატივს სცემენ ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ოპერა „დაისი“ ჯერ კიდევ ომამდელ წლებში დაიდგა კიევის ოპერის თეატრში“.

ზ. ფალიაშვილის შემოქმედების შესახებ პლენუმზე შთამბეჭდავი სიტყვებით გამოვიდნენ მოლდავეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ვ. ზაგორსკი. სომხეთის კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი ე. მირზოიანი, ესტონეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე მ. კაპე, უზბეკეთის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ა. ჯამბაროვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. მატავარიანი.

შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, მუსიკისმცოდნე ი. ნესტიევმა. ამადღევებული იყო ჩეხოსლოვაკელი სტუმრის პალენიჩევიცის განცხადება. მან თქვა: „თითოეული ჩეხისა და სლოვაკის წარმოდგენაში თქვენი ქვეყანა თავისი დიდებული მთებითა და უძველესი კულტურით მუდამ საიდუმლოებით მოცული და ზღაბრული საზღვარი იყო. როცა მე რამდენიმე წლის წინათ რადიოთი მოვისმინე თქვენი სიმღერები ვაუთა გუნდის შესრულებით, მოვიხიბლე ამ მუსიკის მშვენიერებით. არ მჯეროდა, რომ გულის, გრძნობებისა და ნებისყოფის ასეთი პოლიფონიის გადმოცემა შეეძლო ადამიანის ხმებს. გუშინ ჩვენ მოვისმინეთ ოპერა „აფსალომ და ეთერი“ და კვლავ აღტაცება გახვიყადეთ ზ. ფალიაშვილის მუსიკით. მისი წმინდა სიყვარულის პოემით, შესანიშნავი გუნდებით, რომლებიც დიდებულ სურათებს ქნა“.

შემდეგ საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული

საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ო. გორდელმა დიპლომები და სამკერდე ნიშნები გადასცა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ლაურეატებს — სსრკ სახალხო არტისტებს ზ. ანჯაფარიძესა და პ. ამირანაშვილს, საქართველოს სახალხო არტისტებს მ. ამირანაშვილს, ვ. ფალიაშვილსა და მ. მშველიძეს, პროფესორ ვ. დონაძეს.

პლენუმის დასასრულს აქედრდა ზ. ფალიაშვილის მუსიკა „აფსალომ და ეთერის“ მეორე მოქმედებიდან.

ცენტრალური საიურილყო ლინისძეობა ჩატარდა 14 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. ეს გახლდათ ზ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სსრკ-მა. პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები: მ. გოგიჩაიშვილი, შ. კვიციანიძე, ო. ლოლაშვილი, ნ. ცხაკაია, გ. ძოწენიძე, შ. ტანუყვაძე, გ. ჯავახიშვილი, რ. მებრეველი, თ. მოსაშვილი, ჯ. პატიაშვილი, ვ. კუხარკაძე, ტ. ზრენიკოვი, რესპუბლიკის თეატრალური მოღვაწენი და მრავალრიცხოვანი სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან და სახელმწიფოების ქვეყნებიდან.

საზეიმო სსრკ-მა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ზ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავის მომწუხარე რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარემ გ. ჯავახიშვილმა.

„დღეს, — თქვა მან, — საქართველოში დიდი სახალხო ზეიმი. მაღალიერ ქართველი ხალხი აღნიშნავს დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავს. ქართველ ხალხთან ერთად ჩვენი ეროვ-

ნული კულტურის ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ზეიმობს მრავალრიცხოვანი საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხი...

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებული სიფაქიზით გვიღებინ ერთა კულტურულ მემკვიდრეობას, სათუთად ინახავენ და ამრავლებენ მათ სულიერი შემოქმედების თვალსაჩინო ტრადიციებს. ეს არის საბჭოთა ხალხის ერთიანობის, მისი მონოლითობის დაუმრეტელი წყარო.

ახე იყო საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის საიუბილეო ზეიმების დღის... ასე იყო ქართველი ხალხის დიდი შვილების — გენიალური შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ მარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა საიუბილეო დღეებში. ასეა დღესაც — თვალაჩინო მამულიშვილის, დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის იუბილე ჩვენი ქვეყნის ყველა ერის კულტურის საყოველთაო ზეიმიანა.

შემდეგ ამხ. გ. ჯავახიშვილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის, მიერ ქართველი ხალხის სახელის გულკიანად მიესალმა ზ. ფალიაშვილის საიუბილეო ჩამოსულ სტუმრების მომხმ რესპუბლიკებიდან და უცხოეთიდან.

„ზაქარია ფალიაშვილი, — განაგრძობ ამხ. გ. ჯავახიშვილი, — იმ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ქორდაი; ბედნიერება სიცოცხლეშივე მოგაოფებინათ შრომითი ხალხის განსაკუთრებული სიყვარული და აღიარება. ზ. ფალიაშვილის შემოქმედება საქართველოს პროფესიონალ მუსიკის განვითარების ისტორიაა დღიან ჩასახვისა მის მხატვრულ სიმწიფემდე. ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება ქართული ერთგული მუსიკის მწვერვალია...“

მეტად მრავალფეროვანაა ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალური შემოქმედება. მაგრამ ჭეშმარიტი აღიარება მან მოიპოვა როგორც შესანიშნავი ქართული ოპერების შემქმნელმა. მართლაც, ფალიაშვილის შემოქმედებასთანა დაკავშირებული ქართული საოპერო ხელოვნების განვითარება და აჯგუფება. მისი საშემსრულებლო-ოპერული და სასცენო ხელოვნების ერთგული სახე და თავისებურებანი უწინარეს ყოვლიან ფალიაშვილის ამ ქმნილებათა საფუძველზე აღმოცენდა და განვითარდა. მის ოპერებთან ღრმად არის დაკავშირებული ქართული საოპერო ხელოვნების ოსტატთა მრავალი თაობა. და ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება.

ზ. ფალიაშვილის მუსიკა, მისი ოპერები, განსაკუთრებით „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ უაღრესად ეროვნულია. მაგრამ ამავე დროს შორს არის ეროვნული კარჩაკეტილობისაგან. ზ. ფალიაშვილის მუსიკალურ მემკვიდრეობას საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს, მას შესწევს ძალა მოხიბლის ყველა ეროვნების მამხიელი. სწორედ ეს გახლავთ ზაქარია ფალიაშვილის სიღაღდე, მისი ხელთუქმნილი ძეგლი.

ზაქარია ფალიაშვილმა დაამკვიდრა ეროვნული კლასიკური მუსიკალური ხელოვნება, თვითონვე გახდა ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. იგი იყო მუსიკოსთა იმ ახალი თაობის გულისხმობიერი აღმზრდელი, რომელიც მასთან ერთად საბჭოთა საქართველოში საძირკველს უყრიდა ახალი დროის სოციალისტურ ხელოვნებას, ეწეოდა და დღესაც ეწევა ქართული საბჭოთა მუსიკის ჭაბანს...

კომუნისტური პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ კონსულად დააფასა დიდი ქართველი კომპოზიტორის

მოღვაწეობა, მისი მუსიკალური მემკვიდრეობა, რომელიც დღის ხანია ქართული ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა. აი თუნდაც სულ მოკლე ხანში იუბილეოსათვის მხადების პერიოდში, გამოცა ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მონაჯრ-ფები, მისი რჩეული მუსიკალური ნაწარმოებების კრებულები. „დაისი“ კლავირი, „აბესალომ და ეთერი“ პარტიტურა, მისი უკვდავი მუსიკა ჩაწერილია გრამფირფიტებზე და სხვ.

დღეს მადლიერი ქართველი ხალხი განახლებულ ქართულ მიწაზე ხარკს უხდის თავის გამორჩეულ მამულიშვილს და დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავს მის იუბილეს... საიუბილეო ზეიმი სულ რამდენიმე დღის შემდეგ გადაინაცვლებს მოსკოვში, სადაც დედაქალაქის მზოგადობრობა პატივს სცემს ფალიაშვილის ხსოვნას, მი-სი უკვდავი ოპერები აფლერდება სსრ კავშირის აკადემიური დიდი თეატრის სცენაზე“.

საზეიმო სხდომაზე ზ. ფალიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა საქართველოს სარ კულტურის მინისტრმა ო. თაქათაქიშვილმა. მან საფუძვლიანად გააშუქა დიდი კომპოზიტორის მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობა, დაწვრილობა ილაპარაკა ზ. ფალიაშვილის დეაწულებ, მის საყოველთაო და ღირსეულ აღიარებაზე.

„ზ. ფალიაშვილის მუსიკა, — თქვა ორატორმა, — სამბოთა ხალხის სიამაყე. ხალხის სულიერი აღორძინების, მისი ეროვნული თვითგანვითარების ზრდის მძლავრმა ძალამ ზაქარია ფალიაშვილი მსოფლიო ხელოვნების მწვერვალებზე აიტაცა.“

ზ. ფალიაშვილი, ისევე როგორც ყველა დიდი ხელოვანი, თანამედროვეობის პრობლემების მხატვრული განხანგრებისათვის გაბედულად გარდაქმნიდა ტრადიციულ მემკვიდრეობას.

ზაქარია ფალიაშვილს უწოდებენ ქართული საოპერო კლასიკის ფუძემდებელს, მაგრამ მან თავისი საოპერო შემოქმედებით დასაბამი მისცა ქართული მუსიკის სხვა განვითარების განვითარებასაც... ზ. ფალიაშვილის უკვდავი მუსიკა, ხალხის სიყვარულით გაიციკროვნებული, ხალხსავე უნათებს გზას...“

საიუბილეო სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მთადგულე ვ. კუხარასკი, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი ტ. ხრეციკოვი.

აღფრთხილებული სიტყვა წარმოთქვა ფრანგული მუსიკალური კულტურის მისწინებლმა მოღვაწემ, აკადემიკოსმა ჟ. ორტიკმა. მან თქვა: „მე პირველად ვარ საქართველოში და თანვე შესაძლებლობა მომეცა თავყვანი შეცა დიდი კომპოზიტორის სხვისათვის, შემეგრძნო ზაქარია ფალიაშვილის მთელი სიღაღდე. მისი შემოქმედების წყარო თქვენი შესანიშნავი, გასათყარი ფორმისა და პოლიფონიის ხალხური მუსიკა.“

მუსიკა მაშინ არის დიდი, როცა თავისი ფესვებით დაკავშირებულია ხალხურ ფოლკლორთან. ეს არის ფალიაშვილის შემოქმედების დიდი ძალა. და ეს ზრწყინავლე მავალითა ახალგაზრდობისათვის...“

უკრანული ხალხის სახელით მომხმე მადლიერებით მივსალმა უკრანის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ომინჩენი, ბელორუსიდან მხურავლე მისალმება ჩამოიტანა მისი სხელმწიფო კონსერვატორ-



სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოსა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის გაერთიანებული სხდომა.

რიის რექტორმა ვ. ოლოვნიკოვმა. აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის ურდევ მეგობრობაზე, ზ. ფალიაშვილის შემოქმედების დიდ აღიარებაზე ილაპარაკა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ნი აზიმ მანთქეა: „აზერბაიჯანში უყვართ ზ. ფალიაშვილი, ეს სიყვარული გვიანდერმა უზერი ჰაჯიბეკოვმა, რომელსაც დიდი მეგობრობა ჰქონდა ზაქარია ფალიაშვილთან. ამ მეგობრობას საფუძვლად ედო ორი დიდი ხელოვანის, დიდი საზოგადო-მოდგაწის საერთო მიზნები, საერთო მისწრაფება“.

შემდეგ ნიაზიმ წაიკითხა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება ქართველი ხალხისადმი ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო.

საუნიონო სხდომაზე მღელვარე სიტყვებით გამოვიდნენ უზბეკეთის კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი ა. ჯაბაროვი, ყაზახეთის სსრ კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი ე. სახმადიევი, ლიტვის სახალხო არტისტი კ. კვეცკარი, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუსწავლებლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ლოზარი,

ლიტვის სსრ კულტურის მინისტრი ვ. კაუპუევი, ტაჯიკეთის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე შ. საიფიდიხოვი, თურქმენეთის სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ს. ყულბანკლიჩევი, სომხეთის კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი ე. მირზოიანი, ესტონეთის სსრ სახალხო არტისტი ბ. კირვერი. ბულგარელი ხალხის სახელით გამოვიდა ბულგარეთის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი ხრიხტოვი.

მისასალმებელი დებუებები გამოგზავნეს გამოჩენილმა საბჭოთა მოღვაწეებმა დ. შოტაკოვიჩმა, ა. სვეშნიკოვმა, ნ. ტიხოვოვმა, ი. ფლიერმა და სხვებმა.

დასასრულ, საუბრილო სხდომის მონაწილეთათვის გამართა დიდი საუნიონო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული ნუსიკალური ხელოვნების წამყვანი ძალები, — შემოქმედებითი კოლექტივები და შემსრულებლები. კონცერტს დირიჟორობდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამასწავლებელი მოღვაწე ზ. ხუროძე, რეჟისორები იყვნენ გ. ჯორდანია და ჯ. ანჯაფარიძე.



ლ. მხეიძე

ზაქარია ფალიაშვილის ძეგლი ქუთაისში.



მშობლიურ ძალაში

მშობლიურში — საქართველოს ამ ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ, დიდი მუსიკალურ-თეატრალური ტრადიციების ქალაქში, დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ქართული მუსიკის კლასიკოსმა ზაქარია ფალიაშვილმა. დიდი კომპოზიტორის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალის შენობის წინ 15 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ღვაწლმოსილი კომპოზიტორის ძეგლი.

საზეიმო მიტინგს ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხიკვიანი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქაიშვილი. აქ იყვნენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუმრები. საზეიმო მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ბოჭორიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ ო. თაქაი-

შვილი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი დ. ბრეგვაძე, ჩეხი კომპოზიტორი ლ. ქელეზნი, ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მუშა ო. დვალისვილი, რსფსრ სახალხო არტიტი ს. ტულიკოვი, კუბელი კომპოზიტორი ო. ურფე, მოსკოველი კომპოზიტორი ა. ეშპაი.

ზ. ფალიაშვილის ძეგლის ავტორია ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი, მოქანდაკე ლ. მზეიძე, არქიტექტორი — საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი გ. თოდაძე.

იმ დღეს ქუთაისელებმა კიდევ ერთი შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს — რიონის სანაპიროზე, ქართველ კათოლიკეთა ყოფილ ეკლესიაში, სადაც მოღვაწეობდა ზაქარიას მამა, ამ ეკლესიის მნათე, პეტრე ფალიაშვილი და სადაც გალობდა პატარა ზაქარია, გაიხსნა კამერული და საორღანო მუსიკის საკონცერტო დარბაზი.

ამ რესტავირებულ შენობაში დაიდგა და გაიმართა ორღანო, მოეწყო სცენა, მსმენელთა დარბაზი. იმავე დღეს აქ ჩატარდა საზეიმო კონცერტი, რომელზედაც დიდი ზაქარიას ჰანგები ახმოვანდა.

ახალი საკონცერტო დარბაზი ახალ პერსპექტივებს უსახავს ქუთაისის მუსიკისმოყვარულებს. ამიერიდან აქ სისტემატურად მოეწყობა კამერული და საორღანო მუსიკის კონცერტები, ლექცია-შეხვედრები და სხვა მხატვრული ღონისძიებები.

ახალი დარბაზის მშენებლობას ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი პ. თუმანიშვილი, ხლო ორღანოს მონტაჟსა და აწყობაზე დიდი სამსახური გასწია მუსიკოსმა თ. რონიშვილმა.

იმავე დღეს ზეიმი გაიმართა გელათში — უძველესი ქართული აკადემიის კერაში. ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე წარსდგნენ ქუთაისის საოპერო თეატრის სოლისტები, რესპუბლიკის საშემსრულებლო კოლექტივები.

სალამოს კი ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე აედგრა ზ. ფალიაშვილის „დაისი“. სპექტაკლში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტიტი გ. დოლიძე (მარო), მ. ნიჭაბაძე (ნანო), ა. გოგოლაშვილი (მალხაზი), ა. ფხაკაძე (კიაზო), თ. ქუთათელაძე (ცანგალა). სპექტაკლს ღირიერობდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. კობახიძე.

ფალიაშვილის პრემიის

პირველი ლაურეატები

დიდი კომპოზიტორის დაბადების 100 წლისთავის გამო საქართველოს მუსიკალურმა და ქორეოგრაფიულმა საზოგადოებამ დააწესა ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემია, ეს მაღალი ჯილდო 2 წელიწადში ერთხელ გადაეცემათ ქართული მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებს — კომპოზიტორებს, შემსრულებლებს, მუსიკის-სტოდენტებს.

მიმდინარე წელს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატები გახდნენ საკონცერტო-საშემსრულებლო საკმეიანობის დარგში — სსრ კავშირის სახალხო არტისტები, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტები ზურაბ ანჯაფარიძე, პეტრე ამირანაშვილი და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მედეა ამირანაშვილი. მათ ეს საპატიო წოდება მიენიჭათ ქართული მუსიკის პროზაგანდისა და ზ. ფალიაშვილის ოპერებში მაღალმხატვრული მუსიკალურ-სცენური სახეების შექმნისათვის.

დიდი კომპოზიტორის შემოქმედებითი მემკვიდრეობის

შესწავლისა და პროპაგანდისათვის, კინოში და გრამფირ-ფიტებზე ოპერების „აბესალომ და ეთერისა“ და „დიდისა“ ჩაწერისათვის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია გადაეცა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ დირიჟორს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტ ვახტანგ ფალიაშვილს.

მუსიკალურ ნაწარმოებთა შექმნის დარგში ზ. ფალიაშვილის პრემია მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტ, ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს, გამორჩენილ კომპოზიტორ შალვა მშველიძეს. მას ეს პრემია მიენიჭა ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარებაში დიდი ღვაწლისა და ამ ბოლო წლებში შექმნილი თვალსაჩინო ნაწარმოებებისათვის.

მუსიკის თეორიისა და ისტორიის საკითხებზე ნაშრომების დარგში ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემია მიენიჭა სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ ვლადიმერ დონაძეს ფუნდამენტალური მონოგრაფიისათვის „ზაქარია ფალიაშვილი“.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატე ბი. მარცხნიდან მარჯვნივ: ზ. ანჯაფარიძე, ა. ამირანაშვილი, ვლ. დონაძე, შ. მშველიძე, მ. ამირანაშვილი, ვ. ფალიაშვილი.





ზ. ფალიაშვილის სახელობის ვოკალისტთა პირველი რესპუბლიკური კონკურსის დასკვნითი საღამოს პრეზიდენტი.

ზაპარინა ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი

ვოკალისტთა რესპუბლიკური კონკურსი

მიმდინარე წლის ოქტომბერში ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდა დიდი კომპოზიტორისადმი მიძღვნილი ვოკალისტთა I რესპუბლიკური კონკურსი. ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელეს საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიულმა საზოგადოებამ და ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ვოკალისტთა კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში იყვნენ — ს. ცინცაძე (თავმჯდომარე), ვ. ზმალაძე (მოადგილე), ი. კეჭემაძე (მოადგილე), დ. ანდლულაძე, ზ. ანჯაფარიძე, ო. გორდელი, ე. დავლიანიძე, თ. ერისთავი, ნ. ლალიაშვილი, გ. ლორთქიფანიძე, დ. მჭედლიძე, ს. ნასიძე, ი. ურუშაძე, ვ. ფალიაშვილი, ი. ფალიაშვილი, შ. ქუთათე-



ლაძე, ნ. ჩიქოვანი, ე. ძიძაძე, ნ. ჯაფარიძე, ა. ჯორჯია-
შვილი, ი. ათანელიძე (საორგანიზაციო კომიტეტის პასუ-
ხისმგებელი მდივანი).

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შემუშავებულ იქნა
კონკურსში მონაწილეობის პირობები: კონკურსზე წარსდ-
გნენ არანაკლებ 20 და არაუმეტეს 35 წლის ასაკის მომ-
ღერლები. ეიურის შემადგენლობაში შევიდნენ ჩვენი რეს-
პუბლიკის ავტორიტეტული მუსიკოსები, გამოჩენილი მომ-
ღერლები. კონკურსში საოპერო და საკონცერტო რეპერ-
ტუარით მონაწილეობდნენ მომღერალი ქალები და ვაჭები.

მეორე ტურში გავიდნენ ის კონკურსანტები, რომლებ-
მაც პირველი ტურის შემდეგ მოაგროვეს არანაკლებ 18
ბალისა 25-ბალიანი შეფასებითი სისტემის მიხედვით.

მესამე ტურზე წარსდგა 10 ვოკალისტი — 5 ქალი და
5 ვაჭი, რომლებმაც მეორე ტურის შემდეგ ბალების მეტი
რაოდენობა მიიღეს.

მესამე ტურის შემდეგ ცნობილი გახდა ლაურეატებისა
და დიპლომანტების სახელები. კონკურსზე ყველა ნაწარ-
მოები შესრულდა იმ ენაზე, რომელზედაც დაწერილია ნა-
წარმოები. არიები ოპერებიდან შესრულდა ორიგინალურ
ტონალობაში. რომანსების ტრანსპორტი დასაშვები იყო.
თუ რომანსი დაწერილია გარკვეული ხმისათვის, მაშინ მისა
ტრანსპორტირება არ იყო დასაშვები.

დაწესებული იყო სამ-სამი პრემია და ორ-ორი დიპლო-
მი ქალებისა და ვაჭებისათვის.

I პრემიის მფლობელისათვის განკუთვნილი იყო 600
მანეთი და ლაურეატის წოდება, II პრემიისათვის — 400
მანეთი და ლაურეატის წოდება, III პრემიისათვის — 300
მანეთი და ლაურეატის წოდება. დიპლომანტებისათვის და-
წესებული იყო ფულადი პრემია — 100 მანეთი.

კონკურსის ეიურის შემადგენლობაში იყვნენ: ს. ცინცა-
ძე (თავმჯდომარე), დ. ანდლუაძე, ზ. ანჯაფარიძე, ვ. და-
ვიდოვა, ი. კეჭეყმაძე, დ. მჭედლიძე, ს. ნასიძე, ვ. ფალია-
შვილი, ვ. ხმალაძე, ნ. ჯაფარიძე, ლ. გოგლიჩიძე (პასუ-
ხისმგებელი მდივანი).

ზ. ფალიაშვილის სახელობის ვოკალისტთა I რესპუბ-
ლიკურ კონკურსში მონაწილეობდა 24 ვოკალისტი.

ვაჭთა შორის I პრემია მიენიჭა თბილისის კონ-
სერვატორიის კურსდამთავრებულს ელ დარ გეწაძეს

სურათზე ზემოდან:

მზია კობალა,
ჯემალ მდივანი,
ელზა გარსევანიშვილი.

(პროფ. დ. ანდლუაძის კლასი) და კონსერვატორიის სტუდენტს ჯემალ მდივანს (დ. მჭედლიძის კლასი). ამ ორი ნიჭიერი ბარიტონს მანამდე უსახელებია თავი. მათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა საიუბილეო კონკურსში I ხარისხის დიპლომი და ლაურეატის წოდება დაიმსახურეს.

კონკურსანტ ვაჟებს შორის II პრემია არავის არ ერგო. III პრემია მიენიჭა თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულ თენგიზ ჯანგაჯაძეს (დოც. მ. გაბუნიას კლასი).

ქალთა შორის I პრემია დაიმსახურა თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულმა მზია ქობალაძემ (ჯერ დოც. ნ. ცერცვაძის, ხოლო შემდეგ — ზ. ანჯაფარიძის კლასი). ამ ნიჭიერი მომღერალს ჯერ კიდევ 1969 წელს ერევანში გამართულ ამიერკავკასიის ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსში მიენიჭა I ხარისხის დიპლომი და ლაურეატის წოდება.

II პრემია მიენიჭა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს ელენორა ჩარაშვილს (დოც. გ. ქართველიშვილის კლასი).

III პრემია დაიმსახურა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტმა ელზა გარსევანიშვილმა (დოც. ნ. ხარაძის კლასი).

კონკურსის საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ ქუთაისის საოპერო თეატრის სოლისტი ბადურ ყიფიანი, თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი ავთანდილ ჯავახიშვილი, თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული გელა ქოქიბაშვილი, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტი ლიანა კალმახელიძე.

9 ოქტომბერს ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში საზეიმო ვითარებაში შედგა ზ. ფალიაშვილის სახელობის ვოკალისტთა I რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატების დაჯილდოება. დასასრულ, ლაურეატთა მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.



სურათზე ზემოდან:
ელდარ გევაძე.
ელენორა ჩარაშვილი.
თენგიზ ჯანგაჯაძე.

ზამარია ფალიაშვილის

დაბადების 100 წლისთავი

სასაღსო ზეიმი

ბორჯომის სოფელი

ნელი ჩაჩავა

„ბორჯომი ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა, რომელიც ოდესმე მინახავს. ჩემი აზრით, იგი მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ღვთაებრივი და საუცხოო ადგილია“ — წერდა ბორჯომის ხეობით აღტაცებული დიდი კომპოზიტორი პ. ი. ჩაიკოვსკი. მართლაც, ვინ არ დამტკბარა საქართველოს ამ მაღლიანი მხარის წარმტაცი ბუნებით, მისი ზღაპრული სილამაზით. ი. ტაჭაჯაძე, ი. გოგებაშვილი, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ძმები ფალიაშვილები, ვ. სარაჯიშვილი, ს. ინაშვილი, დ. არაყიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ა. ახმეტელი, ე. მიქელაძე, ვ. გუნია, ვ. აბაშიძე, ე. ჩერქეზიშვილი, კ. გამასხურდია, გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები აქ კხოვებდნენ შთაფენების წყაროს, მხურვალედ განიცდიდნენ ბორჯომის ხეობის მშვენიერებას.

ბორჯომ-პარკში გამართული სიმფონიური კონცერტები დატვირთვით მოგონებად იქცა ვერ კიდევ 20-იანი წლების დამდეგს. მაშინ სრულიად ახალგაზრდა ქართულ სიმფონიურ ორკესტრს დიდი დირიჟორი ვანო ფალიაშვილი ხელმძღვანელობდა. აქ სრულდებოდა კლასიკური მუსიკის თვალსაჩინო ნაწარმოებები, არაერთხელ ამზოვანებულა ნაწვევებზე დიდი ზაქარია ოპერებიდან „აბუალომ და ეთერი“ და „დაისი“. ეს ტრადიცია მომდევნო თაობის მუსიკოსებამაც განაგრძეს. ამიტომაც ყველა სიხარულმა მოიყვია, როცა ბორჯომში ზ. ფალიაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად დიდი კომპოზიტორის ძეგლი დაიდგა.

იმ დღეს განსაკუთრებული განწყობილება სუფევდა, ღელავდნენ ბორჯომის ხეობის მცხოვრებლები — დიდი თუ პატარა მტკვრის მარცხენა სანაპიროსკენ მიიჩქაროდა, სასოებით ელოდნენ უკვდავი კომპოზიტორის ძეგლის გახსნას. დღის 2 საათზე ზ. ფალიაშვილის სახელობის ბაღში უამრავა ხალხმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ თბილისიდან, ბორჯომის მახლობელი რაიონებიდან და ჩვენს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრებიც, ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, მეცნიერები, ჟურნალისტები, ზ. ფალიაშვილის ახლობლები, მოსწავლე-ახალგაზრდობა. საზეიმო ვითარებაში დაიწყო ქართული მუსიკის კლასიკოსის ზაქარია ფალიაშვილის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მითინგი.

მითინგი გახსნა ბორჯომის რაიონის პირველმა მდივანმა ბ. კუხიანიძემ. მან დამსწრე საზოგადოებას აუწყა, რომ ბორჯომელებმა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გაშენებულ ბაღს ქართული მუსიკის ამაგდარის ზაქარია ფალიაშვილის სახელი უწოდეს და დიდი კომპოზიტორისადმი თაყვანისცემა და სიყვარული ამ ბაღში მისი ძეგლის დადგმით გამოხატეს.

ბორჯომის მუსიკალური საზოგადოების სახელით სტუმრებს მიესალმა ბორჯომის მუსიკალური სკოლისა და სასწავლებლის დირექტორი კ. კალმახიძე.


საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა თ. თაქაი-

შვილმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომელიც ზაქარია ფალიაშვილის საიუბილეოდ განხორციელდება ჩვენს რესპუბლიკასა და მის ფარგლებს გარეთაც.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. მჭედლიძემ ამ დიდი საჩუქრისათვის მხურვალე მადლობა გამოუცხადა ბორჯომელ მშრომელებს. მღელვარე სიტყვები წარმოიტყვეს ჟურნალ „საბოთა ხელოვნების“ მთავარმა რედაქტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. კვაძემ, ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორმა ვ. ჩინჩალაძემ, ბორჯომელმა პედაგოგმა მ. გოგრიტიანიმა, საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანმა ი. გორდელაძემ, მოსწავლე გოგონამ მ. ივერიამ.

შემდეგ ზ. ფალიაშვილის ძმამ, საქართველოს სახალხო არტისტმა, პროფ. ლევან ფალიაშვილმა და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა თ. თაქაიშვილმა საბურველი მოხსნეს ძეგლს. დამსწრე საზოგადოების წინაშე წარმოხდა ბრინჯაოს გამოკვეთილი დიდი კომპოზიტორის მჯდომარე ფიგურა. ზ. ფალიაშვილის ძეგლის ავტორი გახლავთ რესპუბლიკის დანასხურებული მხატვარი, მოქანდაკე თინათინ ღვინიაშვილი. ზუსტად ამ ორი ათეული წლის წინ, 1951 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში დაიდგა აკად. ივანე ჯავახიშვილის მისივე ქანდაკე-

თ. ლვინიაშვილი
ზაქარია ფალიაშვილის
ძეგლი ბორჯომში.



ბა. თ. ლვინიაშვილს კუთვნიან აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი გორში და ი. ჭავჭავაძისა — ყვარელში.

ზ. ფალიაშვილის ძეგლის კვარცხლბეკის არქიტექტორია კ. ნახუცრიშვილი. ძეგლი რუსთავის მხატვრულ-საჩანაწერო-სააქტორო ჩამოსახსნა საქართველოს კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა ს. ხადურმა. ქანდაკების სიმალლე ორნამენტული მეტრია.

იმავლე საღამოს თბილისის საოპერო თეატრის ძალებს მონაწილეობით ბორჯომის საზოგადოებრივი თეატრში აქლერდა

ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. ბორჯომელების წინაშე წარსდგინე ნიჭიერი მომღერლები: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მედეა ამირანაშვილი (მარო), ნუგზარ გელაშვილი (მალხაზი), თენგიზ ზეინკლიშვილი (კიაზო) და სხვები. ბორჯომელ მაყურებელს განსაკუთრებით ეამაყებოდა ნ. გელაშვილისა და თ. ზეინკლიშვილის წარმატება, თუნდაც იმიტომ, რომ ორივე ბორჯომში აღიზარდა.

საქეცაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ბორჯომელებს დიდხანს ემასხვრებათ ეს ღირსშესანიშნავი დღე.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა

კავშირის სემლინუმოს წერილი ქერნალ

„საგჭოთა ხელოვნების“

რედაქციას

ქერნალ „საგჭოთა ხელოვნების“ გასული წლის მე-12 ნომერში დაიბეჭდა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტ გიორგი ხარატიშვილის წერილი „შეინფინები ქართული კინოს ისტორიის საკითხებზე“. გ. ხარატიშვილი სხვა ავტორთა შრომების გვერდით განიხილავდა კინომცოდნე კორა წერეთლის ნაშრომებში დამსჯებულ ფაქტობრივ და პრინციპული ხასიათის შეცდომებს.

აღნიშნულმა წერილმა საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია და ცხარე კამათი გარაღდა გასული „ლიტერატურული საქართველო“ ფურცლებზე, სადაც ა. წ. 5 თებერვალს, № 6 გამოქვეყნდა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატოლ და თაბუკაშვილის „ერთი უმართებულო წერილის ირგვლივ“, რომელშიც იგი აშართლებდა კ. წერეთელს და ამტყუნებდა გ. ხარატიშვილს. ამას მოყვა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატ გიორგი დოლიძის პასუხი „იმსჯელოთ ფაქტებით“ („ლიტერატურული საქართველო“).

ქართველო“, № 7, 12 თებერვალი), რომელიც მართებულად მიიჩნეოდა გ. ხარატიშვილის შენიშვნებს და აკრიტიკებდა როგორც კ. წერეთლის შრომებს, ისე უ. თაბუკაშვილის სტატიას. ბოლოს, ამავე გასული წლის თებერვალს კრიტიკოს ბესარიონ ქუციანი რეპლიკა — „ვიკამათით პატიოსნად, სერიოზულად, პრინციპულად“ (№ 8, 19 თებერვალი).

სტატიებში გამოთქმულმა საპირისპირო მოსაზრებებმა მკითხველებში აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა. ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, ქერნალ „საგჭოთა ხელოვნების“ რედაქციის არაერთგზის თხოვნით, 1971 წლის 20 თებერვალს შესდგა საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმი.

ამასთან დაკავშირებით, რედაქციამ მიიღო საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდიანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტის სიკო დოლიძის მომართვა თხოვნით გამოვსაქვეყნოთ აღნიშნული პლენუმის დადგენილება, რასაც ვასრულებთ.

I

ქერნალ „საგჭოთა ხელოვნების“ 1970 წლის № 12-ში გამოქვეყნდა დოცენტ გ. ხარატიშვილის სტატია „შეინფინები ქართული კინოს ისტორიის საკითხებზე“, რომელსაც ფართოდ გამოეხმაურა ჩვენი ეროვნული კინოხელოვნების ისტორიის საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებრიობა. ამ მხრივ ქერნალმა უთუოდ სასარგებლო საქმე გააკეთა, მით უმეტეს, რომ მის წამოწყებას მხარი აუჭმა გასული წლის „ლიტერატურულმა“ საქართველომაც.

როგორც ქერნალ „საგჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული აღნიშნული სტატია, ის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული პოლემიკური წერილები თავის გაფართოებულ სხდომაზე განიხილა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნომ, რომელმაც ამ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება. ვიგზავნით სამდივნოს დადგენილებას და იმედს გამოთქვამთ, რომ იგი ფართო საზოგადოების გასაცნობად გამოქვეყნდება თქვენი ქერნალის ფურცლებზე.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდიანი სიკო დოლიძე.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნოს თავის გაფართოებულ სხდომაზე 1971 წლის 20 თებერვალს გაიხილა ქართული კინემატოგრაფიის ისტორიის საკითხებზე ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1970 წ. № 12-ში დაბეჭდილი გ. ხარატიშვილის წერილი „შენიშვნები ქართული კინოს ისტორიის საკითხებზე“ და მისი ორკლდეი პრეზია გამოსული პოლემიკა.

სამდივნო მიაჩნია, რომ გ. ხარატიშვილის წერილში სწორად არის ქართული კინოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მთელი რიგი საკითხები, მაგრამ, სამუშაოდ, პოლემიკამ პრესის ფურცლებზე მიიღო არაჯანსაღი ხასიათი. გ. ხარატიშვილის და გ. დოლიძის წერილებში მკაცრი, მამხილებელი ტონია აღებული კინომცოდნის კ. წერილის მიმართ, რომელიც ენერგიულად და ნაყოფიერად მუშაობს ქართული კინოს ისტორიის დარგში. ცალკეული უსუსტობანი და შევადომები მის შრომებში, რომლებსაც ავტორიც არ უარყოფს, არ იძლევა საფუძვლს ბრალი დავდოთ მას ქართული კინოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის შეგნებულ გაყალბებაში.

სამდივნო აღნიშნავს, რომ როგორც უფროსი თაობის, ისე ახალგაზრდა კინომცოდნეთა ახლა ხანა გამოქვეყნებულ შრომებში გვხვდება ფაქტობრივი უსუსტობანი, რასაც ობიექტური მიზეზები აქვს; არ არსებობს ქართული ფილმოთეკა, არ არის შედგენილი ბიბლიოგრაფია კინემატოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილი შრომებისა, არ არსებობს ანოტირებული კატალოგი ქართული ფილმებისა, არ არის შესწავლილი ის საარქივო მასალა, რომელიც ნათელს მოაქვს ქართული კინოს ჩასახვის საკითხებს, ეს ყველაფერი კი არის ის საფუძველი, რომელსაც პირველ რიგში უნდა დაეყრდნოს მეცნიერული კვლევა-ძიება. საქმის ინტერესები მოითხოვს, რათა ქართული კინოს ისტორიის კვლევართა და კინომცოდნეთა წრეში არსებობდეს სამუშაო ატმოსფერო, გამსჭვალული იდეური პრინციპულობითა და მეცნიერული მომთხვეწლობით, რაც არ გამოორიქნავს, არამედ გულითადად მათს მეთვობურულ და საქმიან კრიტიკას.

სამდივნო აუცილებელ საჭიროებად თვლის გადაიდგას

პრაქტიკული ნაბიჯები ქართული კინემატოგრაფიისა და კინოს ისტორიის კვლევის შედეგში განვითარების უზრუნველყოფისათვის:

1. განხორციელდეს კავშირის სამდივნოს სისტემატური საქმიანი კონტაქტები შ. რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის კინოს ისტორიის ცენტრთან, რათა კვლევითი-სამეცნიერო მუშაობის გეგმები და პრაქტიკა მტკად ითვალოსწინებდეს ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის სადღეისო საჭიროებებს და, ამავე დროს, საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირმა მჭირ დახმარება გაუწიოს კინომცოდნეთა ახალი კადრების აღზრდას და მათი მუშაობის პირობების გაუმჯობესებას.

2. შესწავლილ იქნას საკითხი და პრაქტიკულად მოგვარდეს ქართული ფილმოთეკის შექმნა ქ. თბილისში, ურომლისდაც წარმოუდგენლია ნაყოფიერი კვლევითი მუშაობა ქართული კინოხელოვნების ისტორიის პრობლემატიკაზე.

3. დასაბეჭდად გადაცემული ქართული ფილმოგრაფია განხილულ იქნას შემოქმედებით აქტივთან ერთად და დაიხასხოს ღონისძიებები სისტემატური ფილმოგრაფიული მუშაობის უზრუნველსაყოფად მონაგალოში.

4. პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ახლახან ჩამოყალიბებულ კინოზუზუუმს, რომელშიაც თავმოყრილი, შესწავლილი და დაცული იქნება ქართული კინოხელოვნების ძველი და ახალი მასალა.

5. მიღებულ იქნას ზომები დაინტერესებული ორგანიზაციების (საქ. საჯარო ბიბლიოთეკა, სახელმწიფო არქივი და სხვ.) მონაწილეობით ქართული კინოხელოვნების შესახებ სისტემატური ბიბლიოგრაფიის შესადგენად.

6. დაიხსნას საკითხი კონსტრუქცია „ქართული ფილმის“ წინაშე, რათა შემუშავდეს სტუდიის მიერ გამოშვებული ფილმების ლიტერატურული და საარქივო სცენარების, დეკორაციათა ესკიზების, კლავირების, სამონტაჟო ფურცლებისა და სხვა საინტერესო მასალის საავლენებლო მუშაობის წესი.

სამდივნოს მიაჩნია, რომ ყველა ამ პირობის დროულად და საქმიანად მოგვარება საწინდარი იქნება, რომ ქართული კინომცოდნეების ერთობლივი მუშაობის შედეგად უახლოესი წლების მანძილზე შეიქმნას ქართული კინემატოგრაფიის მეცნიერულად დასაბუთებული და ობიექტური ისტორია.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნო.

შურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციამ საჭიროდ მიიჩნია გაზეთ „კომუნისტიდან“ გადმოებეჭდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძის სტატია „სიმართლე სხვას ლაპარაკობს“, რომელშიც დაყენებულია ქართული კინოს ისტორიის მეცნიერული კვლევის საკითხები, აგრეთვე გაკრიტიკებულია კინომცოდნე კორა წერეთლისა და სხვათა მიერ დამუშავებული ფაქტობრივი და პრინციპული ხასიათის შეცდომები.

ქურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია მთლიანად უერთდება „კომუნისტის“ ამ განმარტვრულ გამოცეკას.

განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. 1966 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა „სოვეტისკა ენციკლოპედიაში“ ორ ტომად გამოცემა კინოლოგისკონი. ამ გამოცემაში უამრავი შეცდომაა დაშვებული, მტკაღ დაზარალებულია ქართული კინემატოგრაფია. გამოტოვებულია და ცალკე (ახანანის მიხედვით) არ არის წერილები ქართული კინოს ისეთი გამოჩინილი მუშაკების შესახებ, როგორიც იყვნენ: ქართული მხატვრული კინოს ფუძემდებელი რეჟისორი ალექსანდრე წუწუხავა, მსახიობები: კობტა ყარალმეილი და კირა ახდრობიჭავილი (კინოსფეროში „ელისი“ და არაერთი ქართული ფილმის მთავარი როლის შესრულებლები), ქართული კინოსა და სცენის უბრწყინვალესი წარმომადგენლები — ნუცა ჩხეიძე, უზნაგი ჩხეიძე, ალ. იმედავილი. ქართული კინოს რეჟისორ პერიოდის ერთ-ერთი პოპულარული მსახიობი და რეჟისორი კოტე მკიბაძე-რიძე, კინოდრამატურგი და მსახიობი შალვა დადიანი, თანამედროვე ქართული კინოს ისეთი წამყვანი მუშაკები, როგორიც არიან კინოდრამატურგი სულიკო ქლდუხტი, მსახიობი დავით (დოდო) აბაშიძე, რეჟისორი შოთა მანავაძე და სხვ. კინოლოგისკონი არეულია თარიღები, შეცდომით არის დაბეჭდილი გვარები და სახელები.

ცალკეული თავები, რომლებიც ქართული კინემატოგრაფიის ეტაპა, როგორც ვიცი, დაწერილია ქართული ავტორების მიერ. სამწუხაროდ, ამ ავტორთა სია და თვით წერილები მოსკოვში გაგზავნაზე არავის არსად გასწავილავს, რაც განსაკუთრებით დაუწყვეტელია, როდესაც საქმე ეხებოდა კინოლოგისკონი გამოცემას ეტაპა. უნდა გვესმოდეს, რომ ასეთი გამოცემა შემდეგ ადვილს იკავებს საბჭოთა და საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებში და ვინ იცის, რამდენი წელი დასტორდება, რომ ყველაფერი სათანადოდ გასწორდეს. საგაზეთო სტატიაში შეიძლება არ წამოიშვეს ამხვე საუბარი, რომ შეცდომებს მხოლოდ ფაქტობრივი ხასიათი ჰქონოდა და მათ უკან მნიშვნელოვანი საკითხები და მოვლენები არ მდგარიყო. შედეგობაშია მატეს ორი პუნქტი, რომლებიც ქართული კინოს საწყისებს ეტაპა და რომელთა დაშინებუბა არასწორ ორიენტაციას აღწევს ქართული კინოს განვითარებას. ერთია ქართული კინოს დასაბამად 1910 წლის გამოცხადება (საქმე ეტაპა პირველი დოკუმენტური ლენტების გადაღებას) და მეორე, პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინეს“ შექმნის თარიღად 1919 წლის მიჩნევა. არ ეგონოს მკითხველს, რომ მართო თარიღების სიზუსტის საკითხი მაღლებდეს. არა! აქ უფრო მნიშვნელოვანია მიჩნეული, უფრო პრინციპული საკითხია უკანა პლანზე გადატანა. შევეცდები გაგაცნოთ ამ ორი სერიოზული შეცდომის არსი.

კინოლოგისკონიში (ტომი I, გვ. 399) საკმაოდ დრკველი თავია „ქართული კინემატოგრაფია“, რომელიც დაწერილია ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის კ. წერეთლის მიერ. ამ თავში, როგორც ფაქტობრივ ხასიათის, ისე იმ ძირითადი ტენდენციების უკუთრებულიყვის თვალსაზრისით, რომელია მიხედვით ავტორს უნდა ჩამოეყალიბებინა ქართული კინოს განვითარება, ბევრი შეცდომაა დაშვებული. პირველსავე წინადადებაში ვკითხულობთ:

„პირველი კინოგადაღებები საქართველოში განხორციელდა 1910 წელს ა. დიდშელოვის (დიდშელი) მიერ, რომელიც შემდგომში გახდა კინოოპერატორთა ქართული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1912 წელს ვ. ამაშუკელმა გადაიღო პირველი დოკუმენტური ნარკვევი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

ასევე 1910 წლიდან იწყებს კ. წერეთელი ქართული კინოს ისტორიას. ახლანან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავზე გამოსულ წიგნში „ქართული საბჭოთა კინო“ (გამომცემლობა „ხელოვნება“, 1971 წ., გამოცემლობის რედაქტორი ვლ. სიხარულიძე) მესამე გვერდზე ვკითხულობთ: „1910 წელს ს. ივანიკიასი მუდმივად მოქმედ „ილუსტრაციასთან“ შეიქმნა პატარა ლაბორატორია, სადაც მუქანიკოსი ა. დიდშელოვი (შემდგომში სასკინმრწველის სტუდიის ოპერატორი) ბეჭდავდა ადგილობრივ თემებზე გადაღებულ ფილმებს“.

საოცარია, რატომ არაფრებს ამბობს კ. წერეთელი იმაზე, რომ ვასილ ამაშუკელი „აკაკის მოგზაურობის“ (1912 წ.) გადაღებულ იყო რამდენიმე ათეული მნიშვნელოვანი სიუჟეტის ავტორი, რომ პირველი გადაღებები მან 1908 წელს დაიწყო, რისი აღნიშვნითაც ჩვენი სამამულო კინოგადაღებათა ისტორიის დასაწყისიც 1910 წლიდან 1908 წელს გადაინაცვლება. ეს ხომ სრული სიზუსტით არის დადგენილი და არავის ეჭვს არ იწვევს?!

თავის პირველ გადაღებებს ვ. ამაშუკელი ბაქოში აწარმოებდა. უშეკვლად ანგარიშგასაწყვეთი ის ფაქტი, რომ მისი მოღვაწეობა ამ პერიოდში ჩვენი თეატრის გამორჩენილი რეჟისორისა და პატრიოტის კოტე მუხისის ხელმძღვანელობით მიმდინარებდა. სწორედ კოტე მუხისის და ცნობილი მსახიობის ეფემია მუხისის (მეუღლე პედაგოგ ი. გიგნერისა, რომელიც პროგრესულად აზროვნების გამო მეფის პოლიციის მიერ ბაქოში იქნა გადასახლებული) შეცდინების შედეგად ვასილ ამაშუკელი გაიგზავნა მოსკოვში კინოპარატის შესაქმნელად.

ყველასათვის ნათელია, რომ ბაქოში მცხოვრები მოწინავე ქართველი ინტელექტუალი, რომელიც დიდ მუშაობას შეუდო ქართულია შორის წერა-კითხვის გავრცელებისათვის, იბრძოდა ბაქოში ქართული თეატრის და სკოლის არსებობისათვის, ვასილ ამაშუკელის მოღვაწეობას დიდ ეროვნულ-დემოკრატიული ხასიათის მოძრაობის ერთ მძლავრ მენაკად თვლიდა. როგორც ნამდვილ მამული-შვილს, ნამდვილ ხელოვანს, ოპერატორ ვასილ ამაშუკელსაც უთუოდ ასევე ესმოდა თავისი ამოცანა. ამიტომ არის, რომ მისი პირველი ლენტები (1908-1909 წ.წ.) სასვანე ინტერესით სოციალური პრობლემებისადმი. ვ. ამაშუკელის მიერ გადაღებული უბრალო ადამიანები, მათი მიმზე შრომა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელებული საზოგადოების მოღვაწეები (ლაპარაკია დოკუმენტური სიუჟეტებისზე: „ქანაშხირის ზიდაე აქლემები“, „გემის შემოსვლა და ექვანტორია“, „ი. რამიშვილის სახმების მუშაობა მუშაობა“, „მუშაობა ნავთის ჭაბურღილებთან“ და სხვ.). 1911 წელს ვასილ ამაშუკელი ქუთაისში იღებს ქრონიკა-

ლურ ფილმებს: „ბაგრატიონ ტაძრის ნანგრევები“, „ა. ალექსი-მისხინშვილის იუბილე“, „გვირილობა“ და სხვ.

უცხოური კინოფირმები რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე უპირველეს ყოვლიან ვგზოტაკურ სიუჟეტებს ეძებდნენ. მათი ინტერესი ჩვენი სამყაროსადმი, რა თქმა უნდა, წმინდა ტრინიტული იყო და თავიანთ თუ ადგილობრივ დაქირავებულ ოპერატორებს სწორედ აქეთვე უბიძგებდნენ. ვასილ ამამუკელის შემოქმედებისათვის, როგორც ვხედავთ, ეს გატაცება სრულიად უცხოა. მის დოკუმენტურ ლენტეში-ში ვერც შეგვის ოჯახისა და სასახლის მალღობა ჩინის მოხელეთა ქირაების შესვლებით, რასაც დიდი ადგილი ეკავა იმ პერიოდის კინოოპერატორთა ნამუშევრებში.

სავსებით ბუნებრივია, რომ სწორედ ვასილ ამამუკელი, რომლის შემოქმედება ფართო სოციალური ხასიათისა და გერონულ-დემოკრატიული ტენდენციებით გამოირჩეოდა, გახდა ავტორი იმ დროისათვის ნოვატორული დოკუმენტური ფილმისა „აკაკის მოგზაურთა რაჭა-ლუშჩურში“. დიდა ამ ფილმის მნიშვნელობა ქართული კინოს ისტორიაში. გარდა იმისა, რომ ეს იყო ერთ-ერთი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი მთელ მსოფლიოში, მასში მთელი ძალიერ გამოვლინდა ვასილ ამამუკელის პოზიცია კინოხელოვნების მიმართ. ვასილ ამამუკელი ამ ახალ, დიდ ფილმშიც ერთგული დარჩა იმ მიწინავე პრინციპებისა, რაც ადრე (1908-1909) გადაღებულ დოკუმენტურ სიუჟეტებში გამოსტკვიოდა.

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა
და გულს წრფელად ახრებდეს.

მღეროდა აკაკი და სწორედ სიმართლის მსახურად, წმიდა აზრის განამტკიცებლად. ერის წყლულთა მოსაბანად და სამკურნალოდ უკურებდა ფილმის გადაღების ამოცანად ეს ამამუკელი. ვ. ამამუკელის შემოქმედება უპიკვედა არის შთავსებული იმ პროფულ-რეფორმული მოძრაობის დემოკრატიული იდეებით, რომელიც საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი ილიასა და აკაკის თათნობით იწრთობდა.

მტკიცებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კინემატოგრაფიაში ვასილ ამამუკელი გვევლინება იმ მიწინავე რაზმის მეგრძობლად, რომელიც სახალხო-ეროვნული დროშით გაერთიანებული იწვოდა ბრძოლას რეალისტურ-დემოკრატიული ხელოვნებისათვის. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, ამიტომ არის პრინციპული, რომ ქართული კინემატოგრაფიის ისტორია სწორედ ვასილ ამამუკელის გადაღებული რეალისტური, დემოკრატიული ტენდენციების მატარებელი ფილმებიდან (1908 წ.) დაიწყო და არა 1910 წლიდან, როგორც „კინოლექსიკონშია“ ნათქვამი. ამით, ვარდა იმისა, რომ ორ წელიწადს ვიგებთ, რაც კინოს ისტორიის თვალსაზრისით არტუშ ნაკლებაანტეფოპის, მტკიცებ საძირკველს ეუშნებთ ქართული კინემატოგრაფიის განვითარების ეროვნულ, დემოკრატიულ და რეალისტურ ტრადიციებს, რაც, ვიმეორებ, მთელი თავისი სისრულით იყო ჩამოყალიბებული ვასილ ამამუკელის შემოქმედებაში.

ამ საკითხებზე იყო მსჯელობა საქართველოს კინემატო-

გრაფისტთა კავშირის სხდომაზე. გვეგონა, რომ ამის შემდეგ მინც კინომოდლე ქ. წერეთელი გამოიტანდა სათახალ დასვენას, მაგარა, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახლახან გამოულ წიგნში „ქართული საბჭოთა კინო“ კ. წერეთელი იმასვე იმეორებს, ქართული კინოს ისტორიას 1910 წლიდან იწყებს. ამ წიგნში, სადაც უხვად არის ფოტოსურათები კინოს მოღვაწეებისა (კ. მარჯანიშვილის, ი. ბერესტიანის, ა. დილდელივის, გ. მაკაროვის, ვ. ბარსევის, შ. ბერიშვილის და სხვ.), არ მოიხიბნა ადგილი ქართული კინოს პიონერის ვ. ამამუკელისათვის (ქარვე იწებოდა ავტორის ეს გულმავიწყობა გამომცემლობა „ხელოვნებას“ მინც გაესტკვიებინა).

მეორე დიდი შეცდომა, რომელიც „კინოლექსიკონის“ I ტომშია დაშვებული, პირველი ქართული მატერული ფილმის „ქრისტინას“ დაბადების თარიღს ეხება. თუ კინოლექსიკონს დავუჯერებთ, იმავე თაგში („ქართული კინემატოგრაფია“), სადაც ჩვენი კინოს დაბადების თარიღად შეცდომით 1910 წელი იყო გამოცხადებული, პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტინე“ 1919 წელს გადაღულია.

1967 წელს ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც ზემოთ აღნიშნა ქართული მხატვრული კინოს 50 წლისათვა. თბილისს ეწვივნენ მატერები ყველა რესპუბლიკიდან, კინოტელედიდებიან, როგორც ცნობილია, 50 წლისათვის იუბილეს ყველა „ქრისტინეს“ დაბადებიდან — 1917 წლიდან ანგარიშობდა და არა 1919 წლიდან, როგორც ეს „კინოლექსიკონშია“ მითითებული. ასე გაშუქდა ეს მოვლენა ქართულ და საკავშირო პრესაშიც. მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ მინც დაფიქრდებოდა ზოგიერთი ჩვენი კინომცოდნე, უფრო გულდაგულ შეისწავლიდა საარტიკო მასალებს და ფაქტებს, ანალიზის შედეგად დიაცავდა იმ ტენდენციას, რომ „ქრისტინე“ 1916-1917 წლებშია გადაღებული. ეს კი, სამწუხაროდ, არ მოხდა, რაც სამართლიან გაოცებას იწვევს.

„ქრისტინეს“ გადაღების თარიღის უკანდახვევის ტენდენციამ ძალიან თანმიმდევრული არიან მთელი რიგი კინომცოდნეები. პროფ. ნ. ლებეფიცი თავის წიგნში: „სსრკ კინოს ისტორიის ნარკვევები“, „ქრისტინეს“ გადაღების თარიღად 1920-21 წლებს აცხადებს. ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს ქ. წერეთელს „ქრისტინეს“ გადაღების თარიღად 1919 წელი მიაჩნია, რასაც შემოშუშებლად იმეორებს ზოგიერთი ავტორი სხვადასხვა საგვითურ და უქრნალის სტატიაში (გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1971 წ.). 25 თებერვლი, „ქართული კინოს სათავეებთან“, საინფორმაციო ბიულეტენი, 1971 წ. № 2, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1971 წ. 5 თებერვლი — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ი. თაბუაშვილი).

მეტად საინტერესო წერილი „შენიშვნები ქართული კინოს ისტორიის საკითხებზე“ გამოაქვეყნა უქრნაღმა „საბჭოთა ხელოვნება“ (1970 წ., № 12). სტატიის ავტორი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი გიორგი ხარატეშვილი, აკოტირებს რა კინოსურათ „ქრისტინეს“ გამოშვების თარიღად 1919-1921 წლების დაკანონების მოსურნეებს, დასაბუთებულად წარმოვადგენს „ქრისტინეს“ გადაღების

თარიღად 1916 წელს. მარტო, თუ ისტორიულ წყაროებს მივმართავთ, ნათლად წარმოვიკვებება, რომ „ქრისტიანე“ რევიზორმა ალექსანდრე წუწუნავამ 1916 წელს გადაიღო და ფილმი წარმატებით იქნა გამოშვებული ეკრანზე 1917 წელს. ამის შესახებ თვით ა. წუწუნავა გაზეთ „დროისის“ რედაქციას სწერს: „ქრისტიანე“ გადაღებულია ჯერ კიდევ იმპერიალისტური იმის პერიოდში სამხედრო კინოოპერატორის მიერ, რომელიც ქრონიკას იღებდა რუს-რუსთალოს ფრონტზე. სურათი, გადაიღო გერმანე გოგოტიძემ თავის ხარჯზე, როგორც კვრით ინიციატორმა, ჩემი დღემდე“. იგივე გაიყოფა ალ. წუწუნავამ გაზეთ „კომუნისტს“ ფურცლებზე (1940 წ., 5 ნომერი). რატომ, რა უფლებით არ ვუჯერებთ ალ. წუწუნავას, ქართული კინოსა და თეატრის ერთ-ერთ პიონერსა და ორგანიზატორს?!

იქნებ შევდგომა იმით არის გამოწვეული, რომ გერმანე გოგოტიძემ, რომელიც ფილმს აფინანსებდა, კინოსურათ „ქრისტიანეს“ ეკრანზე გამოსვლის შემდეგ გადაწყვიტა „ქრისტიანე“ გაგრძელების გადაღება. ალ წუწუნავას ამასი უკვე აღარ მიუღია მონაწილეობა. როგორც ჩანს, ასე შექმნილა „ქრისტიანეს“ მთელი ვარიანტმა 1919 წელს ინიციატორი, მაგრამ რატომ უნდა ვაღიაროთ ფილმის მეორე ქრისტიანე ნაწარმოების შექმნის თარიღად, როდესაც „ქრისტიანე“, როგორც მხატვრულმა ნაწარმოებმა გაიკლებით ადრე — 1917 წელს მოიარა ეკრანები? განა კოტაა შემოხვევები ლიტერატურის ისტორიაში, როდესაც ავტორი რომანს გამოცემის შემდეგაც აგრძელებს მასზე მუშაობას და ხელმოკრულ გამოსცემს მას? ვის მოუვა აზრად, რომ რომანის ბოლო, გადაუმავებელი გამოცემა მიიღოს რომანის შექმნის თარიღად?!

არსებულ მასალაზე დაყრდნობით შევიკვილია განგაცხადო, რომ „ქრისტიანე“ დაიდა 1916 წელს და ეკრანზე გავიდა 1917 წელს. რატომ, რა ტენდენციის გამო უნდა გავყვეთით ამ ფაქტს რევიზია და „ქრისტიანეს“ შექმნის თარიღი 1917 წლიდან 1919-1921 წლებზე გადავიტანოთ? იქნებ ეს მართლაც უნებელი შედგომბა, რომელიც ისტორიული წყაროების ნაკლებად გააზრებასთან არის დაკავშირებული? იქნებ ეს მარტო შეცდომბა არ არის და ამით სურათ ძალაუნებურად ქართული ეროვნული კინოს ფუძედ ბლეგილი კინომწარმოებლის პირობებს მოწყველი რეჟისორისა ვ. ბარსკის მიერ 1919 წელს გადაღებული ფილმები გამოასხადონ („უთავო ტყედარი“, „მითხარ რისთვის“ და სხვ.)? ამ ფილმებს, რა თქმა უნდა, არაფერი ჰქონდა ეროვნული და ჩვენი ქართული კინოს ფუძედ არ გამოგვადგებოდ. ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით გადაღებული „ქრისტიანე“ კი წინიდან ეროვნული ქმნილებაა, რითაც რევიზორმა ალ. წუწუნავამ ტრადიციულად დაამკვიდრა კინოლოგების კავშირი მოწინავე რეალისტურ ლიტერატურასთან.

შეგად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართული კინო-მხატვრობისთვის პირველი მხატვრული ფილმის გადაღებისთანავე მიმართავდნენ მეტად მავიულ, სოციალურ თემებს და სურათის მხატვრულ ძალას ხალხის ცხოვრების წიაღში ვებნდნენ. ეს არ იყო ცდა მაყურებლის მოხიბვლის სა-

ქართული ბუნების ეგზოტიკით, ხანჯლების ტრიალით და ქართული ხასიათის ზურველ თავისებურებათა აღწერით, რაც ქალების გატაცებაში, სისხლის აღების წესში, ღვინის მასა და ქიეფში შეიძლება გვეტყება. ცოტა როდი ყოფილა ისტორიაში ასეთი ხასიათის ფილმები. თუმცა, ჩვეულებრივად სამწუხაროდ და გახაოცრად, ასეთი რეციდივები იჩენს ხოლმე თავს დღევანდელ ქართულ კინოში. სწორედ იმით, რომ „ქრისტიანე“ ქართულ კლასიკურ ლიტერატურაზე აგებული სოციალურად მავიული, ხალხის ცხოვრების ამსახველი, რეალისტური ხასიათის ფილმაა, არავის უნდა მიეცეთ უფლება, მის მიმართ საცუო ხასიათის ექსპერიმენტები დაუშვას.

საყურადღებოა, რომ იმავე „კინოლექსიკონმა“, რომელმაც რევიზორ ალ. წუწუნავის ფილმი „ქრისტიანე“ 1919 წელს მიაწერა, არ ცნო ღირსად ცალკე წერილი (თუნდაც პატარა მოცულობის) მიეძღვნა ალექსანდრე წუწუნავას შემოქმედებისათვის. თუმცა რედაქციას არ დაავიწყდა და სათანადოდ წარმოადგინა რეე. ვ. ბარსკი (გვ. 146).

დოცენტ გ. ხარატიშვილის წერილში სწორად არის მიითთებული, რომ კინომცოდნე ქ. წერეთელმა თავის ნაშრომებში „ამორტუცია ისეთი ღვაწლმოსილი, ამაგდარი რეჟისორი, როგორც იყო ალ. წუწუნავა“ (ქურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1970 წ., № 12, გვ. 34) ეს მართლაც პრინციული შეცდომაა. გარდა იმისა, რომ ალ. წუწუნავამ პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტიანე“ გადაიღო, მეითვლება გახასხრილვლა დადგებები: ვინ არის დამნაშავე? (1924 წ.), „ხანუნი“ (1926 წ.), „იოი მონადირე“ (1927 წ.) და „ჯახვი გურიაში“ (1928 წ.), სადა იგი ქართულ ლიტერატურაზე დაყრდნობით ხაზს უსვრი ცხოვრების რეალისტურ სახეებს ხატავდა. ქართულ მხატვრულ კინემატოგრაფიაში ალ. წუწუნავას მოღვაწეობა არის გზა მხატვარი რეალისტური, რომელიც იბრძოდა ეროვნული კინოს ჩამოყალიბებისათვის.

ალექსანდრე წუწუნავამ მრავალი წელი გაატარა სამხატვრო თეატრში. მისთვის უცხო არ იყო კ. სტანისლავსკის ჩანაწერი და ღრმა ფსიქოლოგიური, რეალისტური ძიებანი. ისინი კინომცოდნეების ამოცანა იმასი მდგომარეობს, რომ კატორიაში სწორედ ის რეალისტური ტენდენციები დაინახოს, რაც ხალხურია, ღრმად ეროვნულია, დანაკ მხარდაჭერა სჭირდება და მასზე დაყრდნობით გვიჩვენებს გზები, რომლებითაც უნდა მიიღოთ, ვითარდებოდეს დღევანდელი კინემატოგრაფია. ასეთად, პირველ შემთხვევაში, როდესაც ქართულ დოკუმენტურ კინოზე ვლაპარაკობდით, ვასილ ამაშუკელის ფილმები გვევლინება, ხოლო მხატვრული კინოს განვითარებაში ალექსანდრე წუწუნავას შემოქმედება. ირივე ეს კინომოღვაწე ერთი საერთო, რეალისტური, ეროვნული კინოს მამამთავრებად მიგვანია და შემოი მოყავილი ფაქტების დამახინჯებას ასაებით მნიშვნელობას განვიტებთ.

ვასილ ამაშუკელის დოკუმენტური ლენტებიდან, ალექსანდრე წუწუნავას „ქრისტიანესა“ და შემდგომი ფილმებიდან რეალისტური ტრადიციები გრძელდება კოტე მარგანიშვილის ფილმებში („სამანიშვილის დედინაცალი“,

„კომუნარის ჩიბუხი“), შემდეგ კი ეს ტენდენციები ყალიბდებოდა რეჟისორების ნიკოლოზ შენგელიას და მიხეილ ჭიაურელიის შემოქმედებაში (ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქონდა ა. შენგელიას ფილმს „ელისის“, რომელიც ქართული ეროვნული, რეალისტური კინოს განვითარების გეირგების წარმომადგენს). ყოველივე ამან განაპირობა მიხეილ კალატოზიშვილის, სიკო დლოიძის, ლეო უსაკიას, დავით როინდელის, მიხეილ გელოვანის და სხვა ქართველი კინოსტატების შემოქმედება, რამაც თავის მხრივ სათანადო მხარი ნიადაგი შექმნა დღევანდელი ქართული კინოს განვითარებისათვის.

ასე გვაქვს წარმოდგენილი ქართული კინოს განვითარების გზები. ასე გვესახება ტრადიციის მნიშვნელობა და მისი ქმედითი როლი დღევანდელ თანამედროვე კინოში. რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ დავივიწყოთ ის ღვაწლი, რომელიც რეჟისორ ი. პერესტიანის მიუძღვის საქ. კინომწვევლობის განვითარებაში (მისმა ფილმმა „წითელი ემშაკუნები“ წარმატებით მოიარა გვრანები). პერესტიანის შემოქმედებას განსაკუთრებული ადგილი აქვს და იგი უთუოდ შეერწყმის ქართული საბჭოთა კინოს მდინარებს. ასევე უთუოდ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ქართული კინო, როგორც ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ხელოვნება, ყალიბდებოდა საბჭოთა კინოს განვითარების ერთ მთლიან ოჯახში და ქართველი კინემატოგრაფისტები ყურადღებით აღვივებდნენ თვალს საბჭოთა კინოს გამომწვეული ოსტატების ს. ვიზენშტეინის, ვ. პუდოკინის, ა. დოჟენკოს, დ. ვერტოვის და სხვათა შემოქმედებას. ყოველივე ეს სათანადო, ცალკე კვლევის საგანია, დასრულებული ვართ, ჩვენი კინომცოდნეობა წარმატებით გაართმევს თავს ამ ამოცანას.

ქართული კინომცოდნეობა, რომელიც საკმაოდ ახალგაზრდა მეცნიერებაა, ვერ დგას მოწოდების სიმძლავრეზე. ამ ხარვეზის დასაძლევად მტკად დროული იყო სათანადო ორგანიზების გადაწყვეტილება, რის შედეგადაც თბილისის თეატრალური ინსტიტუტში შეიქმნა კინოს სამეცნიერო-საკვლევი სექტორი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ცოტაა, საჭიროა

გამონახოს საშუალება და შეიქმნას ქართული კინოს სპეციალური ჟურნალი ან გაზეთი. სამუშაოდ, ჩვენი ზოგადი ჟურნალ-გაზეთი მცირე ადგილს უთმობს კინემატოგრაფიის საკითხებს, ზოგჯერ იბეჭდება არაკვალიფიციური ავტორების სუსტი, არაფრისმთქმელი წერილები. საჭიროა შეიქმნას ქართული კინოს ფილმოგრაფია (კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თათნობით ეს პრობლემა უახლოეს ხანებში უთუოდ იქნება გადაჭრილი), ბიბლიოგრაფია, კატალოგი და, რაც ყველაზე საჭიროა, ქართული ფილმების ფილმოთეკა.


გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული ფილმების დიდი რაოდენობა არ ინახება ჩვენს რესპუბლიკაში და მათი დედანი (ნეგატივი) ჩვენთვის მიუწვდომელია. ამ საკითხებს მოგვაგონება აუცილებელია. იმედი გვაქვს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი და კინემატოგრაფისტთა კავშირი ყოველ ზომას მიიღებენ აღნიშნული ხარვეზების დასაძლევად.

შეიძებოდა ამ საკითხებზე ყურადღება არ გაგვემახვილებია, რომ არ ვგრძნობდეთ უშუალო პრაქტიკულ კავშირს, რაც კინომცოდნეობას და ქართული კინოს თანამედროვე განვითარებას შორის არსებობს. უეჭველია, რომ დღევანდელი ქართული კინოს მდგომარეობა, ჩვენი ფილმების ავარგანობა დიდად არის დამოკიდებული მისი ისტორიისა და აწმყოს ღრმა ობიექტურ შესწავლასა და შეფასებაზე. ვიდრე ქართული კინოს ისტორიისა და თეორიის საკითხები არ იქნება მაღალ მეცნიერულ დონეზე აყვანილი, ქართული კინემატოგრაფიის განვითარება ყოველთვის ფრთხვმეჭველი იქნება. ჩვენ კი გვჯერა ქართული კინოს მომავლისა. გვჯერა, რომ შორს არ არის დრო, როცა ეროვნული კინემატოგრაფი შექმნის თავის „ლილეს“ და „მრავალკამიერს“, შექმნის მხატვრული ძალითა და განზოგადებით მოყმისა და ვეფხების ბალადის მსგავს კინოფილმს, ქართული ფილმიც მიუმატება ხელოვნების იმ ფასდაუდებელ საუნაქეს, რაც ჩვენს ეროვნულ სიამაყეს შეადგენს.

რეჟისორი ჩხიძე,

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი,
კინორეჟისორი.

ბაზიტი „ამბენსტი“, 21.XI.1971 წ.





საქართველოს სახელმწიფო კაბელა.

**ზ. ფალიაშვილის
იუზილუსადმი
მიძღვნილ კონსერტუა
ფილარმონიის
დიდ ღარბაზში**

ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული არსამბლის სოლისტები ი. დოლაბერიძე და ფ. სულაბერიძე.





საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრი.

საქართველოს სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი.



**ზაპარია ფალიაშვილის
იუბილესადმი
ვიქცენილ კონსერტზე
ფილარმონიის
დიდ დარბაზში**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის
ვაჟთა ფოკალური ანსამბლი.



ცისანა ტატიშვილი



ლამარა კეონია



ირაკლი შუშანიანი



ზაპარინა ფალიაშვილის
იუბილესადმი
მიძღვნილ კონცერტზე
ფილარმონიის
დიდ დარბაზში



მარინე იაშვილი.



ელისო ვირსალაძე

პროფესიული მუსიკის განვითარება

კ ა შ ა ზ ე თ უ ი

მეგიდ ხვარწყია,

საქართველოს კა აფხაზეთის საოლქო კომპოზიტორ მწიფანი

ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებში აღბეჭდილია ხალხის ბედ-იღბალი, ერის მიიხე ზედრი, მისი სევდა და ტანჯვა, ოპტიმიზმი და ნათელი მომავლის რწმენა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ახალი სოციალისტური შინაარსი შეიჭრა.

აფხაზეთი იმათივე ცნობილი იყო თვითმოყოფად ხალხური მუსიკითა და ქორეოგრაფიით, რომლებშიც აირვლა მისი პერიოკული წარსული.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წელს სოხუმში პროფსაბჭოს კლუბთან ჩამოყალიბდა გუნდი, რომელსაც კ. აუბა და ა. წითლიძე ხელმძღვანელობდნენ. ამ პერიოდთან აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქში არსდებოდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნების ცნობილი სპეციალისტები — დ. აიბა, ა. ხარებავა, ხ. ბარციცი, კ. გეგეჭკორი, ა. მარღანი და სხვები.

აფხაზეთის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა 1922 წელს სოხუმში შექმნილი სახალხო კონსერვატორია, რომელიც შემდეგ ფილარმონიად გარდაიქმნა. ერთი წლის შემდეგ კი აქ მოსწავლეთა ძალებით განხორციელდა ც. კივის ოპერა „წითელქუდას“ დადგმა.

ბავშვთა შორის მუსიკის პროპაგანდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1924 წელს სახალხო განათლების კომისარიატთან დაარსებულმა სტუდიამ, რომელსაც პროფესორი ა. რუყიცი ხელმძღვანელობდა.

აფხაზეთის მუსიკალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1928 წლის დეკემბერში სახელმწიფო თეატრის სცენაზე გამართული ხალხური მუსიკის პირველი კონცერტი. ამ ღონისძიებით საფუძველი ჩაეყარა აფ-

ხაზეთის მშრომელთა შორის ხალხური მუსიკის გვეგზაო მიერ პროპაგანდას. 1930 წელს გაიხსნა სოხუმის მუსიკალური სასწავლებელი. ეს იყო ახალი ეტაპი რესპუბლიკის მუსიკალური კულტურის აღორძინებაში.

თავისი არსებობის პირველივე დღიდან სასწავლებელმა დიდი სამასური გაუწია აფხაზეთის ხალხური მუსიკალური შემოქმედების განვითარებასა და პროპაგანდას.

ნ. ლაკობას მითითებით მოეწყო ექსპედიცია, რომლის მიზანი იყო ხალხური სიმღერების მიკვლევა და ჩაწერა. ამ ექსპედიციის წევრთა შორის იყვნენ კ. ძიძარია და კ. კოვაჩი. მოგვიანებით კ. კოვაჩმა მოსკოვში გამოსცა ორი კრებული: „101 აფხაზური სიმღერა“ და „კოდორელი აფხაზების სიმღერები“. ამ ორ კრებულში შევიდა 150-მდე ხალხური სიმღერა — საგუნდო და სოლო-ვოკალური ნაწარმოებები. ხალხური მუსიკალური კულტურის ამ საგანძურის საფუძველზე კ. კოვაჩმა შექმნა რამდენიმე სიმფონიური სურათი, რომლებიც შევიდა აფხაზეთის სიმფონიური ორკესტრის რეპერტუარში. 1932 წელს კ. კოვაჩმა დაასრულა მუსიკალური კომედია, რომელსაც საფუძველად დაედა აფხაზური ზღაპარი „ალა-მაჯა აშა-მაჯა“.

1931 წელს კ. ძიძარიასა და კ. კოვაჩის ინიციატივით ჩამოყალიბდა აფხაზეთის ეთნოგრაფიული გუნდი. ამ კოლექტივის ძირითად ფუნქციას შეადგენდა უძველესი აფხაზური და ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების პროპაგანდა. მოგვიანებით ამ კოლექტივის საშემსრულებლო გამომსახველობის პროფესიული სრულყოფის მიზნით მიწვეულ იქნა ხალხური ხელოვნების დიდი მცოდნე, აფხაზეთის მეცნიერი პლატონ ფანცულაია. იმავე წელს კ. კოვაჩის ინიციატივით ჩამოყალიბდა პირველი საქსტრალო ანსამბლი „აფხიარცა“, რომლის შემადგენლობაში იყვნენ აფ-

აღგაზრდა ინსტრუმენტალისტები და ვოკალისტები. ორ-
კესტრი აფხაზური ხალხური ინსტრუმენტებისაგან შესდგე-
ბოდა (ოუმა, ახიმაა, აჩარპინი, აფხიარცა, აჩანგური და
სხვა). ამ კოლექტივისთვის არაფუ სპეციალურად მუშავდე-
ბოდა ხალხური სიმღერები, არამედ იქმნებოდა კიდევ ახა-
ლი მუსიკალური ნაწარმოებები. ეს საესტრადო კოლექტი-
ვი ზშირად მართავდა კონცერტებს აფხაზეთის ქალაქებსა
და სოფლებში, ეწეოდა აფხაზური ინსტრუმენტული და ვო-
კალური მუსიკის პროპაგანდას.

ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი ზაქარია ფა-
ლიაშვილი დაინტერესებული იყო აფხაზური ხალხური მუ-
სიკით, მისმა ძმამ, ცნობილმა დირიჟორმა ივანე ფალია-
შვილმა კი სიმფონიური ორკესტრისათვის გადაამუშავა და
გააორკესტრა აფხაზური ხალხური სიმღერა „აირუმა“, ეს
ნაწარმოები მანვე გამოსცა ხარკოვეში. გამოჩენილმა საბჭო-
თა კომპოზიტორმა ა. ბალანჩივაძემ თავის ოპერაში „მზია“
გამოიყენა აფხაზური ხალხური მუსიკის თემები, თავის
მეორე ოპერაში „ოქროს ქორწილი“ კი აფხაზთა ყოფა-
ცხოვრების სურათები წარმოსახა. ამ ოპერების ლიბრეტოს
ავტორია ცნობილი აფხაზი ნოველისტი და დრამატურგი
მიხეილ ლაკერბაი. ცნობილმა მუსიკოსმა დ. შვედოვმა ამ
რამდენიმე წლის წინ დაასრულა ოპერა მ. ლაკერბაის ლი-
ბრეტოს „ამაჯიარის“ მიხედვით. აფხაზური ხალხური მუ-
სიკის საფუძვლზე კომპოზიტორმა ა. პოხდენევამ შექმნა
რამდენიმე სიმფონიური სურათი, ვოკალური და საგუნდო
ნაწარმოებები. დღესაც, მრავალი საგუნდო კოლექტივის
რეპერტუარშია კომპოზიტორ პლტინიკოვის „ჰიმნი პარ-
ტიას“ და გულიას სიტყვებზე.

აფხაზეთის მუსიკალური ფოლკლორისადმი დიდ ინტე-
რესს აქვდავენებდნენ აგრეთვე კომპოზიტორები ნ. ნარიმანიძე,
ი. სლონოვი, დ. შვედოვი და სხვები. კომპოზიტორმა ნ. ნა-
რიმანიძემ შექმნა სიმფონიური პოემა „ორი ძმა“, რომელ-
შიც უხვად გამოიყენა აფხაზური ხალხური მუსიკის თავი-
ებურებანი.

1932 წელს სოსუმის მუსიკალურ სასწავლებულთან ჩა-
მოყალიბდა სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, რომელ-
საც ხელმძღვანელობდა აღნივე უკვე ფართოდ ცნობილი დი-
რიჟორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ოდისეი
დმიტრიადი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზური ფოლკლორის
ღრმესთანმზიანი ნიმუშების თავმოყრაში ვერცხული
წვლილი შეიტანეს კ. ძიძარია, ი. ლაკერბაიმი, კ. კოვამა
და სხვებმა. ეს კეთილშობილი საქმე განაგრძეს ე. ახობა-
ძემ, შ. გორგაძემ, ა. ჩიჩმაძე, რ. გუმბაძე, ბ. ბალათელიამ,
ბ. ბერიგაშვილმა და აწ განსვენებულმა ი. ქორთუამ. შეიქ-
მნა მთელი რიგი მუსიკალური ნაწარმოებებისა, რომლებმაც
კრიტიკოსთა და მსმენელთა მოწონება დაიმსახურეს. მთ-
რიცხვს მიეკუთვნება ი. ქორთუას „სიმღერა მეგობრობაზე“
(ტექსტი ი. ლაკერბაის). მასში ავტორი უმდიროს აფხაზი
და ქართველი ხალხის ურღვევ მეგობრობას. აღსანიშნავია
აგრეთვე ი. ლაკერბაის „სიმღერა ჯარისკაცზე“, ბ. ბალათე-
ლიას „სიმღერა პარტიასზე“, ა. ჩიჩმაძის ექვსნაწილიანი ორა-
ტორია „კიარაზის გმირები“.

ამჟამად ა. ჩიჩმაძე მუშაობს ოპერაზე „კლდის სიმღერა“
აფხაზეთის სახალხო პოეტ ბ. შინკუბას ლიბრეტოს მიხედ-
ვით. მრავალი მუსიკალური ნაწარმოების ავტორია კომპო-
ზიტორი ბ. ბერიგაშვილი, განსაკუთრებულ ყურადღებას
იმსახურებენ მისი ნაწარმოებები: „აფხაზეთი“, „ჰიმნი
სამშობლოს“, „სოსუმის გაზაფხული“, „აფხაზური ლირი-
კული“ და სხვა.

აფხაზეთის საგუნდო ხელოვნების განვითარებაში მნიშ-
ნელოვანი ადგილი ეთმობა ი. ლაკერბაისა და რ. გუმბა-
ძის მოღვაწეობას. ი. ლაკერბაის მრავალი საგუნდო, ვოკალური
და ინსტრუმენტული ნაწარმოები, მათ შორის სიმღერებე-
„ვლადიმერ ხარაზია“, „მინი-ნანი“, „მერცხალა“, „ანტი-
ცა“, „სიმღერა აფხაღბაზე“, „სიმღერა პარტიასზე“ და
სხვა ამშვენებენ აფხაზეთის მუსიკალურ შემოქმედებას. აღ-
სანიშნავია ისიც, რომ ი. ლაკერბაიმ ჯერ კიდევ აფხაზეთ-
ში საბჭოთა ჩელოუსტრების დამყარებამდე, ახალგაზრდა
ძალებით წავსაყალიბა სოსუმის საგუნდო წრე, რომელიც
სწავლობდა უკვლევს აფხაზურ ხალხურ სიმღერებს. აქ მან
გაიყენა მომღერალი ძუკუ ლოლუა და მისი დახმარებით
ურთიერთობა დაამყარა ზაქარია ფალიაშვილთან. სამამუ-
ლო ომის დღებში საქართველოს სსრ ხელოვნების დამსა-
ხურებელი მოღვაწე ი. ლაკერბაი ხელმძღვანელობდა აფხა-
ზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს. აფხა-
ზეთის პროფესიული მუსიკის განვითარებაში მნიშვნელო-
ვანი დამსახურება მიუძღვის საქართველოს სსრ ხელოვნე-
ბის დამსახურებულ მოღვაწეს რ. გუმბაძეს. მისი სიმღერები
„ფენი“, „პარტიას“, „ლენინს“, მებაიეთა სიმღერა „პორა
ბოუმი“ და სხვა ლირიკული ნაწარმოებები გამოირჩევიან
მელოდიურობით, გულთხადებით. მათში ასახულია აფხა-
ზეთის წარსული და აწმყო, მისი ადამიანების შრომა და
გმირობა. რ. გუმბაძის სიმღერებში მკაფიოდ იგრძნობა
ეკნებნებუ სიყვარული ადამიანისა და სამშობლოსადმი.
უკანასკნელ ხანს იგი წარმატებით მუშაობს ინსტრუმენტუ-
ლი მუსიკის დარგში, ახლანან დაასრულა სუიტა სიმფონიუ-
რი ორკესტრისათვის „წყაროსთან“. რამდენიმე შექმნა სიმფო-
ნიური პოემა „კლდის სიმღერა“, რომელშიც გამოიყენა
ხალხური სიმღერები: „აირუმა“, „ახლარჩობა“, „სიმღერა
ხაჯარათზე“ და სხვ. რ. გუმბაძე ოქრომჭედლის სინატიფიში
ამუშავებს ხალხური მუსიკის მელოდიებს, თვალსაჩინაა მი-
სი პროფესიული ოსტატობა.

აფხაზეთის საესტრადო მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე პო-
პულარული კომპოზიტორია კოსტა ჩენგელია. მას შექმნი-
ლი აქვს მრავალი ვოკალური ნაწარმოები, წარს საგუნდო
მუსიკასაც. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ
მისი ლირიკული სიმღერები „ბაღში“, „ბაიუზარ“ და
სხვა. იგი ქმნის ვოკალურ დუეტებს, ტრიოებს, კვარტეტს,
მათი უმრავლესობა ჩაწერილია გრამფირფიტებზე. კ. ჩენ-
გელიამ უშაღღეს მუსიკალური განათლება მიიღო ცნობილ
კომპოზიტორთან და პეტაგოგთან ა. ბალანჩივაძესთან. ამ-
ჟამად იგი განაგებს აფხაზეთის ხალხური შემოქმედების
სახლს. სულ ახლანან მან დაასრულა კანტატა, მიმდინილი
სამამულო ომის გმირის ე. ხარაზიას ხსოვნისადმი. საგუნ-
დო სიმღერებს უძღვებიან ი. აკირტა, კ. ბგანაძე და სხვები.

საესტრადო მუსიკის დარგში თავის შესაძლებლობებს; სცდიან ახალგაზრდა კომპოზიტორები ლ. ჭკადუა და რ. აგუმა. მათ სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელში მიიღეს განათლება. ამ კომპოზიტორების საესტრადო ნაწარმოებებს ასრულებენ აფხაზეთის თვითომქმედი და პროფესიული სა-შერსრულებლო კოლექტივები.

ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნე-ლოვან მოვლედ იქცა საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის გასვლითი პუნქტი. აფხაზეთის მშრომლები გაეცნენ ცნობილი ქართველი კომპოზიტორების — ა. ბა-ლანჩივაძის, თ. თაქთაქიშვილის, შ. მშველიძისა და სხვათა ნაწარმოებებს. აღსანიშნავია აგრეთვე კომპოზიტორების ი. სლონოვისა და დ. შვედოვის საავტორო კონცერტები, რომლებიც ჩატარდა 1960 და 1962 წელს. ამ კომპოზიტო-რებმა თავიი წვლილი შეიტანეს აფხაზეთი პროფესიული მუსიკის განვითარების საქმეში.

ამჟამად აფხაზეთში მუსიკალურ ხელოვნებას დიდ პრო-პაგანდას უწევენ შემდეგი შემოქმედების კოლექტივები — სახელმწიფო ფილარმონია, ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, მუსიკალური სკოლები და სასწავ-ლებლები. აქ იზრდება პერსპექტიული მუსიკალური კად-რები.

აფხაზეთში ნაყოფიერად მოღვაწეობს მუსიკალური სას-წავლებელი და სასწავლებლის კულტსაგანმანათლებლო განყოფილება, 9 მუსიკალური და ერთი მხატვრული სკო-ლა. ასობით ახალგაზრდა ეუფლება პირველდაწყებით მუ-სიკალურ განათლებას კლუბებთან და კულტურის სასლოან არსებულ წრეებში. თავისი არსებობის მანძილზე დ. არა-ყიშვილის სახელობის სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელ-ში აღიზარდა ასობით მაღალკვალიფიციური მუსიკოსი. მათი ძალებით აფხაზეთში დაკომპლექტებულია მუსიკალუ-რი სკოლების პედაგოგიური კოლექტივები. უთოდ და სისი-ხარულოა, რომ პედაგოგთა ეროვნული კადრები დღითიდღე მრავლდებიან. ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწე-ვიან სოხუმის სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე ლ. ჯერგელია, პირველი მუსიკალური სკოლის დირექტორა ს. კეცბა, გუდაუთის მუსიკალური სკოლის დირექტორი ი. აკირტა, ოჩამჩირის მუსიკალური სკოლის დირექტო-რი შ. ჩინია, გაგრის მუსიკალური სკოლის დირექტორი ბ. ბაღათელია, გალის მუსიკალური სკოლის დირექტორი გერლიანი და ამჟამად გახსნილი მესამე მუსიკალური სკო-ლის დირექტორი კ. ბგანგა.

უმადლესი მუსიკალური განათლება მიიღეს და ნაყო-ფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან ა. კუცბა, გ. კარ-ბა, ა. მიხბა, ა. აშხარაა, ე. ბგანგა, მ. ხაშბა, ბ. ამიზბა და სხვები. ამჟამად საბჭოთა ქვეყნის მუსიკალურ სასწავლებ-ლებსა და კონსერვატორიებში სწავლობენ (ზოგმა დაამ-თავრა კიდევ) ჩვენი რესპუბლიკიდან წარგზავნილი ახალ-გაზრდები — ლ. ლოგუა, ი. ნარმანია, რ. გელია, ზ. ხალ-ვაში, ე. კოკოსკერია, ნ. ანშბა, ტ. ჯონუა, პ. ოტირბა, ი. აკირტა და სხვები.

ეროვნული კადრების აღზრდაში დიდი ღვაწლი მიუძღ-ვით ე. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან, მოსკოვის გნესინების სახელობის სა-ხელმწიფო მუსიკალურ-პედაგოგიურ ინსტიტუტსა და პ. ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის კონსერვატორიას.

თბილისის კონსერვატორიაში აღიზარდნენ აფხაზეთის კომპოზიტორები, მუსიკისმცოდნეები, პიანისტები, მომღერ-ლები, ინსტრუმენტალისტები. მათ შორის არიან ლ. ჯერ-გენია, ა. ჩიჩბა, ა. კუცბა, ს. კეცბა, ე. ბღატბა, მ. კეცბა, კ. ჩენგელია, ბ. ამიზბა, მ. ხაშბა და სხვები.


მასეთის ეთნოტიკურ აღზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თემატური კონცერტები და სხვა მხატვრული ღონისძიებები, რომლებიც სისტემატურად ეწყობა სოხუმ-ში ადგილობრივი ძალების მოწაწილობით.

აფხაზეთის მუსიკალურ კოლექტივებს შორის წამყვანია სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომლიც კონცერტები დიდა წარმატებით სარგებლობენ ჩვენი რეს-პუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ნაყოფიერად მოღვაწეობს აფხაზეთის ფილარმონიასთან არსებული მუსიკალურ-ლი-ტერატურული ლექტორიუმი. მუსიკალური განათლების პროპაგანდის ხაზით აღსანიშნავია აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლის მოღვაწეობა.

მუსიკალური კულტურის პოპულარიზაციას დიდ დახმა-რებას უწევს აფხაზეთის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული სა-ზოგადოება. იგი ხელს უწყობს ქორეოგრაფიული ხელოვნე-ბის განვითარებას.

აფხაზეთის მუსიკალური კულტურის შემდგომ განვითა-რებას შესანიშნავ პერსპექტივებს ჰპირდება აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის დაარსება. ამჟამად ჩვენს რეს-პუბლიკაში მოღვაწეობს სახელმწიფო კაპელა და სიმფო-ნიური ორკესტრი. იხინი დაუღალავ პროპაგანდისტულ საქ-მიანობას ეწევიან, განსაკუთრებით აფხაზეთი პროფესიუ-ლი მუსიკის ხაზით.





ირაკლი ორიაური —

სახელმწიფო პრეზიუმის ლაურეატი

ქართული ჭედურობა ოდითგანვე ცნობილია. გვყავდა კიდევ ამ საქმის დიდოსტატები, მაგრამ ხელოვნების ამ დიდებულ დარგს თანდათან ბიზნის მოეფინა და მხოლოდ ზოგიერთი ნაწარმოები თუ შემოგვრჩა, რომლითაც დღესაც ვამაყობთ.

თანამედროვე ქართული ჭედურობა ფაქტიურად ჩვენი საუკუნის ორიშობადაათიანი წლებიდან იწყება. გამოჩნდნენ ენთუზიასტები, პირველი ოსტატები, რომლებმაც აითვისეს ძველი

ქართული ჭედურობის დიდებული ტრადიციები და ძველის ახალთან შეპირებით შექმნეს თანამედროვე მხატვრული ქუჩადობის ბრწყინვალე ნაწარმოებები. მათ შორის უპირველესთაგანი იყო ცნობილი ქართველი მოქანდაკეების იაკობ ნიკოლაძისა და სილოვან კაკაბაძის მოწაფე ირაკლი ორიაური.

ამ ახალგაზრდა ხელოვანს თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ დაებადა სურვილი ჭე-

დურობას გააყოლოდა, რომელიც ისიც იყო ფუნს იკიდებდა. მალე ვიხილეთ მისი პირველი ნამუშევრები — გაუბედავად შესრულებული, მაგრამ საინტერესო, ფაქიზი და ძალზე მხატვრული. იხვეწებოდა, ყალიბდებოდა და იჭედებოდა ამ ნიჭიერი მხატვრის მაღალი პროფესიონალიზმი, რომელსაც მოჰყვა საერთო აღიარება. საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ირაკლი ორიაურის ნამუშევრებში იგრძნობა შემოქმედების ინდივიდუალური ხელწერა, კოლორიტულობა, სავნის თავისებური გააზრება და მონუმენტურობა. ისინი მუდამ გვაღელვებენ, გვაოცებენ შესრულების ოსტატობით, თითოეულში არის რაღაც ახალი, საინტერესო, ფერწერული, რომელიც თითქოსდა ფუნჯის ერთი თამაში მონასმითაა შექმნილი.

თბილისის ქორწინების სახლისთვის შექმნილი ჭედური ბარელიეფები უდავოდ მის ბრწყინვალე ნამუშევართა რიცხვს მიეკუთვნება, დავეწილი კომპოზიციები, დინამიზმი, მონდენილი, ორიგინალური ფორმები — ყოველივე ეს შთაბეჭდავია და სასიყვარულო განაწყოებს ყველას.

სულ სხვა განწყობილებისაა ჭედური ფინები, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შენობისათვის. ისინი კიდევ ერთხელ ადასტურებენ ირაკლი ორიაურის დიდ მხატვრულ ნიჭს, შენისაწინააღმდეგე ფრწყმთან შენობის არქიტექტურულ გადაწყვეტას და დასრულებულ სახეს აძლევენ მას.

ირაკლი ორიაურის სახელი დიდი ხანია გასცდა არა მარტო საქართველოს, არამედ ჩვენი ქვეყნის საზღვრებსაც.

ქალაქ ოსაკაში „ექსპო-70“ მსოფლიო გამოფენის საბჭოთა პავილიონისათვის შექმნილმა ფორმითა და შინაარსით გრანდიოზულმა ჭედურმა პანომ „შის მოტაცება“ მობილმა, დაატყვევა უცხოელები, სახელი და დიდება მოუტანა ირაკლი ორიაურს, და ბოლოს, ჭედური ფინების სერია „სიმღერა საქართველოზე“. იგი მართლაც სიმღერაა ჩვენი წარმატება სამშობლოზე თქმული.

ი. ორიაურის ხელოვნება უდავოდ ხალხურია და ხალხმა დააფასა კიდევ. ახლანდელ ირაკლი ორიაურს მივნიჭებ სსრკ სახელმწიფო პრემია.

ქურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია გულთბილად მისალმება ნიჭიერ მხატვარს, ულოცავს საპატიო ჯილდოს და უსურვებს შემდგომ შემოქმედებით წარმატებას.



რ. დვლიანიძე,

„გამარჯეება“ (მეფოლაღე).

საპარტიველოს სსრ
და საპარტიველოს
კომპარტიის 50
წლისთავისადგი
მიძღვნილი
გამოწვანიდან



გ. კუთათელაძე.
ყურაქნის დაწურვა.

გალები „შოთა რუსთაველი“ საზრანბეთში

აკაკი ნიყარაძე

შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ბალეტის შექმნის იდეა 1944-45 წლებში დაიბადა საფრანგეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს შორის. კ. ბალმონტისა და შ. ნუკუბიძის რუსულად თარგმნილი ტექსტის მიხედვით ბალეტის ლიბრეტო შეადგინა ემიგრანტმა, ცნობილმა თეატრალურმა მოღვაწემ ნ. ვერეინოვმა. ლავდაპირველად გართულდა დადგმისათვის მუსიკის შერჩევა. ეს საქმე ითავეს ცნობილმა კომპოზიტორებმა: არტურ ონეგინმა, ალექსანდრე ჩერკნინმა და სხვახელმა კომპოზიტორმა არსანოვმა. ისინი გაეცნენ ქართულ მუსიკალურ კულტურას, (რომელსაც ალექსანდრე ჩერკნინი ადრევე იცნობდა, რადგან წლების მანძილზე საქართველოში ცხოვრობდა), გამოიყენეს მდიდარი მასალა ევროპაში არსებული ფონდებიდან. ცნობილმა კომპოზიტორებმა შექმნეს თვალსაჩინო მუსიკა. ბალეტის პრემიერა შედგა მონტე-კარლოს საოპერო თეატრში. ბალეტის აღმასრულებელი დირექტორი პარიზის „გრანდ ოპერის“ საბალეტო დასის ხელმძღვანელმა, ცნობილმა ქორეოგრაფმა სერჟ ლიფარმა.

ფრანგულმა ქურნალმა „ხელოვნებაში“ ამ ბალეტს ეპოქალური უწოდა. იმდროინდელი ფრანგული პრესა აღსაქვ იყო აწშლაგებით; ერთხმად აღაპარაფდნენ: „ვინ არის ეს ლეგენდარული შოთა, რომელმაც ქვეყანა აღადგინოვანა?“ აღსანიშნავია, რომ ეს დადგმა საფრანგეთსა და ინგლისში ბალეტ „შოთა რუსთაველის“ სახელით არის ცნობილი. სერჟ ლიფარს ქართული ქორეოგრაფიული ფოლკლორის თავისებურებათა გაცნობაში დიდი დახმარება გაუწია ქართველ მოქეცვეთა ჯგუფმა, რომელსაც თბილისელი აღ. პეტროსვილი ხელმძღვანელობდა. ისინი თავდადებით

მუშაობდნენ ამ დადგმის წარმატებისათვის. მონტე-კარლოში ბალეტის პრემიერას შიშით ელოდნენ. არ რა განაცხადა მონტე-კარლოს საოპერო თეატრის დირექტორმა გინზბურგმა: „ახლა კი დავიღუპე, აბა, ვინ მოვა უცნობი სიუჟეტის ბალეტზე? სომი იცით აქაური სასოფადოება ვისგან შესდგება: მათი სული და გული კაზინოს მაგიდაზეა მიჯაჭვული. არ იციან, იოლად შექმნილ ფულს რა უყონ. ვის აინტერესებს ოპერა ან ბალეტი. მათთვის მთავარია აზარტული თამაშები, დროსტარება კაბარეტებსა და რესტორნებში“.

გინზბურგი ერთხანს პეტერბურგის აკადემიკოსო თეატრის დირექტორად იყო მიწვეული. ასე იგონებს იგი ამ პერიოდს: „დიხს, რუსეთის იმპერატორის კარზე მე გახლდით ექსპერტი ხელოვნების საკითხში, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა და რუსეთის რეჟენმა მეფემ გამომავდა პეტერბურგიდან. აი რატომ: როდესაც მე ვხედავდი ამ უსუსური და მართლაც უნათო აღმზიანის მფეობის აღმამუთიებელ ფაქტებს, ვხედავდი თუ როგორ იმელოდა ამეოფან იმპერატორ, ვერ მოვითმინე და შეუზარსუბულმა მეფესთან დაახლოებულ ერთ წრეში ვთქვი: რუსეთი დიდი იმპერიაა და დიდი იმპერიას დიდი იმპერატორი უნდა ჰყავდეს-მეთქი. ორი დღის შემდეგ გამომიცხადეს: იწყება დიდი ზამთარი, დიდი სიცოცხეები, მეფე შიშობს ბატონი გინზბურგი არ გაცივდესო. მან საჩუქრები და გასამრჯელო მოგართათ და სამშობლოში მშვიდობით მგზავრობას გისურვებთო. ამით აღმაფარდა ჩემი ყოფნა რუსეთში. შემდეგ რაც მოხდა, თქვენე კარგად იცით. რუსეთის ხალხმა ლენინის მეთაურობით შექმნა ახალი სახელმწიფო, რომლის ძალაში დაიარსებინდა ფამისტურ გერმანიაზე გამარჯვების

მაგალითზე. როგორც რუსეთის პატრიოტი მე შევძახებ ვაშს ამ დიდი გამარჯვების გამო“.

ბალეტის პრემიერაზე სუთი დღით ადრე ბილეთები უკვე აღარ იმოვებოდა. კერძო ფასმა ბილეთზე 2000-3000 ფრანკს გადააჭარბა. გინზბურგი გაოცებული იყო: „ვერ გამოვიცა, რა ხდება, რაც შე მონტე-კარლოში ვარ, ასეთი ამბავი არ მახსოვს“.

პრემიერის დღეს თეატრს პოლიციის გამოიერებული რაზმები იცავდა. უადგილოდ დარჩენილნი შესასლელ ბილეთში ზღაპრულ ფასს იძლეოდნენ. ბილეთებით ვაჭრობა თვით კაზინომაც დაიწყო. გინზბურგი არ დაიბნა, გააკანნი მისცა თავის კომერციულ ნიჭს და დიდალი ფული მოაგროვა თეატრის საღარიბეში. ამით გადაწყვეტილება ისარგებლეს და შპე ბირგაზე ნამდვილი ავითბავი შექმნეს.

დადგმის მხატვრობა გაფორმება ეკუთვნობდა ცნობილი მხატვარს ალექსანდრე შერვაშიძეს, რომელიც იქვე, ქალაქ ნიცაში, ცხოვრობდა (ალექსანდრე შერვაშიძის მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ ვრცელი და საინტერესო მასალა გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში).

ალექსანდრე შერვაშიძეს პეტერბურგის თეატრების სცენაზე მრავალი სპექტაკლი ჰქონდა მაღალმხატვრულად გაფორმებული და ჯილდოებითი მიიღებულ. ა. შერვაშიძეს თავადი მუღამ საქართველოსაგენ ეჭირა. მისი ქალიშვილი მსცოვანი მამის წამოსაყვანად და მისი მემკვიდრეობის ჩამოსატანად საფრანგეთში გაემგზავრა, მაგრამ მამა რამდენიმე დღის წინ გარდაცვლილიყო. უგზო-უკვლოდ დაიკარგა ბალეტ „შოთა რუსთაველის“ ტანუები და მაღალი ოსტატობით შესრულებული სხვა ტი-

ლომებიც. პოლიონელი ხელოვნებთმცოდნე შაიკვეიჩი წერდა: „შოთა რუსთაველის სამშობლო — ლაშაში და წარმტკაცი საქართველო მხატვარმა უბაღლო ხელოვნებით წარმოადგინა სცენაზე“. შაიკვეიჩი, როგორც პოლიონელი სემიგრატი, დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში, ამგვარი იგი განაგებს მხატვრული კრიტიკის განყოფილებას ფრანგულ ჟურნალ „ხელოვნებაში“.

1946 წელს, პრემიერაზე, მონტეკარლოს ოპერის თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. ფარდა აიხდა. ალ. შერ-ვაშლის მხატვრულ გაფორმებას ტან-მის გრიალომ შეხვდნენ. სცენაზე წარმოდგენილი იყო ქართული პიესა-ოპერა, რომელიც ხატოვან სანახაობას ქნინდა. თენბებოდა. ავანსცენაზე ნელ-ნელა ვარდის კოკორი იფურჩქნებოდა. მზის სხივების ამოსვლასთან ერთად გადიამალა ვარდი, საიდანაც ტურფა ასული ამოიზარდა. მან შესარულა ცეკვა „პოეტის მუხა“. პარიზის „გრანდ ოპერის“ პრემია მალაქინამ ორჯერ დაბაშა. შესანიშნავი მხატვრული გაფორმებისა და ექსტრემი განათების ფონზე, ბრწყინვალედ იცეკვა. აღფრთოვანებულმა მაყურებელმა რამდენჯერმე გამოიყვანა ადამაში სცენაზე და მუქხარე ოვაციებით დააჯილდოვა.

მეორე აქტი ნაჩვენები იყო დარბაზობა მეტის სასახლეში, თამარის სამეფო ტანტზე ასვლასთან დაკავშირებით. ეს აქტი მხატვარმა ოსტატურად გააფორმა მ. ზიჩის ილუსტრაციების მიხედვით. ალექსანდრე შერ-ვაშიძე საფუძვლიანად იცნობდა მ. ზიჩის შემოქმედებას, ხელთ ჰქონდა მისი მრავალი ესკიზი, ჩვენმა თანამაგონებელმა, ნიჭიერმა მხატვარმა ვერა დავამ თქვა: „მ. ზიჩის რომ ეს სპექტაკლი ენახა, ალბათ დიდ მალონას ეტყობა მხატვარსა და დადებულს თავისი საყვარელი გიმირების ასე ოსტატურად განსახიერებისათვის“. დიდ პიკასოს რ უთქვამს: „გაუმარჯოს საქართველოს! რუსთაველის ქვეყნის მხატვრებს!“.

დარბაზობაზე (თამარის სასახლეში) ესწრებოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ხეყმრები. დამდგომლმა ისინი შესატყვისი გროგნული კოლორიტით წარმოადგინა. ეს იყო მრავალსახოვანი ცეკვების ფიგურები. მეორე მოქმედების დროს აღფრთოვანებული აუდიტორიის მოთხოვნით ფარდა რამდენჯერმე აიხდა. სცენაზე იახებდნენ მოცეკვავეებსა და დამდგომელ რეჟისორს.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ლიფარმა და მისმა დასმა მიწვევა მიიღო ინგლისიდან ლონდონის სამეფო თეატრში „ვეფხისტყაოსნის“ დასადგმულად.

როგორც საინფორმაციო სააგენტოები და გაუთუთ, „დეილ ტელეგრაფი“ იუწყებოდნენ, სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა ინგლისში. ბილეთების შოვნა აქაც გართულებულა. სპექტაკლს დაესწრო ინგლისის დედოფალი ელისაბედი, ხოლო ინგლისის მეფე სპექტაკლის შემდეგ კულისებში ეწვია ლიფარს და უსახსოვრა პორტსიგარი საზეიფო ღერბით.

საფრანგეთისა და ინგლისის პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ ბალეტის დადგმებას.

გაუთუთ „დეილ ტელეგრაფი“ წერდა: „ლონდონის ერთგულთვან მხატვრულურ ცხოვრებაში ბალეტი „შოთა რუსთაველი“ შემოიტარა როგორც რუსთაველის სამშობლო მთიდან მოვარდნილი მთის მქვევარე ნაკადული. გაგვანარა, დაგვაცემო და ერთგვარად გაგვაკვირვა კიდევ.“

საქართველო, სადაც ეს დიდებული პოემა და თვით მისი ავტორი დღითა და კაცკასის საშხრთ-დასავლეთით მდებარეობს. ეს წარმტაკი სილაშის ქვეყანა, მრავალი ძველი ციხესიმაგრეებით, მონასტრებითა და ეკლესიებით არის დამშვენებული, რაც მის მდიდარ ისტორიულ კულტურაზე, ქართველი ვაჟკაციერ ხასიათსა და ბუნებაზე მეტყველებს. რუსთაველი ამ ქვეყნის კულტურული ცხოვრების ასაპრეზუე მე-12 საუკუნეში გამოჩნდა თავისი დიდებული პოეით „ვეფხისტყაოსნით“. ამ პოემის თარგმანი ინგლისურ რაზუედაც არსებობს. ლონდონის მაყურებელმა ნამდვილად დიდი სიაზოვნება განიცადა, როდესაც საბალეტო ხელოვნებით დასურათხატებულ შოთა რუსთაველის უბაღლო „ვეფხისტყაოსანი“ იხილა. სერჟ ლიფარმა მოვადგო ინგლისელი მაყურებელი და ინტერესი აღძრა ამ დიდი პოეტის პიროვნებისა და მისი სამშობლოსადმი.

1946 წლის პარიზის პრესაც გამოეხმაურა ამ დადგმას.

გაუთუთ „პარი პრესი“ წერდა: „სამწუხაროდ, რუსთაველის პოემის თარგმანი ჩვენ ხელთ არა გვაქვს. ამიტომ მის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით. ამ თემას მაშინ დავერუნვდებით, როცა რუსთაველის სტრუქტურები ფრანგულ ენაზე ამღერდება. ჯერჯერობით ვიტყვით მხოლოდ, რომ

ეს დადგმა ახალი სიტყვაა საბალეტო ხელოვნებაში. ფრანგული ბალეტის ვარსკვლავებმა: ივებ შოიტირემ, ოლდა ადამაშმა, იური ალვაროვმა დიდი ოსტატის სერჟ ლიფარის ჩანაფიქრი უნაკადო და დიდი ოსტატობით განსაზოციელეს“.

მესამე აქტი იწყებოდა ტარიელის ვეფხეთან ბოძლით. ტარიელი განსახიერა აბოლტური ანგავის ბრწყინვალე მოცეკვავემ იგორ კალუენინმ, რომელსაც ამფრთველ მოცეკვავეს ეძახდნენ. ვეფხეი — იური ალვაროვმა. ორთაბრძოლა ტემპერამენტით იყო შესრულებული. ცეკვაში გაღამწვეტილი დინამიკური ბატალური სცენა ტან-მის გრიალომ მიმდინარეობდა. შემდეგ აღფრთოვანებულმა საზოგადოებამ კალუენი 15 წუთის განმავლობაში არ გაუშვა სცენიდან. ორჯერ გამოიყვანეს თვით ლიფარი.

სპექტაკლის დასასრულს რუსთაველი თამარს თავის პოემას მიართმევს და იწყება საზეიფო ცეკვა, რომელსაც მთელი დასი ასრულებს.

ფარდა დაეშვა, მაგრამ ხალხი ადგილიდან არ იძვროდა. ათჯერ მიანი ააწვიენეს ფარდა, სცენაზე გამოიყვანეს მთელი დასი ლიფარის მეთაურობით.

ბოლოს, აღმნიხტარა იძულე-ბული განსა სპექტაკლის დამთავრება გამოცეკვადებინა.

1961 წელს ლიფარი ესტუმრა მოსკოვს, ლინიგარდას და კიდევ, ეწვია თბილისსაც. მას გულთხადი შეხვიდრა მოუწყვეს კოლოგებმა — სსრკ სახალხო არტისტებმა ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა. ლიფარი დაესწრო თბილისის საოპერო თეატრის სპექტაკლებს: ზ. ფალოშვილის „დიდის“ და, თორაძის „გორდასა“ და ა. მაჭავარიანის „ოტელოს“.

ლიფარი მიიღო თეატრის დირექტორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. მჭედლიძემ. სპექტაკლ „ოტელოს“ შემდეგ მან მხურავლედ მთელიცა წარმატება გატანვ ტაბუიანს.

ლიფარმა მალალი შეფასება მისცა თბილისის საოპერო თეატრის სპექტაკლებს. მან აღნიშნა: „რასაკვირვლია, ახლებურად აქღერდებოდა ბალეტი „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი კომპოზიტორების, მხატვრებისა და მოცეკვავეების მონაწილეობით. ჩემი სურვილია ეს დადგმა გაეიმეორო თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე“.



მშვენიერება და ხელოვნება

გივი ბარამიძე

ხელოვნება თავისთავად გიზმობს მშვენიერებისაკენ. მისი ტამარი სილარბაისლის ტრიბუნაა ყოველთვის... ძნელა ხალხის ამაღლების პროცესი მშვენიერების სიმალემდე... მაგრამ მის მიღწევაში მე ვხედავ ერთ მძიმე და აუცილებელ ამოცანას.

ა. მარჯანიშვილი.

სასკამთს(ლ) გაგებული ის ჭეშმარიტება, რომ ხელოვნებას შეუძლია დღეობის ცხოვრების ასახვითაც ემსახუროს მშვენიერებას, ცხადია, სულაც არ ნიშნავს, თითქოს იგი ამგვარ ცხოვრებას მიიჩნევდეს სიმშვენიერედ.

ხელოვნება მშვენიერებად წარმოვიდგენს მხოლოდ ჯანსაღ ადამიანურ ცხოვრებას და ყოველგვარ გაადამიანურებულ სინამდვილესაც ამავე მიზნით გვისურათბატებს. მისი უდიდესი ძალაც ის არის, რომ დაგვიმაროს მშვენიერისა და მახინჯის გარკვევაში, განგვიმტკიცოს აზრი, რომ მშვენიერი არა ყოველგვარი, არამედ მხოლოდ ადამიანური ცხოვრებაა. სხვანაირად ბედნიერ მომავალზე ოცნებასაც არა აქვს არავითარი მნიშვნელობა.

— რაც არ უნდა დაღონებული ვიყოთ ამ გაურკვეველ სამყაროში, სამზეო მაინც მშვენიერი, — უთქვამს ივანე ბუნიან.¹ და რაკი კონკრეტულად არ მიუთითებია თუ როგორი სამზეო ჰქონდა მხედველობაში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისიც იზიარებდა მხედველებას ყოველგვარი სიცოცხლის მშვენიერების შესახებ. მაგრამ, მხოლოდ „იმიტომ რომ მაინც სჯობს ვიცხოვრობოდე, ვიდრე არ ვიცოცხლობდე“;² რომ „ყოველ ცოცხალს უკვე თვით თავისი ბუნებით ემინია დალუპვის, არყოფნისა და უცვარს სიცოცხლე“ (ჩერნიშევსკი).³ უმართებულთა ხელოვნებასაც მოვთხოვით მშვენიერების ესთეტიკურ კატეგორიამდე აიყვანოს „ყოველგვარი სიცოცხლე“. აქ სიტყვა „სჯობს“, არსებ-

თად, სიცოცხლის ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური შეფასება და არა ესთეტიკური, ხელოვნების მთავარ მიზანს — საუკეთესო, ადამიანური ცხოვრების მშვენიერებასაც სატყვის ხდის და, საერთოდ, უკლებელყოფს მშვენიერების ესთეტიკურ ბუნებას.

ხელოვნება, რაკი მხატვრული სახეებით, ესთეტიკურად ასახავს სინამდვილეს, ბუნებრივია, იგი ცნობილი გამოთქმის თანახმადაც სრულიად განასხვავებს „მშვენიერი მოხუცის დახატვას მოხუცის მშვენიერი დახატვისაგან“.⁴ ადრევე ვთქვით, რომ ხელოვნებისათვის ეს უკანასკნელია არსებითი, რადგან მის სპეციფიკურ დანიშნულებას მშვენიერი მხატვრული სახევა წარმოადგენს. მხატვარი, — როგორც ბელინსკი აღნიშნავდა, — ემსახურება ყველაფერს ამაღლებულსა და მშვენიერს, მაშინაც კი, როდესაც მათ არ ასვენებს, მაგრამ მართებულად ასახავს ცხოვრების მოვლენებს, რომლებიც ამაღლებულისა და მშვენიერის საპირისპიროა.

მიუხედავად იმისა, რომ მხატვრულად ასახული დადებითი მოვლენა უფრო მეტ ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს, ვიდრე იმავე ძალით ასახული უარყოფითი, თვით მხატვრული სახის სიმართლე ამგვარ ესთეტიკურ განკერძოებას გამოირიცხავს. რამდენადაც ხელოვნების დანიშნულებას წარმოადგენს არა აუცილებლად ესთეტიკური სინამდვილის ასახვა, არამედ ცხოვრებისეული სამყაროს შინაგანდინ სიმართლთა ჩვენება და ღრმა გაანალიზების შედეგადც „გამოაქვს მსჯავრი ცხოვრების მოვლენებზე“, დილია მისი ესთეტიკური ღირებულება.

სწორი არ არის, რომ თითქოს ესთეტიკური ღირებულება მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებს გააჩნია. მშვენიერი შეიძლება იყოს ვირტუოზულად გათამაშებული ჭადრაკის

¹ იხ. კანსანტინე პაუსტოვსკი, „ოქროს ვარდი“, თბილისი, „საბჭოთა საწარმოველო“, 1969 წ., გვ. 180.
² ნ. გ. ჩერნიშევსკი, „რჩეული ღილოსოფიური თხზულებანი“, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1954 წ., გვ. 309.

პარტიაცა და ფეხბურთის მატყვე. ურთულესი მათემატიკური გამოაზარებელია და ფიზიკის მცენერული კესპერიმენტები, სიკეთისათვის თავდადებული ბრძოლაც და კონვეიერული შრომის პროცესი... მაგრამ ყველა ეს სიმშვენიერე თავისთავადია, მხოლოდ საკუთარ არსზე მიგვიითიფებს და სხვას არაფერს ასახავს. ისინი შეიძლება თავად იქნებენ ხელოვნების ასახვის საგნად, რიგობს ესთეტიკური ღირებულებანი. თოვფილ გოტიეს შენიშვნა, რომ მიითქოს პოეტი არც არაფერს ამტკიცებს და არც არაფერს მოგვითხრობს, რომ ლექსის სილამაზე განაზრახულია მისივე მუსიკით, რიტმით. თუ სიტყვა „მტკიცებას“ არ მივიღებთ მხედველობაში, ეს უფრო ჩვენს მიერ სხვებულ თავისთავად ესთეტიკურ ღირებულებებს შეეფერება, ვიდრე პოეტსა და პოეტურ შემოქმედებას. მხატვრული ნაწარმოები ყოველთვის მოგვიითხრობს რაღაც არსებობის შესახებ. იდეური შინაარსის გამოხატვის გარეშე არ არსებობს არავითარი გარეგნული, თავისთავადი მხატვრული სილამაზე. გ. პლენხანოვი თავის შრომაში „ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება“ ყოველივე ეს საუკეთესოდ განმარტავს და უსზრო, გარეგნული სილამაზის თავიანთსმეცემელ ხელოვანთ ცხოვრობილი ლიტერატორისა და კრიტიკოსის მაქსიმ დიუკანის (1822-1894) ციტირებით მიმართა:

როდესაც ფორმას ახლავს ღრმა აზრი, მაშინ ის მართლაც მშვენიერია, მაგრამ რა არის შუბლი ლამაზიც, მისი პატრონი თუცა შეტარა.³

მასასადამე, სულ სხვა, გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს იდეური შინაარსის ამსახველ მხატვრულ ნაწარმოებებს. ესთეტიკური სიამოვნების მომგებელია მწერებში ჩამდგარი, რიტმულად ამოქმედებული მცელავეების ჯგუფი, მაგრამ სულ სხვაა ასევე ჯგუფურად ჩამწერებელი მოცეკვავეების მიერ განასახიერებელი „ხორუმი“. მცელავეთა შრომის პროცესი მშვენიერია თავისთავად და თავისთავად: უკრებს „ხორუმს“ რომ ასეთივე თავისთავადი, მქანკური რიტმი და ტაქტი ჭქონდა იდეური შინაარსის მხატვრული თხრობის შესაძლებლობის გარეშე, ხელოვნება არ იქნებოდა. გოტიესეული უშინაარსო ლექსითაც მხოლოდ რიტმის ამარა დარჩებოდა და ესთეტიკური ღირებულებითაც მცელავეთა შრომის პროცესთან შედარებით არაერთხად გამოიწმინდებოდა, რადგან მცელავეების რიტმული მოძრაობის სიმშვენიერე თით შრომის სტიმილატორად გველენება. საქმე ისაა, რომ „ხორუმის“ და მისი მონათვა სხვა საფერხული ცვევების („ლაზური“, „აფხაზური“, „ხასტა“ და სხვ.) მცელავეთა მოძრაობის მსგავსი ხასიათი, სწრაფი ტემპი, დინამიკით აღსაცემ გამომსახველი ფესტურ, მხატვრული სახის არაჩვეულებრივი მკაფიობა და კონკრეტულობა აღწევს. იგი თავისი ლაკონიური, კულტურულ-ქსარესული მოძრაობებით, გაჩვეულ სიუჟეტურ თანამიმდევრობას იცავს და სახეობრივად გადმოსატყვემს თიხი ნაწილისაგან შემდგარ იდეურ შინაარსს, რომელთაგან პირველი — რაზმის მიერ საბრძოლო ადგილის ორგანიზებულ შეწყობას, მეორე — წინამძღოლის საცანგაში ნიშნით მოწინააღმდეგე ბანაკის დაზვერვის დაწყებას, მესამე — ხელმართულ, გმირულ ბრძოლას და მეოთხე — მტკრულ განარჯვებას, სიხარულით შინ დაბრუნებას ასახავს. რა თქმაუნდა, ამგვარ მშვენიერ სანახაობას იდეურ შინაარსთან ერ-

თად დახვეწილი ფორმაცა და ესთეტიკური ღირებულებაც მეტი გააჩნია. სწორედ ამის გამო იყო, რომ ცვევა „ხორუმი“ ა. ბალანჩოვის ბალეტში „მოების გული“ (რომლის დადგმაც პირველად ვ. ჭაბუკიანმა განახორციელა ლენინგრადში 1938 წელს), მთელი სპექტაკლის ძირითადი დრამატული ხაზის განმარტებელი აღმზრდა. სწორედ და „ხორუმის“ შეუწყო ხელი თავისუფლებისათვის მებრძოლი, შეუპოვარი, გმირი ხალხის სახეობრივი ბატალური ტილოს შექმნას.

ამიტომ ვამბობთ, რომ ხელოვნების ნაწარმოებში გაადამიანურებული სინამდვილის მრავალმხრივი ასახვა განსაზღვრავს ესთეტიკური კატეგორიებისა და მშვენიერების შინაარსს. გაადამიანურებული სინამდვილის მრავალმხრივობა რომ მშვენიერისა და მახინჯის, ამაღლებულისა და მდაბალის, ტრაგიკულისა და კომიკურის... მუდმივ დაძირისპირებებით ხასიათდება. მასასადამე, შემოქმედი როგორც თვის, ასევე მორთავს მხატვრული სახის სრულყოფაში იძლევა და ამითვე ისწრაფვის ცხოვრებაში მათი განმტკიცების ან უარყოფისაკენ.

მხატვრული სახე განსაზღვრულ ფორმაში გვისწავრთებს ამა თუ იმ მნიშვნელობანი მოვლენის, სახანის, ადამიანის ცხოვრების სიღრმეში დაფარულ აზრს და აღწევს ჩვეულებრივი არაჩვეულებრივის, არაჩვეულებრივი დამახასიათებლის, ცალკეულში ზოგადის, პროსტალში პოეტურის, მცირედში ბევრის დანახვის შესაძლებლობებსაც. რაც უფრო დიდი პოეტისათვისა შემოქმედი, იგი თავის ნაწარმოებში მით უფრო სრულყოფილად აღვწენ ხელოვნების ყველა ამ ღირსებას.

ამ მხრივ სამავალითა, ვთქვათ, მეწა დელაკრუას (1798-1863) საყოველთაოდ აღიარებული ფერტილო „1830 წლის 28 ივლისი“ („თავისუფლება ბარკაიანბეში“).

1830 წლის ივლისის რევოლუციის დღეებში პარიზის ქუჩებში, მართლაც, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ბარკაიანების აგება და ფართო მასების ბრძოლა ადამიანური უფლებების დასაცავად. მაგრამ ამ ჩვეულებრივობაში მხატვარმა შესანიშნავად დაინახა ის არაჩვეულებრივიც, რაც ფიქტივ მოვლენის სიღრმეში იყო ბევრისთვის შემოწმველი. დელაკრუს ბევრ ვალენიან თანამედროვეს ეს ორმოცდათექვსმეტსათაიანი აჯანყება, ჩვეულებრივი, მასების „სტიქური თარეშად“ მიიჩნდა; მაგრამ მხატვარმა მოვლენის სამდვილო არსი — თავისუფალი და მშვენიერი ადამიანის შესახებ რომანტიკული ოცნების განხორციელების არაჩვეულებრივი სინამდვილე, სხეობრივ სიმართლედ აქცია. ეს ფერტილო უკვე თანამედროვეთათვის წარჩინადგნად სრულიად მოულოდნელ და ახალ მხატვრულ სიძველეს. ბევრმა მხოლოდ ამ სურათის ნახვის შემდეგ იგრძინო ჩვეულებრივი მოვლენაში გამოსახული არაჩვეულებრივი ძალა და ახალი პრიორესული იდეებისა, რომლებიც უკვე ედვარ გეტონდენ ტყელი წყობილების იდეათა ფარგლებში.

დემოკრატიულად განწყობილმა მხატვარმა სურათში მკვერტად გამოხატა თავისი სოციალური პროტესტი, დიდ განამართლებლობა მიერ წამოყვებულ თანასწორობის, ძიობისა და სამართლიანობის რაციონალურ გაგებას ნაზიარები რველუციური რომანტიკა. აქ დამახასიათებელი მცადუნდება გადაუტვრიათა ერთი მამოზოციის, მძაფრად დრამატული სიუჟეტისა და კით ფერწერულად გამოსახვის ლაკონური მხატვრული ხერხებით. თავისუფლებისათვის დაცემულთა ტრაგედიაში ჟღერს უკვდავების ჰიმნი. სიკვდილის პროზას ახადღურებს სიცოცხლის განმარტების პოეზია. სურათში პარზონიულად ერთიანდება სოციალური სინამხინჯის წინააღმდეგ აძრული ბრძოლის მშვენიერი რვა-

³ Г. В. Плеханов. Литература и эстетика. Госизд-во художественной литературы. М., 1958, стр. 148.

ლისტური ასახვა და თვით ამ ბრძოლის ასახვის რომანტიკული მშვენიერება.

მოწითალო და მოლურჯო ფერების ემოციურ გამაში, მკვეთრი ხაზების დინამიურ მთლიანობაში წარმოვიდგებოან იმ გმირული დღეების მონაწილეთა ამაღლებულად გარდაქმნილი სახეები.

დელაკრუს რეალიზმის სიღრმე, რევოლუციური პათოსი, ენერჯია, მძაფრი დინამიკა სურათში კულმინაციას აღწევს. მომხდარი ამბის სიტუაცია დეტალურადაა გადმოცემული, მაგრამ იგი მის პირდაპირ ასულ არ წარმოადგენს.

ცენტრალური ფიგურა — თავისუფლების სიმბოლო, ნახევრად შიმშველი ქალი, მარჯვენა ხელით რომ რესპუბლიკის სამფრთხილ დროშა აღუმართავს და მარცხენით ბიშტწამოცმული მახსნა უპყრია — რამდენადმე ანტიკური დახვეწილობით წარმოვიდგება და მთელი სურათის რეალურ-ალეგორიულ ერთიანობადაც გვევლინება. ეს მშვენიერი სახე (დელაკრუს ზოგიერთ თანამედროვეს სან-ლანზარეს ციხიდან გამოქცეულ დიაცად რომ ეჩვენებოდა) არც არავის ასლს წარმოადგენს და ამავე დროს მრავალის განსახიერებაცაა. იგი შეიძლება სწორედ ის ახალგაზრდა ქალია, იმ ისტორიულ დღეებში მონაბრტის ქუჩაზე ქმართან ერთად რომ თავგანწირულად იბრძოდა დაშინთა და ორი დამპყრობი შეიარაღებული; ან იქნებ კავშირი მომუშავე ის ერთი უბრალო გოგონაა, რომელმაც სუბ-დენის ქუჩის ბარიკადებზე პირველად აღმართა რესპუბლიკური დროშა... უთუოდ არის და არც არის, რადგან იგი ერთსა და იმავე დროს არც არავინაა და ყველა მათგანაცაა. უფრო სწორად, ის განსზოგადებული განსახიერება იმისი, ვინც შეუპოვრად იბრძოდა მეფის გვარლის წინააღმდეგ, ვისაც დაჭრილი შეამბოხენი გამოჰყავდა ბრძოლის ქარცეცხლიდან, ვინც ტყვეობით ამარაგებდა აჯანყებულებს...

ბრძოლის პათოსით აღსველებული ის დამახაშვმართული მალსაზი ბიჭუნა, მარცხნივ რომ მოყვება ამ მშვენიერ ქალს, რომელიმე ერთი მათგანის ასლი როდია: ასეთი მგზნებარე „გაგროშები“, მოზრდილებს რომ წინ უსწრებდნენ ბარიკადებზე და ტყვეობის ზუზუნს არ უშინდებოდნენ, იმ დროს ნამდვილად ბევრნი ყოფილან; დელაკრუამ კი იგი მინც ისეთი განსზოგადებული სიმშვენიერით წარმოსახა, რომ თავად იქცა არა ერთი შემოქმედის შთაგონე-

ბის წყაროდ. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ მან ეიქორტიკოს გაგროშს ოცი წლით დაასწრო ხელოვნების ქმნილება გაეცნობება. არც ისაა გასაკვირი, თუ თოფმომარჯველები, მასურთუიანი ინტელიგენტის სახეში თვით დელაკრუს მსგავსება შეიძენს. ამაშიც ჩანს მხატვრის უტყუარი კეთილდამიჯიდებულება რევოლუციისადმი. ამ ფერტილოს შექმნასთან დაკავშირებით იგი აკი წერდა თავის ძმას: თუ პირადად არ მიზრძოლია სამშობლისთვის, მისთვის სურათს მიხეც დაწერო.

ივლისის რევოლუციის თემაზე იმ ხანებში ორმოცდაათადე ნაწარმოები შექმნილა, მაგრამ ერთდღობა დელაკრუამ მიაღწია ცხოვრებისეული სინამდვილის მხატვრული შვერძების ისეთ ძლიერებას, როგორიც თვით მისსავე შემოქმედებაშიც კი არ გამოვლენილა არც მანამდე და არც შემდეგ. სინამდვილის მაღალი ტრავიკული სტილისა და რეალისტური სიმახილის სინთეზური ერთიანობით მას შეიძლება რამდენადმე ენათესავებოდეს დავითის „მარტის სკედილი“ (1793), ან ჟერიკოს „მედუსას“ ნაშთი“ (1818), რომლებსაც მკვეთრად ემჩნევათ ხუნებელი მხატვრების მიერ დრამატული ისტორიის ნამდვილი მოვლენით გატაცება და ისინი დიდი ოსტატობითაც აღწევენ მკაცრ რეალისტურ ასახვას, მაგრამ დელაკრუს უპირატესობა იმაშია, რომ მის მიზნას არც წარმოადგენდა ცოცხალი ისტორიის დოკუმენტალური, ფაქტიური მხარის პირდაპირი რეალიზაცია. იგი ექვება მთავარს—მომხდარი მოვლენის არსს და კიდევაც კივდა გარდაქმნილი სინამდვილის რეალისტურ წარმოსახვაში. მხატვრული სახის ამგავრი მოლიანობით კი სავსებით გამოვლინდა ჩვეულებრივი არაჩვეულებრივის, არაჩვეულებრივი დამახასიათებელის, ცალკეულში ზოგადის, პოზაულში პოეტურის, მკიერდმი ბევრის... დანახვის შესაძლებლობა. ხელოვნების მშვენიერების არსებითი დამახასიათებლობაც სწორედ ამაშია.

ალიარებულია, რომ მცენიერებისაგან განსხვავებით ხელოვნება მხატვრული სახეებით კი არ ამტკიცებს ქეშმარიტებას, არამედ აჩვენებს“ (ბ. ბელისკი). მაგრამ არც ეს არ უნდა გაგვიფიქროს, თითქმის ხელოვნება სრულიად თავისუფალი იყოს ყოველგვარი მტკიცებისაგან. რამდენადაც „ხელოვნება ცხოვრების ახსნა“ და მას „მსჯავრიც გამოაქვს ცხოვრების მოვლენებზე“ (ჩერნიშევსკი), არ შეიძლება არაფერს არ ამტკიცებდეს და, არც ის იქნება სწო-



თეოდორ ჟერიკო
„მედუსას“ ნაშთი

რი, იგი „სინამდვილის სურთაგატად“ ვაღიაროთ. ეს ჩერ-
ნიშვესკისეული წინააღმდეგობრიობა დიდი ხანია დაძლეუ-
ლია თანამედროვე ესთეტიკური აზროვნების მიერ. ხელოვ-
ნება თავისი საპედიკური მხატვრული საშუალებებით ჩვე-
ნებასთან ერთად თავისებურად კიდევ ამტკიცებს ჭეშმა-
რიტებას.

რაკი ხელოვნების მიზანი არ არის მხოლოდ მშვენიერე-
ბის, ან მხოლოდ მახინჯის ასახვა და იგი საბოლოოდ
მაინც მშვენიერებას ეძებს, პოულობს და ემსახურება, თვით
ასეთი ძიებაც მშვენიერა ხელოვნებაში, რადგან იგი სწო-
რედ ძიების გზით ამტკიცებს ჭეშმარიტებას. ხელოვნების
საბოლოო მიზანს არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს
მახინჯის ძიება. იგი მას მხოლოდ სწავლობს და აშკარა-
ვებს იმდენად, რამდენადაც სიმახინჯე თავისი ბუნებით
არანაკლებ რთულია, ვიდრე მშვენიერება, რომლის სახე-
ლითაც იგი ხშირად ყალბად სარგებლობს. თავისთავად არც
მშვენიერების ძიებაა ადგილი, და მით უმეტეს, მისი პოე-
ნა, მაგრამ მხატვარს ესთეტიკური იდეალი ყოველთვის
უმსუბუქებს გარემო სიმახინჯით გამოწვეულ სირთულეს.
თავად ზემოთხიის სახით ფ. დოსტოვესკის „დადებითი გმი-
რის“ საკუთარი იდეალი სურდა გამოეყვინა, და ამას კი-
დეც მიაღწია იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას აძ-
ლევდა „საკუთარი იდეალი“, მაგრამ ჭეშმარიტი მშვენიე-
რების მტკიცებას მაინც დიდად უშლიდა ხელს დროის სიმ-
ნიძე. „დიდხანს მაწვალებდა ერთი აზრი... გამომეხსაბა
სრულყოფილი მშვენიერი ადამიანი“, მაგრამ „ჩვენს დრო-
ში, ჩემის აზრით, ამაზე ძნელი არაფერია“, — წერდა იგი.
ამ ფაქტში დროის სიმახინჯის სირთულესთან ერთად თვე-
თის შემოქმედის გაუბედაობაც მქადაგებდა, რადგან დღემ-
დე არ არსებულა დრო სინამდვილის გარეშე, თუცა მშვე-
ნიერი მხატვრული სახეები მაინც შექმნილა. მართალია,
ეს სახეები ხშირად თავისი დროის სიმძიმის კვალსაც იმი-
ნევენ, მაგრამ დიდი შემოქმედების პირადივც, ბაბილინის
პერიოდებში მარგავენ. ვეგეტის პირამიდებს, ბაბილინის
დაიოცელს ბაღებს, არტემიდს ვითესის ტაძარს, ოლიმ-
პიელი ზევსის ქანდაკებას, კალიკარნასის მავთოლუმს,
როდოსის კოლოსს, ალექსანდრიის შეუქრას დროის სიმძი-
მის ბეჭდივც აზოთ, მაგრამ მათი სახით კაცობრიობის უძ-
ველესი ეპოქების სინამდვილური განმტკიცებელი მშვენიე-
რების ამ შვიდ საოცრებას კიდევ უფრო ეთაყვანება. მათ-
ში ამოუწურავი ძალა ვლინდება თვით მახლის შემოქმე-
დებით განიხანა. მშვენიერების განმტკიცებისათვის ყოველ-
გვარი სინამდვილისადმი შეუპოვარი დამოკიდებულებისა.
და თუ თანამედროვე ადამიანი განსაკუთრებით ბედნიერად
უნდა გრძნობდეს თავს ხელოვნების მშვენიერების ესოდნ
სიუბოთი, „შვიდ საოცრებასთან“ ერთად ეს მთელი წარსუ-
ლისა და აწმყის მშვენიერებისაკენ შეუპოვარი ღრთობის
კანონიერი შედეგია. ეს უტყუარი ფაქტია იმისა, რომ ჭეშ-
მარიტი მშვენიერების „მუზეუმი“ არასოდეს არ სდუმან და
ყოველთვის რაიმე სასიკეთოს დამტკიცებასაც აღწევენ.
მუზეუმი უტყარო თავისუფლებისა და მშვენიერების ატმოსფე-
როში შექმნილი გემგანზომიერი, ადამიანური კომფორტი,
მაგრამ ფილოსტრუალად მაინც არ იზიდავთ ყალიბ ანგა-
რების გზით გაიდვალეული „უფოთველი სილიადე“, ან
ნაძალადეკად აღიარებული, თავზე მოხვეული „პარმი-
ნის“ კულტი. ცხოვრების გარდაქმნის, გადახალისების და
ყოველგვარ საკეთესოს მტკიცების მისია მათ მარადიულად
აქტიურ, ქნედით როლს ასრუებს. ამიტომ არც თუ სასე-
ვით სწორია აღმოჩენა: თითქმის მუზეუმი სდუმან, როცა
ატმოსფერო რეაქტორი გუგუნებს. პირიქით, განსაზღვრის
ვამს კიდევ უფრო აქტიურდებიან ისინი, უფრო ქნედილ
იყვანენ მშვენიერებას. ხელოვნების ყოველ სახეობაში ვლინ-
დებიან ტირანისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ხმა-
მალელებული გმირები: პროპოვები თუ ამირანები, ქერკუ-



ჯორჯ რომინი

ლუდი პამპლონი

ლესები თუ ტარიელები, სპარტაკები თუ ჟან დარკები,
კარლ მორიები თუ ეგონოტები, „არასახები“ თუ რანმე-
ტრები, პუფაროები თუ არსენა თეატრები, ჩაპაიევი
თუ კიკიიები, სკვარცოები თუ მახარშვილები... „ქე-
რიშხლებისა და შეტვების“ ეპოქასაც კი არ ახსოვთ ხე-
ლოვნების მუშების დუმილი. ამგვარ ვითარებაში ხშირად
ტრაგიკულმც მეტ-ნაკლები ძალით გამოვლენილა ხოლმე
ამალდეგულის სილიადე. უძველესი „აერგამის ალტარი“
და „ლაორონი“, ტიციანის „წმინდა სებასტიანე“ ან მი-
ქელანჯელოს „დაივითი“, ფიას „შეამოხეთა დახვეტა-
ან ნავილის „პრაციების ფიცი“, როდენის „კალეს მოქა-
ლაქენი“, ან ვან-გოგის „პატიმრების გასერინება“, რიუდის
„მარსელიოზა“ ან პიკასოს „გერნიკა“... და ასე დაუმთავ-
რებლად ისახებდა ხოლმე ტრაგიკულ სიკვდილზე გა-
მარჯვებულ სიცოცხლე. ძალმომრეობაზე გამარჯვებული
თავისუფლება და ა. შ.

ქარიშხლის, როგორც მშვენიერებისათვის ბრძოლის სიმ-
ბოლოს, ქებათა ქებას უძღვნიდნენ ხელოვნების ყველა დარ-
გის წარმომადგენლები, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც პოე-
ტი (ბაირონი, შელი, გოეთე, შილერი, ლერმონტოვი,
ბერიუსოვი, გორკი, გალაკტინი...)

ვალერი ბრიუსოვი რუსეთის პირველი რევოლუციის წი-
ნა პერიოდში ქარიშხლის სილიადეს ასე გამოხატავდა:

გაშთვლებული ხანისის ბრწყინვა თვალებს ჭრის მგოსანს,
ის ძველებურად გაუსლილ და ბასრი არის,
პოეტს მუდამ ხალხთანაა ქარიშხლის დროსაც,
დები არიან სიძლერა და მძინევაზე ქარი.

(„ხაწალი“.)

გალაკტიონ ტაბიძე კი პირდაპირ მოუწოდებდა:

დავდეთ, იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი ღვას ანგველი, ახალ გრივალეს წერივით სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი.

(ჩვენ, პოეტები საქართველოსი).

ან „დაქროლეთ ქარო... მე არ მიყვარს ვე მყუდროება, მე ქარიშხალთან შემემა მინდა, დაქროლეთ ქარო...“ („მგზავრის სიღვრე“).

ამრიგად, ყოველი სახის ხელოვნება მშვენიერებისათვის იღვწის ყველა დროში და ყოველგვარ სიტუაციაში. მშვენიერება ამგვარ ბრძოლაშია, ხელოვნებაში ძირითადად ამას ემსახურება ტრაგიკული და კომიკურიც, დადებითიც და უარყოფითიც, როცა ხელოვანი უარყოფისას ასახავს, მაშინც იძრება დადებითობისთვის. ამაზე თავად მეტყველებენ ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებში შექმნილი რეალისტური მხატვრული სახეები და არა სინამდვილიდან მტკიცებულად გადმოტანილი პროტოტიპები. ასე მაგალითად, ი. გონჩაროვის ილია ობლომოვისა და ი. ჭავჭავაძის ნურსამ თათქარბის მხატვრულ სახეებში შესანიშნავადაა ნაჩვენები რუსი და ქართველი თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილის მანკური თვისებები. ცხადია, თვით ეს თვისებები არ განაჩვენებენ ესთეტიკურ სიამოვნებას, მაგრამ ეს ესთეტიკურა მათი ასახვის ფორმა, ჩვენთვის საშუალება, ხოლო ჩვენთვისადაც ერთად მოცემულია იმ ჭეშმარიტების მტკიცება, რომ ასეთი არაადამიანური, მანკური ცხოვრება, როგორც ობლომოვსა და თათქარბეს სწევიათ, არაკანონზომიერია. მართალია, კრიტიკული რეალიზმის შესატყვისად ავტორები ამ მანკიერების დაძლევის გზებს არ გვიასახელებ, მაგრამ ცხოვრების არაკანონზომიერია ჩვენებისადმი ზიზღით განგაჟყობენ და ამით მშვენიერი, კანონზომიერი ცხოვრებისადმი თავდადებასაც გვიმტკიცებენ.

ჭეშმარიტი ხელოვნების მთავარი მიზანი ცხოვრების, ადამიანთა სულიერი სამყაროს მშვენიერებისაკენ მოწოდებაა. არაპირდაპირი გზით, მაგრამ მშვენიერების შესავლად, ისიც თავისებურად შემოქმედებს მხატვრობებიც ცხოვრების მატერიალური პირობების განვითარებაზე. აქ მნიშვნელობა იმას აქვს, თუ რამდენად აქტიური ან პასიურია იგი, როგორი სიმპათიებით თუ ანტიპათიებით მოქმედებს სინამდვილის უკეთესი გარდაქმნისათვის, როგორი ბრძოლის უნარს ავლენს სოციალური და მშვენიერული პროგრესისათვის. ყველა როდი ფიქრობს აქტიური ტოლსტოის მსგავსად. ცნობილი ტრილოგიის („წამების გზაზე“) ავტორი კი თავისივე შემოქმედებითი პრინციპებისად გამომდინარე ამბობდა: „მთლიანად შეუპოვბილი ვარ გარდაქმნისა და ახალი სამყაროს შეშენის იდეებით. ია, რთი ვახსელ თვალს. მე ვხედავ სამყაროს სახეებს, ვცნობ მათს მნიშვნელობას, მაის ურთიერთყვარობის, მათს დამოკიდებულებას ჩემდამი და ჩემს დამოკიდებულებას მათდამი“⁴.

ერთი შეხედვით, თანამედროვე იტალიელი ნეორეალისტების მიზანი თითქოს მხოლოდ ისაა, რომ ყოველგვარი გარდაქმნისათვის მტკიცებების გარეშე, მხატვრული სახეებით გვიჩვენონ „ცხოვრება, როგორც ის არის“. მაგრამ, სინამდვილეში რეალისტური ასახვის გზით, აშკარა წინააღმდეგობის გათუქვინებად მაინც განვვიმტკიცებენ აზრს ნაჩვენებ არაკანონზომიერი ცხოვრების გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ. ამის დამატურებელია, მაგალითად, ფილმებიდან ვიტორიო დე სიკას „ველოსიპედების მტაცებლები“, ჟუსუე და სანტისის „რომი 11 საათზე“,

პიეტრო ჯერმის „იმედის გზა“ თუ ელვარდ ვე ფილიპის „ნეალოგი — მილიონთა ქალაქი“... სახვითი ხელოვნებიდან — ჯ. მანვის „კლოუნი“, კ. ლევის „დღეობა“, რ. გუტუსოს „დღერითი ჩვენთანაა“, უ. ატარდის „პატიმრები და ვეჯილბო“, გ. შუკის „მიწა“ თუ ა. პიენარის „მტვირთავი“... ლიტერატურიდან — ელიო ვიტორინის „სიცოცხლის სახეები“, ვასკო პრატიკოსის „უბანი“, ჩენაზე პავსევის „ამხანაგი“, ალბერტ მორანის „ჩოჩარა“, რინატ ვიგანის „ანგეზ მიდის სასიკვდილოდ“ და ა. შ.

ნეორეალისტური ხელოვნების მშვენიერება (ისე როგორც, საერთოდ, რეალისტური ხელოვნებისა) იმანია, რომ იგი უარყოფითი ცხოვრების მხილვის გზითაც შესანიშნავად გამოხატავს თავისი ესთეტიკური იდეალის განხორციელებისათვის სწრაფვასაც. ეტალონად მიიჩნევა კანონზომიერი, ცხოვრებისეული მინარის მშვენიერებასაც. ამრიგად, უარყოფითი სინამდვილე რეალისტურ ხელოვნებაში თვით მხატვრული წარმოსახვის სპეციფიკური არსის შედეგად მართლაც ღდება ესთეტიკური ფუნქციონირება და არც თუ სწორია მტკიცება, თითქოს ხელოვანი მხოლოდ სინამდვილის ესთეტიკური თვისებების წარმოსახვის შემოქმედით აღწევდეს თავის ესთეტიკური სიფის განხორციელებას (ვ. ვასალივი). მაგალითად, ჟუსუე და სანტისის ესთეტიკური იდეალ წარმოადგენს თავისუფალი, უფლებამოსილი, კეთილშობილური საქმეების შემოქმედებადამიან, მაგრამ ის სინამდვილე, რომელსაც იგი ასახავს თავის ფილმებში, სრულიადაც არ შეეფერება მის იდეალს. მიუხედავად ამისა, მიუხედავად მახინჯი სინამდვილის არაესთეტიკური თვისებების ასახვისა, დე სანტის მაინც ახერხებს გამომხატოს თავისი იდეალი და თუცა იგი სახეობრივად უწინარია (როგორც მიზანი), მაინც მთავარ გმირს წარმოადგენს ისევე, როგორც გოგოლისთვის „რევიზორის“ ერთ უწინარ მთავარ დადებით გმირს მიდორინდელი მიხინჯი ცხოვრების უარყოფილი სიცილი წარმოადგენდა.

უფრო კონკრეტულ მაგალითისთვის შევხებით ჟუსუე და სანტისის ფილმს „რომი 11 საათზე“, რომელიც თითქოს არაფერს გვიმტკიცებს, მაგრამ მშვენიერად გვიჩვენებს ერთ დამასასიათებელ ფაქტს უმუშევრად დარჩენილი ქალების ტრაგიკული შემთხვევის შესახებ. ავტორი არსად არ ასახელებს თუ ვინაა დამნაშავე კიბების ჩანგრეასთან დაკავშირებული უიღადის მხსვერვლის გაღებაში, მაგრამ ფილმის მთელი მინარის მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ვიდრე არ შეიქმნება ესთეტიკური იდეალი და სასული ადამიანისათვის შესაფერისი ცხოვრება, ამგვარი ტრაგიკული შემთხვევების მიზეზი, მთავარი და დამნაშავე სოციალური უკუღმართობა იქნება. ამრიგად, ფილმში არაესთეტიკური სინამდვილე, მშვენიერი მხატვრული წარმოსახვის შედეგად ესთეტიკური ფუნქციონირება მაინც ხდება.

ცნობილია, რომ ცალკეული ნეორეალისტები, მაკარი ცენსურული პირობების გამო, ჯერ კიდევ ვერ სახავენ ამგვარ წინააღმდეგობის გზებს, მაგრამ მშვენიერი ცხოვრებისათვის თავდადების გამომსახველ თავიანთ ხელოვნებას მხატვრული სიმართლის, ხალხურობის, ადამიანურობის დამკვიდრების პრინციპებით განამტკიცებენ. იტალიელმა სასოგადო მოღვაწემ დანილო დლოჩიმ თითქმის ნეორეალისტების სახელით განაცხადა: — „წინააღმდეგობის გაუქვებლობა არ ნიშნავს პასიურობას... ვინად ამბობდა: ზოგიერთ შემთხვევაში უკეთესია პორტუგლის მიმართ წინააღმდეგობა, ვიდრე მისგან თავის დაღწევა, მაგრამ წინააღმდეგობა ვანეროდო როგორც ერთს, ისევე მეორესაც...“⁵ რა ოქმა სუნდა, პასიურობის განპართობის ამგვარი პრინციპი (ისევე როგორც, საერთოდ, მივილი კრიტიკული რეა-

⁴ Алексей Толстой, Сборн. соч., т. 10, М., 1961, стр. 257.

⁵ «В защиту мира», 1960 г., № 4, стр. 45.

ჯერ ერთი, როცა არისტოტელე პოეზიის სპეციფიკურ სახანად ხამდილიად მომხდარს (ე. ი. ყოფილ მივლენას) კი არა, არამედ შესაძლებელს მიიჩნევს, ეს „შესაძლებელი“ სულაც არ უნდა გავიოთ არასტეხელ სინამდვილდ. რაკი შესაძლებელია მისი არსებობა, ის უკვე რეალისტურია. პოეტის (ხელოვანის) ამ შესაძლებელს საბოლოოდ მაინც დასაშვები სინამდვილასში მიმაძიებს შედეგად წარმოსახვს. სწორედ რომ წარმოსახვად ან არა „წარმოსადგენს“, რადგან პოეტის ეს არა, სახიროსოაის საქმეა სინამდვილე ფაქტების უსუსტი აღწერით წარმოადგინოს. ამიტომ სიტყვა „მიზაბაჟა“, მართალია, ყოველთვის იყო ამბორებაში, მაგრამ როგორც თვით ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებები ადსტურებენ, პრაქტიკულად იგი ყოველ საუკეთესო შემთხვევაში მუდამ წარმოსახვის ცნებით იყო გაგებელი; ასე რომ გამოვიჩინო და მეტისმეტად ვაზვადებულ ბრალდებად გამოიყურება მთელი ორი ასობა საუკუნეების ესტეტური აზროვნების სახელით არისტოტელეს პოეტიკის გაყვობებად აღიარება. სხვას რომ თავი დაუხეობთ, ჯერ მარტო რენესანსის ტიტანებიც კმარა ასეთი ბრალდების მოსახსნელად. მაგრამ, საბედობეროდ, ამ ხნის მანძილზე არსებულ მთელი რეალისტური ხელოვნება, მთელი პროგრესული ესტეტური აზროვნება ადსტურებს არისტოტელეს მიმეზისის საუკეთესო გაგებას. მით უმეტეს ბრეტის ეპოქაში, როცა წარმოსახვამ კულმინაციას მიაღწია.

საუკეთესო გაგებით, მიზაბეის თეორიასთან მჭიდროდა დაკავშირებული საკითხი სინამდვილის შესწავლის შესახებ. დიდი ხანი შემწევულია, რომ საგნის ესტეტური აღქმისათვის აუცილებელია თვით საგნის ცოდნა. ამ გარემოებას მარტო ასე ააბოთებდა: „...Человек не терпает лишь тогда в своем предмете, когда последний становится для него человеческим предметом или предметным человеком“.

ყოველი მხატვრული ნაწარმოების ხარისხი იმზეა და მოკიდებული, თუ მისი ავტორი რამდენად ღრმად არის გაცნობილი ასახვის სფეროს, საგნობრივ სინამდვილეს.

ცნობილი ინგლისელი პოეზიისტი ეოზეფ ტენერი (1775-1851), რომელიც თითქმის მხოლოდ პერისა და სინათლის გადმოცემის ეფექტით იყო გატაცებული და რეალურ საგნებს უფრო მეორეხარისხოვანად, სუბექტიური აღქმის საშუალებად იყენებდა, უპირველესად სინამდვილეში თვით ამ „მეორეხარისხოვან საგნობრიობას“ სწავლობდა. სივრცესაც და სინათლესაც საგნობრივი მრავალფეროვნების ღრმა შემეცნების საფუძველზე აღქვამდა და უფროდნად პირად შთაბეჭდილებრივ განწყობილებებს იმდევარდა, როგორცდემ შემდეგში ეს შესანიშნავად აითვისეს იმპრესიონისტებმა. ტენერის ინგლისური პოეზიებზე კი აღარ აკმაყოფილებდა და სამყაროს მრავალმხრივობის უკეთ შესაცნობად ხან კალუმი მიეჭაზარებოდა, ხან ენეციაში და ხან შვიციაში... ყველაგა ეძებდა მყარ მასალას თავისი „ფურქურული სიმფონიებისათვის“.

ოგოცურ რენეზარი საგანგებოდ ვაგონინდა ხოლმე თავის ძმას ქურაში, რათა ყოველგვარი საბაბით ცოტა ხნით მაინც შეეჩერებინა მისთვის საინტერესო „ტიპაჟი“. ის კი ამ დროს შემწევნილად ხატავდა მას ფანჯრადან.

შოკინი გახმოვანებულ ბუნებაში ჯებდა გამუდმებით „მასალას“ თავისი უსისკალოვანი ნაწარმოებისათვის, ბალზაკი, ტოლსტოი, იუიან ჭეჭვაჟაჟა... მხატვრული სახეებადმედ ამაღლებდნენ ლიტერატურულ პროტოტიპებს და ასე გრძელდება ყოველთვის.

მაგრამ სდება ისეც, როცა საგნის გაგებას, გამოსახატავი პიროვნების შესწავლას შემოქმედი ზოგჯერ თვით საგნის, პიროვნების ტემპარატი ბუნების საპირისპიროდ, საკუთარი ესტეტური იდეალის შესატყვისად იყენებს.

XV საუკუნიდან დღემდე მთელი მსოფლიო სიმანხნის ერთ ფაქტურ გასახიერებად იცნობს „ბოროტების უიედეს შემოქმედს“ თემერ-ლენგას. ისტორიის ღრმა შესწავლის საფუძველზე ასე იცნობდა მას XVI საუკუნის ინგლისელი დრამატურგი ქრისტოფერ მარლო (1564-1593). მაგრამ საყოველთაოდ აღიარებულ ორწარწილან ტრავადიაში („ტამარანი“) მან ეს სისხლისმსმელი ტრანია თავისი დემოკრატიული მოლოდინმდველობისა და ესტეტური იდეალის შესატყვისად, ტიტანურ პიროვნებად წარმოადგინა. ყურადღების ცენტრში მოაქცია ის, უბრალოდ ენეზიდან გამოსული მწყემსი თუ როგორ ამაღლდა „მსოფლიოს განთავისუფლებისათვის“ ზრუნვის კეთილმოზილურ შემეცნებად.

ინგლისელ ფერმწერს ჯოჯო რიშის (1734-1802) გარდა გაბეჭდილი, რომ ემა პარტი (შემდეგში ლედი ამპილტონად ცნობილი) ავანტიურისტი იყო, მაგრამ მხატვარმა თავის იდეალს დაუქვემდებარა ამ გარეგულად მომბიბულევი ქალის პლასტიკური სილამაზე. მრავალრიცხოვან პორტრეტებში იგი მას ხან ვაკე ქალის, ხან ფერიისა და ხან ნადირიის ქალმერთის სახით გამოასახლდა, ოღონდ არა ლედი ამპილტონისა, რომელიც თვითონ უფრო კარგად გრძნობდა თავის ყალბ ზეგაგუნებას მხატვრის მთელ შემოქმედებაზე.

ყოველივე ადამიანურის მხატვრული ნათელყოფა: ხელოვნებას ყველა ქვეყნისა და ყველა ერისათვის გასაგებდხის. მართალია, ყოველი ხალხის ხელოვნებას თავისი ერთეული ფორმიცე გააჩნია, მაგრამ შინაარსი ნაციონალურთან ერთად ზოგადკაცობრიულიცაა. იაპონელის როცეც ცხოვრებაში, ისე ხელოვნებაშიც, უყვარი ბუნებრივის, ნატურალურისა და სინთეზის ეფექტი. მათ ამ ეფექტის შესახარეულებად თავიანთი დემურით კვით და მოქული სიციუტლის განმავლობაში შვენიერების სხვა დემურთებთან ერთად მას ეთავყვანიბიან. ყოველივე ეს ხელს არ უშლის შემქნანს სიახლათა ასახვით, ოღონდ ადამიანური ხელოვნება, რომელიც გასაგებია იქნება, ვიქვათ, ჩინელი-სათვის, რომელსაც მშვენიერების სრულიად საპირისპირო ფორმები აქვს გამოუმუშავებელი. მით, მაგალითად, უფრო იტაცებთ ყოველივე ბუნებრივის მოპირკეთებას საგნების მოწყობებას, მკვეთრი შეფერადება, მკაფიო დასრულებულიობა და ა. შ. მოლიანობაში კი როგორც ჩინელს, ისე იაპონელსაც შესწევს უნარი საერთოდ ყველასათვის გასაგები მშვენიერი ხელოვნების შექმნისა.

ავენიშნავი ხა ხელოვნების ერთეულ და ზოგადკაცობრიულ ერთიანობას, ყველა ადამიანზე მისი ესტეტური შემოქმედების დიდ ძალას, ამით სულაც არ ვაუბრალოებთ ხელოვნების სპეციფიკურ ენას, რომლის გაგებასაც სათანადოდ მხატვრული განათლება სჭირდება. უხელოეთ გაგებენდება ლაღო ავალიანის რომანის „ახალი პირიზონტის“ ცენტრალური გმირის შატბია აპაბიბის მიმართ. ავა გლუბებისადმი: „ჩვენ მარტო იმას ვეწერ და ვლაპარაკობთ, ხელოვნება გასაგები უნდა იყოს, მაგრამ ამაღლებე უნ წიგნი წერა-კითხვის უცოდინარს და უთხარი-ხომ სხედა, რა მკაფიოდ არის დაბეჭდილი ასეთი, ამა ერთი წამითხეოთ“. მართლაც, ყოველად წარმოუდგენელია ხელოვნების ენის ელემენტარული ცოდნის გარეშე. მისი სიმშვენიერის სრული შეგრძნება. მით უმეტეს, როცა ხე-

8 ლაღო ავალიანი. „ახალი პირიზონტი“, თბილისი. „საბუთო საქართველო“. 1971 წ. გვ. 969.

6 K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. III, стр. 626.

კლდე მონე
შობაძე-ლოლა



ლოვნების ყოველ დარგს და მის ყოველ სახეობას საკუთარი სპეციფიკური ენაც გააჩნია.

მკითხველი, რაც უფრო განათლებულია მხატვრულად, მით უფრო ნათლად გრძნობს, მაგალითად, ლიტერატურული მეტყველების ერთ-ერთ არსებით თვისებას — მეტყველების კეთილშობიანებას, რაც ერთნაირად ძვირფასია როგორც პროზის, ასევე პოეზისთვისაც. ლიტერატურაში ჩახედული ადამიანი ესთეტიკურად აღიკვემს პოეზიის განსაკუთრებულ რითმიულ და რიტმულ კანონზომიერებას, სიტყვის შინაარსის აკუსტიკურ თვალსაჩინოებას, ალიტერაციას („ა კ რ ვ ი ს კ ა ლ თ ა ჩ ა ხ ლ ა რ თ უ ლ ი, ჩ ა ვ ჭ ე რ - ჩ ა ვ ა კ ა რ ა ბ ა კ ე“), მუსიკას, მაგრამ სიტყვის პოეტურ შეწყობას პროზაშიაც საკმაოდ ამჩნევს. ალიტერაცია ხომ პროზის დამამშვენებელ კომპონენტსაც წარმოადგენს (მაგალითად, კონსტანტინე განაახურდიას ლექსის ალიტერაცია „ზღვისფერი ვაჭის თვალები და თავად ჭკვეხარ ზღვას“, მისსავე პროზაულ ნაწარმოებში „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაშიც“ თავისებურად შედარებულია: „ლასისტანის ზღვა ღელავდა შორენას ზღვისფერ თვალებში“).

ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით ლიტერატურას სინამდვილის უფრო ფართო და სრულყოფილი ჩვენების შესაძლებლობა აქვს. სიტყვის საშუალებით იგი ნაციონალურისა და ზოგადასაკაცობრიოს ერთიანობაში განიხილავს საზოგადოების პროგრესულ იდეას. ლიტერატურა სიტყვით არ იზღუდება, ისე, როგორც, მაგალითად, მხატვრობა — ფერიიდა და ხასით, მუსიკა — ბეგრით, ქანდაკება — ქვით თუ ხით, თეატრი — სცენური და კინო — ეკრანული თავისებურებით.

ლიტერატურული ნაწარმოები მაშინაა სრულყოფილად მშვენიერი, როცა მას თავისი გამართული არქიტექტონიკის (ფაბულის, სიუჟეტის, რიტმის, რითმის, ტერმინის, ტაქტის და სხვა კომპოზიციური ერთობლიობის) შესაბამისად გააჩნია საზოგადოებრივი, აღმშრდლობითი, აღმუშაობის და ესთეტიკური ღირსება, როცა ნაწარმოების აგება-

აშენების ტექნიკასთან ერთად მაღალ დონეზეა იდევრი ჩანაფიქრის მხატვრული გამოახვევის ფორმა.

აკაკი წერეთლის ლექსის სტრიქონები „მე ჩინგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს, განამტკიცოს აზრი წმინდა, გულს სიწმინდით ახურებდეს“ — მხოლოდ პოეზიის ქურუმებისთვის როდია სამაგალითო. იგი ერთნაირად აუცილებელია ხელოვნების ყოველი დარგის მსახურისთვის.

ხელოვნების ისეთი სახეობა, როგორცაა მუსიკა, რომელსაც არ შეუძლია თვალსაჩინოდ დავიხატოს სამყაროს კონკრეტულობა, საგნობრიობა, ლიტერატურულ მასალაზე დაყრდნობით მაინც ახერხებს დიდი მოვლენების ემოციური აზრის გადმოცემას. ამიტომ მიმწვინელოვანია ამ მოვლენის ლიტერატურული შინაარსის წინასწარი ცოდნაც, რათა, ჩვეულებრივ, მუსიკალური სმენისათვის გასაგებმა მუსიკალურმა ენამ კონკრეტული აზრი გამოაფიქროს. „უპროგრამო მუსიკის“ მქადაგებლებს ბეგრების კაკაფონიით არ ძალუთ ადამიანის ესთეტიკური აზრდება. ღრმა შინაარსის გარეშე და, საერთოდაც, შინაარსის გარეშე მუსიკით აღძრული ემოციები ყოველთვის სტიქიური ხასიათისანი არიან და ესთეტიკურ ტკიპობას ვერ გამოიწვევენ. ზშირად იმხენებენ ერთ მაგალითს: კომპოზიტორმა, რომელმაც შექმნა კლასიკური სონატა, არ დატოვა მისი ლიტერატურული შინაარსი. ყოველმა მუსიკისმცოდნემ იგი თავისებურად ახსნა, ერთნი მას მიიჩნევდნენ დაღუპული ქალიშვილის ისტორიად, მეორენი — მოთხრობად გადაღეული ყვავილზე, მესამენი — გაქურდულ მოცინებელად და ა. შ. ამგვარად, მუსიკის ემოციურმა შედეგმა ესთეტიკური ნაყოფი მაინც „წარმოდგენილი შინაარსით“ გამოიღო და არა უაზრო ბრახარხუთ.

რაც შეეხება სახეით ხელოვნებას, იგი სამყაროს გვიწვენებს ხილულ ფორმაში და, თეატრის, მუსიკის, კინოსა თუ ლიტერატურისაგან განსხვავებით, არ შეუძლია სინამდვილე გადმოგვეცადოს დროში, მოძრაობაში, განვითარებაში. ის, რომ იგი შეუღლდულია ერთი მომენტით და მისი სახეები

კონკრეტული დროის მსვლელობის გარეშე არსებობენ სივრცეში, მოცულობაში, სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მხატვარს, მოქანდაკეს... არ შეეძლოს გადმოცემა არსებითი მოვლენებისა. ისინი ერთ მომენტშიც ახერხებენ დაგვიანახოს მშვენიერი თუ მახინჯი მთელი თავისი სირთულეებით, მოქმედებით, შინაარსის „ილუზიური“ განვითარებით, აზრის სიღრმით, ესთეტიკური ზემოქმედებით. როგორც იტყვიან, ფერწერის სისლდი და სხეულია ფერი, კოლორიტი, რომელიც მას უდიდეს უპირატესობას ანიჭებს ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით. ფერი ბუნებასა და ფერი ხელოვნებაში ეს ერთსა და იმავე დროს ესთეტიკური შვრტმების სხვადასხვა და ერთმანეთის შემავსებელი საშუალებაა. იმპრესიონისტების შემდეგ ადამიანმა ბევრი რამ ახალი შენიშნა ბუნებაში, მაგრამ ის, რაც იმპრესიონისტებმა შენიშნეს ახლებურად, უპირველესად მაინც თვით ბუნების ღირსებაა. იმპრესიონისტებმა სამყარო მზიური კუთხით დაინახეს და ფერისა და სინათლის სიმფონიებით უკვდავდგეს სინამდვილის ცხოვრებისეული ფრაგმენტები. მათ სურათებში სიუჟეტიც კი ფერადოვანი ტონალობით გადმოიცემა და არა თვით შინაარსით.

ამაში ცდა ხელოვნების სახეობათა ერთმანეთში შერევისა. ყოველ სახეს თავისი სპეციფიკური სიმშვენიერე გააჩნია და თუ თეატრი და კინო სინთეზურ ფორმაში აერ-

თიანებს ხელოვნების სხვადასხვა დარგს, ეს როდი ნიშნავს, რომ ისინი მათი მექანიკური „გამაერთიანებლები“ არიან. თეატრისა და კინოს სიმშვენიერე ამ სინთეზის საკუთარ ენაზე ამტკყველებია.

თანამედროვე პოეტური რეალიზმი ფართო გასაქანს აძლევს ხელოვნების ყოველ დარგს. პიკასოსა და ბრეჰტის, მიაოტავსისა და ჰემინგუეის, სტრაინსკისა და პროკოფიევის მხატვრული მრავალფეროვნების საუკუნე სულ ახალ-ახალი ფორმებით სახავს სამყაროს. ახლის ძიება ხშირად პროგრესულის ნიღბით მოქმედებს და მოჩვენებითად სარგებლობს „მშვენიერების კანონების სახელით“, მაგრამ ამ სიყალბეს ფარდა ეხდება ხოლმე ესთეტიკურად გამახვილებული, დიდი მხატვრული გემოვნების მქონე შემფასებლების მიერ, ოსკარ უაილდის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ხელოვანი მშვენიერების შემოქმედი“.

...ისინი, ვინც სილამაზეში მახინჯ მხარეებს კოვებენ, ბილწი სულის ადამიანები არიან და არც მომხიბვლელია გააჩნიათ.

ისინი, ვისაც შესწევთ უნარი სილამაზის მაღალ აზრს ჩასწვდნენ, განსწავლული ადამიანებია, მათ უიმედოდ ვერ ჩავევლით.

რჩეული შეიძლება მხოლოდ იმას ვუწოდოთ, ვისთვისაც მშვენიერება მხოლოდ მშვენიერებას ნიშნავს“.



რ. ნაროშვილი
ბეკობენის პორტრეტი

მხატვრული სტილი და შეპოქაქვლი პეტილი

ნოდარ კოლოკავა

მხატვრული სტილის ტიპოლოგიურ არს განსაზღვრავს შემოქმედებითი მეთოდი, მაგრამ თვით მეთოდის ცნების ზუსტად დაუდგენლობა, სტილის ცნების გაზუნდოვანებასთან ერთად, ზოგჯერ ერთგვარი გაურკვეველობის სათავე ხდება შემოქმედებით პრაქტიკაშიც. კერძოდ, ზოგიერთ საკმაოდ ცნობილ თანამედროვე მწერალთან გვხვდება სოციალისტური რეალიზმის მეთოდისა და სინამდვილის ცნობიერების ნაკადის ასპექტში წარმოსახვის შეთავსების ცდები. პერსონაჟის ცნობიერების ნაკადის ამსახველი სურათები (გარკვეულ სიუჟეტურ სიტუაციებთან დაკავშირებით) ნამდვილად შეიძლება მოგვევლინონ დიდი მხატვრული სიმართლის ერთ-ერთ კომპონენტად, მაგრამ მისი აღიარება ესთეტიკურ თვალსაზრისად სრული გაუგებრობაა, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება ლიტერატურის კლასიკურ ფორმათა განრული თავისებურებების მსხვერვასა და ტიპიურობის უარყოფას, რასაც საერთო არაფერი აქვს რეალიზმთან.

მხატვრული სტილისა და შემოქმედებითი მეთოდის პრობლემებს იკვლევს მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები. გარკვეული მონაპოვარი ამ საკითხების შესწავლაში გააჩნია ლიტერატურაშიმცოდნეობასაც. თუმცა ამ ბოლო დროს

ზოგიერთი ესთეტიკოსი ამჟღავნებს ლიტერატურათმცოდნეთა კვლევა-ძიებების შედეგად მიღებული პოზიტიური დასკვნების უგულებელყოფის ტენდენციებს. მაგალითად, ჟურნალ „კოპობის ლიტერატურის“ 1967 წლის მესამე ნომერში გამოქვეყნდა მ. კაკაბის სტატია, რომლის დაბეჭდვა ყოველგვარი სარედუქციო შეზღუდვის გარეშე განცხადრებას იწვევს.

მ. კაკაბის მტკიცებით, მხატვრული მეთოდის ცნების სრული გაურკვეველობა აიხსნება ლიტერატურათმცოდნეთაგან მისი შესწავლის მონოპოლიზირებით. ავტორის აზრით, ისინი პრობლემას ზოგადი არსის მიხედვით კი არ სწავლობენ, არამედ მკვლევარ მხოლოდ ლიტერატურათმცოდნისეულ დეფინიციებს. მ. კაკაბი არასრულფასოვნად მიიჩნევს რეალიზმის ენგელისეულ განსაზღვრებასაც. მისი აზრით, ფ. ენგელის მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ, მწერლის მხოლოდ ერთი ფუნქციის, ეჭირის მონაცემებს ითვალისწინებდა. მ. კაკაბის შესვლულიებით, ხელოვნების შემეცნებითი დაინშნულების აღიარება ნიშნავს მისი ზოგადი კანონების შეცვლას კერძო კანონებით, რადგანაც აქედან თავისთავად კეთდება დასკვნა ხელოვნების ძირითადი სახეობათა არასრულფასოვნების შესახებ. ამ მოსაზრების საინტერესაციოდ ავტორი იშველიებს

არარეალისტურ მიმდინარეობათა მონაცემებს.

ჩვენი აზრით, რეალიზმის სფეროში ხელოვნების შემეცნებითი ფუნქციის მთელი სისავსით გამოვლენის აღიარება არ ნიშნავს, რომ სხვა მიმდინარეობანი საერთოდ უარყოფენ სინამდვილის შემეცნებას. მართალია, ისინი ერთგვარად ზღუდავენ ცხოვრების სრულყოფილ რეპროდუქციას მხატვრულ შემოქმედებაში, მაგრამ მათი გამოჩენილი წარმომადგენლების ნაწარმოებებში ვლინდება სამყაროს მრავალფეროვნების ღრმა და შთამბეჭდავი წარმოსახვა. ყოველი შემოქმედებითი მეთოდი სინამდვილის წარმოსახვის მხატვრული ფორმების თავისებური გავებით ხასიათდება. მ. კაკაბი ცდილობს დაადგინოს პრიორიტული და ფორმალისტური მეთოდების გამომოსახელობათა ფორმების საერთო ნიშნები. მისი აზრით, ხელოვნების მიერ მოპოვებული სულიერი შინაარსის გადმოსაცემად ხელოვნებას ესაჭიროება ნიშნების განსაკუთრებული სისტემა, „შეცემული ინფორმაციის კოდირება“. ხელოვნების ენის, როგორც „სტილის საფუძვლის“ (კ. ფედინი) ამგვარი ინტერპრეტაცია უწინააღმდეგება როგორც რეალიზმის, ისე სხვა დემოკრატიული მიმდინარეობების ესთეტიკურ-მხატვრულ თვალსაზრისს, რადგანაც პროგრესული ხელოვნების ყველა საუკეთესო ქმნილება სათქმელის დაფარვასა და გაბუნდოვანებას კი არა, არამედ ნათლად დატანკვებად განსახიერებას ისახავს მიზნად. ამიტომ ჭკმშირტ ხელოვნებაში „კოდირებისათვის“ ადგილი არ რჩება. მ. კაკაბი არასწორად იყენებს ფ. კაუკასა და პიკასოს შემოქმედებას თავისი დებულების საილუმტრაციოდ. აკრიტიკებს რა მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც რეალიზმი ხელოვნების არსის, ბუნების სრულყოფილი გამოვლენის ნიშნავია, მ. კაკაბი აღნიშნავს: „აქ იქნებდა საშიში ალტერნატივა: ან კაუკა და პიკასო არიან რეალისტები, ანდა საერთოდ არ არიან ისინი ხელოვნანი“.

კრიტიკული რეალიზმის მიხნევა ყველაზე მაღალი და სრულყოფილი პრინციპების მომცველ მეთოდად სოციალისტური რეალიზმის წინა პერიოდის მხატვრული აზროვნების ისტორიაში გულისხმობს მხოლოდ ესთეტიკურ-შემოქმედებით თვალსაზრისს და არა იმას, რომ სხვა მიმდინარეობათა გამოჩენილ წარმომადგენლებზე — ბაირონზე, მილიერზე, შილერზე, პიუგოზე, ზოლზე და სტერნზე მაღლა იდგა ყველა ის მწერალი, ვინც მის პრინციპებს იზიან

რება. არგუმენტი, რომელიც მ. კავანის მოაქვს, ეყარება იმ შეჯაროვებას, რომელიც დასაბუთებულია კლასიკური სტილის მხარეზე, რომელიც უშუალოდ რეალიზმს არ ეკუთვნის. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს ისევე, როგორც, მაგალითად, მილიონის, როგორც შემოქმედის მიუწვევლობა კომედიის გაჩნდა არ ამტკიცებს კლასიციზმის შემოქმედებითი მეთოდის უპირატესობას სხვა მხატვრულ თვალსაზრისებზე. ცხადია, ეს აიხსნება მხოლოდ თვითონ ფრანგი კომედიოგრაფის განსაკუთრებული ნიჭით, რომელმაც დასძლია ეპოქის ხელოვნებაში გაბატონებული პოეტის ის ნორმატიული კანონები და თავისი ქმნილებებით შექსპირს გაუტოლდა. ამიტომ ამბობდა კიდევაც ბალზაკი: „შექსპირმა და მოლორმა სინამდვილიდან სიცილისა და მწუხარების სფეროები გაიანჭივლეს.“

მ. კავანის თვალსაზრისის ძირითადი ნაკლი აიხსნება მხატვრული მეთოდის პრობლემის დაუკავშირებლობით სასოციალურების ესთეტიკურ და ეთიკურ იდეალებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების პრაქტიკის ცალმხრივი გააზრებით. ამიტომ პრობლემის კვლევის დღევანდელ ეტაპზე ყველაზე მისაღებია ტრადიციული თვალსაზრისი, რომელიც შეთოდს განსაზღვრავს როგორც ლიტერატურულ დაკავშირებაში შემავალი მწველის შემოქმედებით პრინციპთა ტიპოლოგიური ნიშნების ერთობლიობას.

ყოველი მხატვრული მეთოდისთვის პოეტურიკადაა დამახასიათებელი მისწრაფება სტილის მხოლოდ გარკვეული ტიპოლოგიური პრინციპების დამკვიდრებისადმი. მაგრამ მხატვრული სტილი შემოქმედებითი ფუნქციონირებას, იგი ეროვნული ენის უმდიდრეს სამეტყველო საშუალებებს ეყარება და, ამდენად, ქვემარტივ კლასიკური დაჯილდოებული ყოველ მწერალს უდიდეს ასპარეზს უქმნის შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამოვლენისათვის.

ჩვეულებრივ მეტყველებას სტილისტური სიცხადე გულისხმობს წინადადებების გამართვას, ფრაზების დახვეწას სათქმელის შინაარსთან მასქიმალური შესაბამისობის მიღწევას ნიშნით. ამიტომ, როდესაც ერთს და იგივე მოვლენას აწვდის განსხვავებულ პიროვნებას, ნაწერში, მართალია, ყოველთვის იჩენს თავს თითოეული მათგანის ინდივიდუალობა, მაგრამ ობიექტური სტილის კანონები განპირობებენ მოვლენის დახასიათებას უაღრესად მსგავსი ლექსიკური საშუალებებითა და გრამატიკული

ფორმებით. აკად. ა. შანიძის განმარტებით „გრამატიკული სტილისტიკა სწავლობს ლექსიკური მარაგიდან გამამტიკულ ფორმათა ქონებიდან ამა თუ იმ საჭიროებისათვის უფრო შესაფერისი მასალის შერჩევას და გამოყენების ხერხებს“. აზროვნების ყველა სფეროში, რომელიც მხატვრული წარმოსახვისაგან განსხვავებული წესს ეყარება, სუბიექტი აზროვნების და მოხატვისათვის გრამატიკული სტილის კანონების დაცვით მეტყველების საყოველთაობისკენ მიისწრაფვის, ხოლო მხატვრული აზროვნება ენის ზოგად კანონზომიერებას ეყარება, მაგრამ სათქმელის სავსებით ინდივიდუალური ფორმით გამოხატავს.

მხატვრულ სტილზე მსჯელობისას მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ სიტყვების დალაგებისა და გამოთქმების თავისუფალ საცდელად გამოყენება, არამედ გველისხმობთ მთლიანობაში გააზრებული მხატვრული ენის ელემენტების სპეციფიკური კანონზომიერებას, გამოვლენილ როგორც ცალკეულ მწერალთა შემოქმედებაში, ასევე მოცემული ლიტერატურული მიმდინარეობის მხატვრულ პრაქტიკაში. ამიტომ, მაგალითად, ილიას ან გაყას მხოლოდ კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების შესწავლა წარმოდგენას ვერ მოგვცემს ამ მწერლების მხატვრულ სტილზე, რადგანაც აქ ავტორთა მეტყველება არ ეყარება სახეობრივი წარმოსახვის სპეციფიკურ წესს. ცხადია, ეს ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ლიტერატურული ქმნილების სტილზე მსჯელობისას გამოვირჩევთ ცალკეული სიტყვებისა და გრამატიკული ფორმების სპეციფიკურ გამოყენებას. ჩვენ მხოლოდ იმაზე მიუვითითებთ, რომ სტილი ძირითადად ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული სტილის შემქმნელი სამეტყველო ფორმების ნაირბუნებში ვინიშნება.

ჩვეულებრივი მეტყველებისაგან განსხვავებით, სახეებით აზროვნების სტილისათვის არსებითია ისიც, რომ ხშირად მწერალს არ აინტერესებს შინაარსის ყველა მხარისა და ნიუანსის გამოსახვა ენობრივი ფორმებით. ამიტომ ლიტერატურულ ქმნილებაში ხშირად ძირითადი შინაარსი მწერლის მიერ უშუალოდ ნათქვამს იქნება მოქცეული, მაგრამ ის, რომ მკითხველს საშუალება აქვს წარმოვიდგინოს ავტორის ჩანათყარი. ისეთ შემთხვევებში კი, როდესაც მკითხველი უშუალოდ ნათქვამს იქით ვერ

წვდება ქვეტექსტს, მას ნაწარმოები არა აქვს გავლენა.

ამის მაგალითები ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში ბევრია და ზოგიერთი კურიუზულ ხასიათსაც ატარებს. ერთ-ერთი მათგანია მამათა ბანაყის ცნობილი წარმომადგენლის გიორგი ბარათაშვილის მოსაზრება, გამოთქმული ი. ჭავჭავაძის შემოქმედებასთან დაკავშირებით: „გაზაფხულში“ პოეტი სულით ნატობის საყვარელი მამულის აყვავებას. ნეტავი დაანახვა ახლა საქართველო როგორ მწუანდა ხვედრდითი ბიზინესი!“

მხატვრულ სტილის გამოვლენის სხვადასხვა კანონზომიერება გააჩნია დემოკრატიული მიმდინარეობებს და ფორმალისში. თუ რეალიზმი იგი ობიექტური სტილის პრინციპებს ეყარება, ფორმალისში ხასიათდება სუბიექტური სტილისათვის უსაზღვრო ასპარეზის მინიჭებით. ეს იმდენად აშკარაა, რომ ამბობენ: ანტიკონციონიზმი და სურთავალიზმი იმდენი სტილი შეინიშნება, რამდენი შემოქმედებ არსებობს.

ქვემარტივ შემოქმედის სტილის ტიპოლოგიური და ინდივიდუალური თავისებურებანი მათ მთლიანობით შეიძინო კანონზომიერებას ეფუძნება. ამიტომ სტილისა და მწველის შემოქმედების სხვა დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით შეგვიძლია გავარკვიოთ რომელ ავტორს, ან რომელ სტილისტურ მიმდინარეობას ეკუთვნის ესა თუ ის ნაწარმოები. იგივე კანონზომიერების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს გილპარაკით ცალკეულ შემოქმედებას სტილის დამახასიათებელი ნიშნებზე. ნამდვილი ხელოვნებისათვის დამახასიათებელია სტილის ორიგინალურობა, მაგრამ მისი ინდივიდუალური ნიშნები ყველა მწერალთან თანაბარი სიძლიერითა და სიმკვეთრით ორიდა გამოვლენილი.

შემოქმედის სტილის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ეროვნული ენის ფორმები, ხალხური ზეპირსიტყვიერების დამახასიათებელი ტიპური ტრაპეზია და ფიგურები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეპოქის სტილის გავლენა მწველის შემოქმედებაზე მისი ინდივიდუალობის ჩამოყალიბების პერიოდში, როდესაც განსაკუთრებით ძნელია გაბატონებული ლიტერატურული ფორმების შეზღუდვების დაძლევა.

შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში მწველის სტილი სრული თავისთავადობით ხასიათდება, რაც პოეტური მეტყველების ფორმებისა და მხატვრული მეთოდის პრინციპების

მოლიანობის სახით მკლავდება. მაგალითად, რომანტიზმის ერთ-ერთი დამაბასიარტოებელი თავისებურება — ფეოდალური სინამდვილის პოეტურიზაცია — ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა მიერ შექმნილი სტილიზებული სახეების საფუძველია. რუსი რომანტიკოსი პოეტის ვ. ვუკოვსკის ლექსის „საღამოს“ პირველი ვარიანტი, როგორც ეს სპეციალურ გამოკვლევებში აღნიშნული, მეტი სიმართლით ასახავდა სინამდვილეს, ვიდრე საბოლოო ვარიანტი, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ პირველი ვარიანტის რეალისტური სახეები პოეტმა ბოლო ვარიანტში შეკვალა რომანტიკული მეთოდის კონცეფციის შესაბამისი ფრასებით: „შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრის ვუბანში“ და ა. შ., რის მსგავსეც რუსეთის არქიტექტურის ისტორია საერთოდ არ იცნობს.

მხატვრული ნაწარმოების სტილისტური ნიშან-თვისებანი შინაარსული ფორმის ელემენტებია, რის გამოც სხვადასხვა შემოქმედებით თვალსაზრისთა დაპირისპირების დროს წინააღმდეგობა, უწინარეს ყოვლისა, სტილისტურ თავისებურებებში ვლინდება. მაგალითად, ერთ-ერთი კრიტიკოსი, „სვერვინია პენალა“ და ა. პუშკინს დედ ნაქალაქო უფოლიდა „ვეგენი ონგინში“ ზოგიერთი ისეთი სიტყვისა და გამოთქმის გამოყენებას, რასაც ჭეშმარიტ პოეზიაში, მისი აზრით, ადგილი არ უნდა ჰქონოდა. იგი წერდა: „ჩვენ არ გვეგონა, თუ ამგვარ საგნებს შეეძლოთ პოეზიაში მშვენიერების შექმნა, ვერ წარმოგვედგინა, რომ ქოთინებისა და ქვაბების სურათები ასე მიმზიდველი იქნებოდა“.

მწერლის თვალთახედვა და შემოქმედებითი მეთოდის ტიპოლოგიური პრინციპები განსაზღვრავს საბნებისა და მოვლენების მხატვრული გაზომვის ფორმათა და კონსტრუქციისათა ნაირობას ლიტერატურულ ნაწარმოებში. ამასთან ყოველგვარი მხატვრული მეთოდი და სტილი არ არის ტოლფასოვანი სინამდვილის მხატვრული წარმოსახვისა და მეტონიმულ ესთეტიკური შემოქმედების თვალსაზრისით. ამიტომ მწერლის შემოქმედებითი მიღწევები არ არის დამოკიდებული მხოლოდ ნიჭზე, სამყაროს მხოლოდ მისეულ ხედვაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუ რომელ შემოქმედებით თვალსაზრისის იზიარებს მწერალი, რადგან სწორედ ეს განსაზღვრავს მისი მხატვრული სტილის დირხებდაც.

როდესაც სტილის შესახებ გამო-

ქვეყნებულ ნაშრომებს ვეცნობით, უნებლით გვებადება ერთი მოსაზრება. ზოგიერთ მკვლევარს თითქოს ავიწყდება, რომ მხატვრული ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ ნიშანთა ერთობლიობის აღსანიშნავად გვაქვს არა მხოლოდ ერთი ტერმინი — მხატვრული სტილი, არამედ არსებობს მომიჯნავე ტერმინთა მთელი წყება: მხატვრული მეთოდი, შემოქმედებითი ინდივიდუალობა, შემოქმედებითი მიმართულება, მიმდინარეობა. ხშირად ლაპარაკობენ აგრეთვე ინდივიდუალურ მხატვრულ მეთოდზე, სტილზე, სელწერასა და მანერაზე. ამიტომ ხელოვნების მოვლენების იდეურ-მხატვრულ ნიშნებს მხოლოდ სტილთან კი არა აქვს კავშირი, არამედ ზოგიერთი მათგანი უშუალოდ შედის ჩვენს მიერ დასახელებული სხვა ტერმინებისა თუ ცნებების შინაარსში.

ამ ბოლო დროს კი შეინიშნება სტილის ცნების ზედმეტად გაფართოებული მნიშვნელობით გაგების ტენდენციები. ლიტერატურათმცოდნე ვ. სიროიკინის აღნიშვნით, „ამჟამად სტილიც ცნება ლიტერატურათმცოდნეობაში ფართო მნიშვნელობით იხმარება. იგი მოიცავს მწერლის არა მხოლოდ ენობრივ თავისებურებებს (სტილი — ვიწრო მნიშვნელობით), არამედ მისი შემოქმედების იდეურ მიმართულებას, თემებს, ხასიათსაც, სიუჟეტსაც, ენარსაც... სტილი, თანა-მედროვე გაგებით, წარმოადგენს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების მიჯლიდეურ-მხატვრულ ნიშანთა ერთობლიობას — თემატიკის, იდეური შინაარსის, ჟანრული და ენობრივი თავისებურებების“.

სტილის ამგვარი გაგება უკავშირდება აკად. ვ. ვინოგრადოვის იმ ნაშრომებს, რომლებიც მიძღვნილია მხატვრული ლიტერატურის ენის საკითხებისადმი. აკად. ვ. ვინოგრადოვს სტილი ატრიბუციის პრობლემის გაჩვენებას დაამყვეტ საშუალებად მიანდა. მაგრამ ავტორობის დასადგენად გასათვალისწინებელი ლიტერატურული ნაწარმოების ფორმა-შინაარსის ყველა ძირითად თავისებურება აკად. ვ. ვინოგრადოვს შექონდა სტილის ცნების შინაარსში (იხილეთ მისი წიგნი: «Проблема авторства и теория стилей»), რაც სწორი არ არის.

ავიღოთ თუნდაც მხატვრული განსახვის თემისა და სტილის ცნების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა. მაგალითად, საქართველოს ისტორიული მედის თემა ქართული რომანტიზმისა და კრიტიკული რეალიზ-

მის ყველა წარმომადგენელთან იჩენს თავს, მაგრამ იგი თითოეულთან ორიგინალური სტილისტური გადაწყვეტის სახითაც. მაგალითად, სამშობლოს წარმოდგენა ავადმყოფი სტილისტის სახით აკაკი წერეთლის სტილის არსებით თავისებურებას წარმოადგენს. როგორც ვხედავთ, სტილი მოიცავს არა საკუთრივ თემატიკურ სფეროს, არამედ მწერლის ჩანაფიქრის მხატვრულ გამოვლენას.

სტილის ნაირობის განსაზღვრავზე შემოქმედებითი მეთოდის წყობივნებას ნათელიყოფს ისეთ ნაწარმოებებზე დაკვირვება, რომლებშიც მოცემულია ერთი და იგივე სიუჟეტის დამუშავება სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა წარმომადგენლებთან. სტილის პრობლემის ამგვარი ხებრით გარკვევა ცდა აკად. ვ. ვინოგრადოვმა წიგნში «Стиль и стиль» (1963 წ.). ავტორი ფოკალირიდან და XVII-XVIII საუკუნეების რუსული მწერლობის მხატვრული პრაქტიკიდან მოტანილი მასალებით არკვევს, თუ როგორ ხდება ერთი და იგივე სიუჟეტური სქემის განვითარება მიმდინარეობებსა და ჟანრებში. აკად. ვ. ვინოგრადოვის აზრით, სიუჟეტის ცვალებადობაში ჩანს ლიტერატურულ სტილთა განვითარების ძირითადი კანონზომიერება.

ჩვენი აზრით, საკითხის ამ კეთხით კვლევისას უშუალოდ თეორიული განსჯისაგანს დაწყებულ მხატვრულად უფრო ფასეულ მასალაზე, მაგალითად, საინტერესოა ამ მხრივ დონ ევანის სიუჟეტზე შექმნილი ცნობილი ნაწარმოებები: ტირის დე მოლინის „სვეილილი შფოთისთავი“, ლოპე დე ვეგას „ქალიშვილი კოიტი“, მოლოვის „დონ ევანი, ანუ ქვის სტუმარი“, ბაირონის „დონ ევანი“, პ. მერიმეს „სახილველი ხელისა“, ა. პუშკინის „ქვის სტუმარი“. მერიმეს, მოლოვისა და ბაირონის ნაწარმოებთა სტილი განსაზღვრულია რეალიზმის, კლასიციზმისა და რომანტიზმის ტიპოლოგიური პრინციპებით. ამიტომ ერთი და იგივე სიუჟეტ მათ ნაწარმოებებში ერთობლივითავე არსებობდა განსხვავებული შემოქმედებითი და სტილისტური ჩანაფიქრის საფუძველად გვევლინება. აქედანაც ჩანს, რომ უშუალოდ არც სიუჟეტური ქარგა წარმოადგენს მწერლის მხატვრული სტილის შენადგენელ ელემენტს, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სტილის არსი უშუალოდ მხატვრული გამოსახვის სფეროშია საძიებელი.





სცენა სპექტაკლიდან

კოტე მარჯანიშვილის სახელობის
სახელმწიფო აკადემიური თეატრი

„ჭირვეული ქერის პორჯულაჲ“

ჯემალ თოფურიძე

ქიქვი ერთი ახალი სპექტაკლით გაასარა მაყურებელი კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა — ახლახან წარმატებით განახორციელა თავის სცენაზე ჯონ ფლექტერის კომედია „ჭირვეული ქერის მორჯულაჲ“, რომლის თარგმანი ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწის ვახტანგ ჭელიძეს.

პიესა დადა კიევის თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტმა ო. ჯანგიშვილმა, დადგმის ხელმძღვანელია საქართველოსა და უკრაინის სახალხო არტისტი, ტ. შევჩენკოს სახელობის პრემიის ლაურეატი, პროფესორი დიმიტრი ალექსიძე.

როგორც ცნობილია, XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისურ დრამატურგიაში ე. წ. არისტოკრატიული ფრთის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვნენ ფრენსის ბომონტი (1584-1616) და ჯონ ფლექტერი (1579-1625). აღორძინების

ეპოქის იმ ინგლისელი დრამატურგების უმრავლესობისაგან განსხვავებით, რომლებიც საზოგადოების დემოკრატიული ფენებიდან იყვნენ წარმომობით, ბომონტიცა და ფლექტერიც თავდა-აზნაურთა წრეს ეკუთვნოდნენ და ეს გარკვევით ემჩნეოდა მათს შემოქმედებასაც.

ფლექტერი ჯერ კიდევ ბომონტისთან ერთად შექმნილ ადრინდელ ტრაგედიაში („ფილასტრი“ 1609 წ., „ქალიშვილის ტრაგედია“ 1609-1611 წ.წ.) ამჟღავნებდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისაკენ სწრაფვას. ფორმალური განხრით ეს იყო ერთგვარი მობრუნება „სისხლიანი დრამების“ განმტკიცებისაკენ. ბომონტისა და ფლექტერის არისტოკრატიზმი მგდუნდებოდა მათს კომედიებშიც, რომელთაც მეტწილად ახასიათებთ მოქმედების განვითარების ვირტუოზული ტექნიკა, აშკარად გამოსახული პედაგოგია, რომელიც არავითარ მორალურ პრინციპებს არ

უწევს ანგარიშს. ამ კომედიების გათვალისწინებით მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის განმარტაციული ხალისიანობა შექსპირის კომედიებისა.

„მომთვინიერებლის მოთვინიერება“, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში „ჭირვეული ქერის მორჯულაჲ“-ის სახელწოდებით იქნა წარმოდგენილი. პაროდულ ძანრშია გადაწყვეტილი და ერთგვარად პოლემიკურად აგრძელებს შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულაჲ“-ს. ბომონტისა და ფლექტერის ამ კომედიაში დაქვრივებული და მეორედ დაქორწინებული პეტრუჩიო ახლა თვითონ ექცევა ახალი ცოლის გაგლეხვის ჭეშმარიტად, ჩვეულებრივ, გამოირჩევა ფაშაულის სირთულითა და მოქმედების მრავალგვარობით, სასაცილო დასმთვევებით უფრო გასართობი მდგომარეობითაა შექმნილი. დამდგმელი რეჟისორის მთავარი დამსახურება იმაშია, რომ მან ბომონტისა და

ფლექტრის (ქართულ ვარიანტში, რატომღაც, მხოლოდ ფლექტრია ავტორად დასახელებული) გმირების მხოლოდ გრძობად სიამოვნებათა დასაკმაყოფილებლად წარმოებულ ბრძოლას, შეძლებისდაგვარად, უფრო კეთილშობილური მიზანი დაუსახა და ადამიანურ ბედნიერებას დაუქვემდებარა.

პიესის მთავარ გმირს — პეტრუჩოს განასახიერებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კოტე მახარაძე. იგი თავიდანვე გვევლინება მოჩვენებითი, თითქოსდა ძლიერი ხასიათის, ყოვლისშემძლე „ამპარტავან“ ადამიანად.

ბევრისმთქმელი მიმიკით, გააზრებული, სწრაფი მოძრაობებით, იმპროვიზირების არაჩვეულებრივი უნარით მსახიობი პეტრუჩოს საინტერესო კომიკურ იერსახეს ქნის.

მართალია, ამ მთავარ როლს სპექტაკლში კოტე მახარაძე ღირსეულად უძღვება, მაგრამ მისი წარმატება არ გამოჩნდებოდა ასეთი სიძლიერით, მას გვერდს რომ არ უშვებდნენ მსახიობთა შესანიშნავი ანსამბლი, რომელშიც განსაკუთრებით გამოირჩევა პეტრუჩოს ცოლის, მარაას როლის განმსახიერებელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ელენე ყიფშიძე. მსახიობი ცოცხალი იუმორის გრძობით, სისადავითა და უშუალოდ იყვრობს მაყურებელს. გამოცდილ მსახიობებთან ერთად სპექტაკლში ახალგაზრდებიც მონაწილეობენ. სწორედ ერთი მათგანია



სცენები კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლად აღიზნებული კმრის მოაქვლვა.

ირინა ჭიჭინაძე (ლივიას როლში), რომელიც სულ რაღაც სამიოდ წელია, რაც თეატრში მოღვაწეობს და უკვე დახვეწილი, პროფესიონალი მსახიობის ავტორიტეტით სარგებლობს.

ყურადღებას იქცევს სპექტაკლში: მსახიობი გ. მიჭაბერიძე (პეტრონიუსი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. გიგუა (პეტრუჩოს მეგობარი — სიფოკლი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შ. ჭორბაძე (ბებერი აზნაური — მონოზო), მსახიობები შ. გაბელია და გ. თანდილაშვილი (მსახურნი).

დამდგმელი რეჟისორი ო. ჯანგიშერაშვილი სპექტაკლში საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს მასობრივ სცენებს, ასეთია, მაგალითად, იმ „კოშკის“ აღების სცენა, სადაც მართია გამაგრებული მსახურ ქალებთან ერთად. ორიგინალურად აქვს აგრეთვე რეჟისორს მოფიქრებული „აჯანყებულ ქალთა“ შემოსვლა და სხვ.

სპექტაკლი მხატვრულად გააფორმეს რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვრებმა ო. ჭიჭაბერიძემ, ა. სლავინსკიმ და ი. ჩიკვაიძემ. კომედია კიდევ უფრო მხიარული ილფერი მიიღო დამახასიათებელი კოსტიუმებითა და მეტად კოლორიტული დეკორაციებით. ცეკვები ბევრი არ არის სპექტაკლში, მაგრამ რასაც ვხედავთ, მონდომებითა და გემოვნებით არის გაკეთებული.

ეს სიციცქლით სავსე, ხალისიანი კომედია გულთბილად მიიღო მაყურებელმა.



პოეტს და მოღვაწეს, ლიტერატურისა და ხელოვნების თავდადებულ რაინდს.³

საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ელენე ახვლედიანი სიმონ ჩიქოვანისადმი უღრმეს სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდა, როდესაც ასეთი სიტოთი წერდა მის მიმართ:

„არ შეგულება ადამიანის ცხოვრების რომელიმე უბანი, სიმონისათვის რომ მიუწვდომი ყოფილიყო, — მუდამ ყველაფერი ესმოდა, გრძობდა. გასაცარი გულისმხიერი იყო, შექმლო ჩასწვდომოდა ურთულეს ამბავს. არასოდეს არ მესმოდა, რანაირად ახერხებდა ეს იწვიათი გემოვნების ადამიანი, მცნებ, მომთხზენი და პირდაპირ ასეთი საყვარელი ყოფილიყო ყველასათვის. არც ერთი თაობის ხელოვნათა შორის, მხატვარი იქნება ეს, მწერალი, მწახობი თუ მუსიკოსი, არ შეგულება ადამიანი, რომელიც პატივისცემით და სიყვარულით არ იყოს გამსჭვალული სიმონ ჩიქოვანის მიმართ“.⁴

სიმონ ჩიქოვანი უხვი და მრავალფეროვანი ბუნების ადამიანი იყო. მას მთელი შეგნებით სწამდა მეგობრობის დიდი სიკეთისა და მეგობრისათვის სიცოცხლესაც კი არ დაიმურებდა.

სახელმწიფოებრივი ქართველი მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე იცნებდა: „დიდი და კეთილი გული მქონდა და ეს გული არასოდეს არავისთვის არ იყო ჩაკეტილი. მან იცოდა მეგობრობა. ეს ძვირფასი განძი იყო მისი ბუნების. არ არსებობდა ძალა, რომელსაც შეეძლო შეერყია მისი ნდობა მეგობრებისადმი“.⁵

ფართო გულის ადამიანს მეგობრების წრეც მრავალფეროვანი ჰყავდა. იგი სიტობის თანაბრად უნაწილებდა მწერალს, პოეტს, მხატვარს, კრიტიკოსს, მსახიობს, რეჟისორს, მუსიკოსს. მის ახლო მეგობრებს შორის შეიძლება დავასახელოთ ლიტერატურისა და ხელოვნების თითქმის ყველა დარგის წარმომადგენელი, მათ შორის: ირაკლი გამრეკელი, ნიკოლოზ შენგელაია, უშნაძე ჩხეიძე, ელენე ახვლედიანი, სერგო ზაქარიაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ალექსი მაჭავარიანი, სერგო კლდიაშვილი, ბესო ქვიციანი, ნიკოლოზ ჩაჩავა, დავით გაგნილიძე და მრავალი სხვა. ეს მეგობრობა, ეს კეთილშობილური ჭეშმარიტების გამოვლენა, პირდაპირ დადამოკიდებულება მსახიობისადმი და მკვეთრად იჩენს თავს პოეტის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რომლის სიმართლად და ცხოვრებისეული განცდების ადვოკატობა არაიყოფიერ და ეჭვგამაძვინებელი არ იწვევს.

თავისი რთული და შინაგანად დამაბუთებელი შემოქმედებითი ცხოვრების ყველა იტაკაზე სიმონ ჩიქოვანი ყურადღებას აქცევდა ხელოვნების თითქმის ყველა დარგს. პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში მტად თვალსაჩინო ადგილი იკავა მხატვრობას. მხატვრობის, განსაკუთრებით ფერწერის, საკითხს და მის დამოკიდებულებას ლიტერატურისა თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან, პოეტს აზრთმებელ განხილავდა. ამასთან ერთად, მას იტაკებდა კრიტიკულ წერილებსა თუ მოვლენებში რაიმე საკითხის ან პიროვნების დაკავშირება ფერწერის ნატიფ და მიზმიდველ ჯიხრობას.

მხატვრობისადმი სიყვარული, მხატვრობის ცომა და მისი ძლიერი საშუალებით სულიერი ცხოვრების გაფაქიზება სიმონ ჩიქოვანს ადამიანის, შემოქმედის დიდ ღირსებად მიაჩნდა. 1960 წელს გამოჩენილი რუსი პოეტის ნიკოლოზ ახბოლოვის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ საოცრად შთამბეჭდავ წერილში იგი წერდა: „თუ წინაა მის (ნიკოლოზ ახბოლოვის — ნ. წ.) ლექსებში ფერწერითი სურათოვნება ლირიკულ ამობისლს ჩრდილებდა, მერე პოეტმა თავისი საღებავები დააკა და ფერწერითი სურათოვნება ლირიკული აღსარების ფონად აქცია.“

სიმონ ჩიქოვანი

და

ხელოვნების საკითხები

ნუგზარ წერეთლი

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატ სერგო ზაქარიაძეს დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებულ ინტერვიუში ჰკითხეს: „ცხოვრების გზაზე გყავდათ თუ არა თეატრის გარეთ ვინმე — მეგობარი ან მრჩეველი, ვინც გარკვეული წვლილი შეიტანა თქვენს შემოქმედებაში?“. დიდი ხელოვნანმა უწყობაზოდ დაასახელა ქართული ლექსის ბრწყინვალე ოსტატი სიმონ ჩიქოვანი. ეს ფაქტი ძალზე ნიშანდობლივია, რადგან თავისი შთაგონებელი, ნაყოფიერი ცხოვრების გზაზე სიმონ ჩიქოვანი მართლაც ბევრი მოწინავე ხელოვნების ახლო მეგობარი და ქართული ხელოვნების ჭეშმარიტად უანგარო მოამაგე იყო.

სიმონ ჩიქოვანი ხალხისა და მამულის სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდა. მისთვის მშობლიური კულტურის ყველა სფერო პოეზიასავით მასობრივი იყო. მრავალმხრივი შემოქმედს არ შეეძლო ვიწრო პროფესიული ინტერესებით ვარსება. მისი მახვილი თვალი თანამედროვე საზოგადოებრივი სინამდვილის მრავალ კუთხეს წვდებოდა, მუდამ ახერხებდა საკუთარი აზრის გამოთქმასა და საკუთარი წვლილის შეტანას ქართული ხელოვნების ამა თუ იმ დარგის წინსვლა-განმტკიცების საქმეში. „ფართო ერუდიცია სიმონის საშუალებას აძლევდა თავისი ნატიფი და ცხოველი სიტყვა ეთქვა, როგორც ლიტერატურაზე, ისე თეატრზე, მუჟაკაზე, მხატვრობაზე და, საერთოდ, ხელოვნებაზე, რომელიც ასე ახლობოლი და ნაცნობი იყო მისთვის...“²

დიდი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე სიმონ ჩიქოვანს ახასიათებდა, როგორც „...გამოჩენილ თვითმყოფად

მინც მხატვრობის სიყვარული, განსაკუთრებით ფერ-
წერისა, პოეტმა ბოლომდე შეინარჩუნა. ნიკოლოზ ზამბო-
ლოცი 1953 წელს წერდა:

«Любите живопись, поэты!
Лишь ей единственной дано
Души изменчивой приметы
Переносить на холсты».

ამ სტრიქონებს მისთვის პრინციპული მნიშვნელობა
ქონდა. თუკმა იგი კარგი მუსიკალური სმენით იყო და-
ჯილდოებული, მაგრამ მინც მხატვრობისაკენ იხრებოდა
მისი პოეტური შთაგონება.⁶

სიმონ ჩიქოვანი უღრმეს პატივს სცემდა ქართული
კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეს გერონტი ქიქოძეს,
რომლის ნაწარმოებები, წერილები თუ თარგმანები „მუ-
რამ და დარჩენა ჩვენი ხალხის სულიერ საგანძურში“. გ. ქი-
ქოძე არამარტო შემოქმედებით, არამედ „გარეგნობითაც
ქართული ფიჭვისა და ზნაობადივე კეთილშობილების
პლასტიკურ განსახიერებას წარმოადგენდა. ოციპატი რო-
დენის შემდეგ, თუ რომელიმე ხელოვანს ადამიანის ფიქ-
რის პლასტიკური ფორმით გადმოცემას ისურვებდა, იგი
გერონტი ქიქოძის სახეზე, მის გამოუმეტველებზე უფრო
საუკეთესო ნატურას ვერ იპოვდა.“⁷

როგორც ამ გერონტ ნაწვეტიდანაც ჩანს, სიმონ ჩიქო-
ვანს, ძვირფასი ადამიანის დახასიათებისას თუ მისი გა-
რეწული შესავლობის აღწერისას, ხშირად უყვარდა მხატ-
ვრობის ამ თუ ამ ფანრიდან რაიმე ნიშანთვისების მო-
მარჯვება. ამის დამადასტურებლად აქვე შეიძლება პოეტ-
სხენით მოგონებებში პოეტის მიერ ტიტანს ტიტონს გარკე-
რეტუ მსჯელობის დროს გამოთქმული მოსაზრება: „მისი
გაგონება გერმანული რენესანსის მხატვრის პანს პოლ-
ბერის სურათზეუ აღბეჭდილ სახეებს გვაგონებდა და იგი
ერთი შესვლევით რენესანსის დროის ადამიანს ჰგავდა.“⁸

გერონტი ქიქოძეს — ქართული კრიტიკული საზოგადო-
ება ამ ერთ-ერთ დედაბოთს, სიმონ ჩიქოვანი დიდის მო-
ქრძალებით ახასიათებს, მნიშვნელოვან ადვილს უჩვენს და
მართლაც ამაღლებულ, განმასპეტაკებულ თვისებად უთვლი
დასაშვალს ხელოვნებისადმი, მხატვრობისადმი. მოგონება-
ში „გერონტი ქიქოძის განსორება“ ს. ჩიქოვანი აღნიშნავს:
„კლასიკურ კულტურაზე იყო აღზრდილი, მაგრამ ძლიერ
მოსწონდა ახალი მხატვრობის წარმომადგენლებიც: ელუ-
არდ მანე, პოლ გოგენი, ნიკო ფიროსმანაშვილი, ლადო გუ-
ლაშვილი და დავით კაკაბაძე... საკუთარ ისთიკურ პე-
ჯიდლებათა უჩვეულო სისადავით გადმოცემის უნარი
ქონდა... მინც ხელოვნების საწყაროს სამიხტურნი ხილვა
და შემოქმედის სულში ჩასახული პირველადი შთაბეჭდი-
ლებების ასახვა უფრო ხიბლავდა, ვიდრე დიდი ოსტატობით
გაბნასული ყოფაცხოვრების სურათები. ალბათ, ამიტომ
უყვარდა განსაკუთრებით პოლ გოგენი, ნიკო ფიროსმანა-
შვილი და მათთან სრულად განსხვავებული, მაგრამ უშუ-
ალო, უშუალო გრძობათა ასახების დიდი მხატვარი
ალექსანდრე ყაზბეგი.“⁹

თითქოს ერთგვარ სულიერ ნათესაობად თუ დამოხვე-
ვად გამოიყურება და აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით
სიმონ ჩიქოვანსაც ძალზე უყვარდა პოლ გოგენი და ნიკო
ფიროსმანაშვილი. ეს მისი ხელოვნების, სოსლზორცვეული გან-
ცხებით შემგნები პოეზიიდანაც ჩანს. რამდენადაც გიჟით,
პოკს სხვა მხატვრებისათვის არ უძღვინა პოეტური სტრი-
ქონები და ამის გამოც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სწო-
რად გოგენი და ფიროსმანი იქნენ მისი პოეტური შთა-
გონების უშუალო წყაროდ.

ჯერ კიდევ 1927 წელსაა დაწერილი სიმონ ჩიქოვანის
14 ს. ჩიქოვანი, „ლექსები, პოემა“, გვ. 151, თბილისი, 1960 წ.
15 იქვე, გვ. 152.
16 ს. ჩიქოვანი, თხზულებანი, ტომი 3, გვ. 426, თბილისი,
1967 წ.
17 იქვე, გვ. 427.

18 იქვე, გვ. 38.
19 იქვე, გვ. 251, 253.
20 იქვე, გვ. 329.
21 ე. ახვლედიანი, „სულიერი გვირობა“, ვახ. „ლიტერატურე-
ლი საქართველო“, № 18, 29 აპრილი, 1966 წ.
22 ს. ჩიქოვანი, „თანამედროვე გერმანიის მხატვრობა“, მნა-
თობი, 1924 წ., № 5, გვ. 218-219.
23 ს. ჩიქოვანი, „თანამედროვე განმარტება ეურნალი H₂SO₄ გა-
მოსყვას“, მნათობი, 1924 წ., № 4, გვ. 212.
24 ს. ჩიქოვანი, „თანამედროვე გერმანიის მხატვრობა“, მნა-
თობი, 1924 წ., № 5, გვ. 223-224.
25 იქვე, გვ. 221.
26 იქვე, გვ. 222.
27 იქვე, გვ. 225.
28 იქვე, გვ. 227.
29 იქვე, გვ. 224.
30 იქვე, გვ. 224-225.
31 იქვე, გვ. 225.
32 იქვე, გვ. 226.
33 იქვე, გვ. 230-231.

- 34 იქვე, გვ. 231-232.
- 35 ვახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 35, 20 სექტემბერი, 1947 წ.
- 36 ს. ჩიქოვანი, „კოტე მარჯანიშვილი“, „მნათობი“, 1933 წ., № 4, გვ. 143-144.
- 37 ს. ჩიქოვანი, თხულებანი, ტომი 3, გვ. 415, თბილისი, 1967 წ.
- 38 ვახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 35, 20 სექტემბერი, 1947 წ.
- 39 იქვე.
- 40 ს. ჩიქოვანის სიტყვა საქართველოს კვ (ბ) XIV ყრილობაზე. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 6, 6 თებერვალი, 1949 წ.
- 41 ს. ჩიქოვანი, „კოტე მარჯანიშვილი“, 1933 წ., „მნათობი“, № 4, გვ. 142-143.
- 42 იქვე, გვ. 145.
- 43 იქვე, გვ. 144.
- 44 ვ. ანჯაფარიძე, „შეირფას მეგობარს“, ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, № 18, გვ. 3, 29 აპრილი, 1966 წ.
- 45 ს. ჩიქოვანი, „უმანგი ჩხეიძეს“, „ლექსები, პოემა“, გვ. 194, თბილისი, 1960 წ.
- 46 იქვე, გვ. 196.
- 47 დ. ბენაშვილი, „ხელოვნების საკითხები“, გვ. 186-187, თბილისი, 1941 წ.
- 48 ს. ჩიქოვანი, „ლექსები, პოემა“, გვ. 196, თბილისი, 1960 წ.
- 49 იქვე, გვ. 200.
- 50 მარინა ცვეტაევის წერილებიდან, ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, გვ. 4, 27 და 30 ივლისი, 1971 წ.
- 51 ს. ჩიქოვანი, „ლექსები, პოემა“, გვ. 405, თბილისი, 1960 წ.
- 52 ა. მაკავარიანი, „ვოი, რა ბოძი წაგვექცა“, ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, გვ. 3, 29 აპრილი, 1966 წ.
- 53 ს. ჩიქოვანი, თხულებანი, ტომი 3, გვ. 339, თბილისი, 1967 წ.
- 54 იქვე, გვ. 355.
- 55 ვახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 36, 28 სექტემბერი, 1947 წ.
- 56 ს. კლდიაშვილი, „გამოსათხოვარი“ ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, გვ. 3, 29 აპრილი, 1966 წ.



საქართველოს სსრ და საქართველოს
კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვ-
ნილი გამოფენიდან.

გ. პაპინაშვილი
გრიგოლ ჩიქოვანის პორტრეტი

განმანათლებელი, ღვაკტუბრი, სხელენივო მოღანა

ნარიმან ნარიმანოვის ღვაკტუბრის 100 წლისთავი

მინელი ავაჯანოვი, ემა ტერ-ისრაელიანი

ნარიმან ნარიმანოვი კანონიერად ითვლება აზერბაიჯანელი ხალხის გამოჩენილ შვილად. მისი სახელი მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, სადაც იგი დაიბადა, განათლება მიიღო, სადაც მისი შრომითი მემკვიდრეობის ფორმირება ხდებოდა, სადაც დაიწყო საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ნარიმანმა ბავშვობა-ყრმობის წლები თბილისში გაატარა. პეიზაჟი, რომელიც მის მშობლიურ სახლს ერტყა, ქალაქის ძველ ნაწილს, „მაიდანს“ წარმოადგენდა. სწავლის წლები გორის სამასწავლებლო სემინარიაში გაატარა, სადაც იმ დროს სწავლობდნენ რამდენიმე ჯგუფი, ფორდინიბეც ახმედ ალა ოღლი ქოჩარლი, მამედ ყული ზადე, მუსლიმ მაგომაევი, უზერ პაჯიბეგოვი, ფაჟბე ალიკაპოვი ოღლი კასიმოვი, ტერეგულევი ხალიფ პასანის ძე და სხვები, რომლებიც შემდგომში გახდნენ ცნობილი მწერლები, კომპოზიტორები, თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების გამოჩენილი საზოგადოებრივი მოღვაწეები. ისინი დაახლოებული იყვნენ ქართველ ინტელიგენციასთან, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ მოძრაობაში. სემინარიაში მყოფი ნარიმან ნარიმანოვი ცხოველ ინტერესს ავლენდა ლიტერატურისადმი, თავისი ქვეყნის ისტორიისადმი, სოციალური პრობლემებისადმი. ამ ინტერესს ალუივებდა ისიც, რომ სემინარიაში სწავლობდნენ ქართველი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ნარიმან ნარიმანოვმა გორის სემინარია დაამთავრა 1890 წელს და შრომითი საქმიანობა დაიწყო თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მახრის სოფელ ყოხილ აჯილში. მან პირველად აქ იხილა მეფის თვითმპყრობლობის მიერ აზერბაიჯანელი მშრომლების სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის საშინელი სურათები. ამ დროიდან იგი დგება განსამართლებლურ, რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე.

ნარიმან ნარიმანოვი საფუძვლიანად სწავლობს რუსულ კლასიკურ და ამიერკავკასიის ხალხთა ლიტერატურას. ამ პერიოდის მისი საყვარელი მწერლებია — მამედ ზადე და რაგიმზეც ახერედივი. ისინი ხელსობრტყებს რა ლიტერატურული მემკვიდრეობის კლასიკურ ტრადიციებს. ნარიმანოვი ხდება აზერბაიჯანული კრიტიკული რვალიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი.

რამდენიმე მოგვიანებით იგი ეცნობა დიდი შოთა რუს-

თაველის შემოქმედებას — ბალმონტის მიერ თარგმნილ „იფიქსიტყაიასანს“, რომლის გმირები ღრმად იჭრებიან მის ცხოვრებაში, პოემის აფორიზმებს კი, თანამედროვეთა მოგონებებით, სწირად იყენებდა გამოსვლებსა და საუბრებში.

1891 წელს ნ. ნარიმანოვი გადადის ბაქოში, სადაც აგრძელებს პედაგოგიურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას, მაგრამ არ წყვეტს კავშირს თბილისთან.

მწვავედ გრძნობს რა აზერბაიჯანელი ხალხის უკიდურეს ჩამორჩეობას ნ. ნარიმანოვი ისწავფვის მისი დონის ასამაღლებლად. ფეოდალურ-ბატონყმური გადმონაშთებისა და რელიგიური თრგუნვის პირობებში დიდი სიმწელებები ხვდებოდა ახალგაზრდა განმანათლებელს. მიუხედავად ამისა, იგი მისთვის ჩვეული სიმტკიცით, თავადებულად ეწევა აზერბაიჯანელი მასების განათლებას. ამ ბრძოლაში ნარიმანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა თეატრალურ ხელოვნებას. აქტიურად ეხმარებოდა აზერბაიჯანული სასცენო ხელოვნების მოყვარულებს, წერდა პიესებს, თარგმნიდა რუს კლასიკოსებს, დგამდა სპექტაკლებს და აქტიურადაც კი გამოდიოდა. ნ. ნარიმანოვი უდიდეს აღმზრდელით, ესთეტიკურ მნიშვნელობას აკუთვნებდა თეატრალურ ხელოვნებას, — თვლიდა მას ხალხის ფართო მასების განათლების ერთ-ერთ მოსახერხებელ ფორმად. ამასთან, კომედიის ეპირზე თავისი შეხედულებების გამოთქმისას, იგი განასხვავებდა, რომ თუ ძველ საბურძნევეში კომედიას უპირველესად გასართობი ხასიათი ჰქონდა, ჩვენს დროში იგი უნდა ხმარდებოდეს დამიანთავის უარყოფითი მხარეებისა და ღირსების დადასტოვში. კომედიის სიცილო იგი მასების სულიერი აღზრდისა და საზოგადოების მანყიერების თუ ექსპლოატორული წყობილების სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის ბასრ იარაღს ხედავდა.

ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ნ. ნარიმანოვმა ხელი მოკიდა მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდის თვითმპყრობელურ-მონათმფლობელურ რუსეთზე დაწერილ სატარის ნ. გოგოლის გენიალური კომედიის „რევიზორის“ თარგმნის თვით. ნ. ნარიმანოვმა ბრწყინვალედ ითამაშა გოროდნის როლი. პიესის დადგმა აზერბაიჯანის თეატრის სცენაზე დიდი მოვლენა იყო მეცხრამეტე საუკუნის ბაქოს თეატრალური ცხოვრებაში.

1897 წელს ნ. ნარიმანოვმა ნ. ვ. გოგოლის „რევიზორ-

რის“ აზერბაიჯანულ ენაზე გამოცემის ნებართვა ითხოვა, მაგრამ უარი უთხრა. სამუშაოდ, შემდეგში ნ. ნარიმანოვის ამ თარგმანის ხელნაწერი დაიკარგა.

მზერავლედ მივსალამ ნარიმანოვი თავისი საყვარელი აზერბაიჯანული მწერლის მ. ფ. ახუნდოვის კომედიის „პა-ვი ყარა“ დადგენას განჯის სცენაზე. ნ. ნარიმანოვი თავის გამოსვლაში რიგ მნიშვნელოვან აზრს გამოთქვამს ამ გამორჩეული დემოკრატი მწერლის პიესაზე, ხელოვნებაზე, განმანათლებელ ახუნდოვის პიესა მკაფიოდ წარმოსახავდა იმდროინდელ აზერბაიჯანულ სინამდვილეს. ამჟვარავებდა სამღვდლოების სიხარბესა და ფლიდობას. კომედიის მსყუ-რებელში სიცოცხლე იწყებდა, აღვივებდა აზრს, აჩენდა რე-ლიგიონადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას, ძირს უთხრი-და რწმენას, რომელზედაც ეყრდნობოდა რელიგია.

ამგვარად, თეატრალური ხელოვნების შემწეობით ნ. ნარიმანოვი ფიქრობდა არა მარტო საგანმანათლებლო ამოცა-ნების (სკოლის, მეცნიერების, კულტურის განვითარების) გადამწყვეტს, არამედ სურდა გავრეოლოგიკონების მასე-მი, გამოეწვია ბუნებრივი სული, წარმოება იგი სასოვა-დოგორიგი საფუძვლების წინააღმდეგ სამარტოვლელად.

კომედიის ჩვენი ცხოვრების სარკეა, ჩვენ მასში ვხედავთ საკუთარ თავს, საკუთარ ნაყოფიანებებს და ვივინდა გამო-ვასწოროთ ისინი, მოვიცქეთ ისე, როგორც ექვინას დამე-ბით გმირები: ჩვენ გულისწარბობით ვეუყურებთ წმინდარ ადამიანებს, — ამითება ნ. ნარიმანოვი.

1894 წელს ნ. ნარიმანოვმა გამოსცა ჯერ კიდევ სე-მინარიში დაწყებული დრამა „ნადალიგი“ („უმეცრება“), რომელიც პირველად 1895 წლის 15 იანვარს დადგა ბა-ქოში აქტიური-მოყვარულთა ძალებით. ეს იყო დიდდა სა-სიხარული მოვლენა ნ. ნარიმანოვის ცხოვრებაში. განხილ-ვის შემდეგ აქტივობებს პიესის ავტორს მიაართვეს ოქროს საათი მონორბობით. ნ. ნარიმანოვის პირველივე ლიტერატ-ურული ცდები წარმოადგინდნენ მნიშვნელოვან მხატვ-რულ ნაწარმოებებს. დრამაში „უმეცრება“ ნ. ნარიმანოვი დიდი მხატვრული ძალით, სიმართლით და მწკვირვად აჩვენ-და რეალობიანიდლი ჩამორჩენილი რუსეთის გლეხობის მიძიე ცხოვრებას. დრამის ძირითადი იდეა ისმის მომავ-დავი ომარის სიტყვებში, რომელსაც კლავს დიდილი ძმა: „არა, მე მისროლა... უმეცრება... სინდელი... უმეცრება აქცევს ადამიანს მცეცად...“ უმეცრება და ჩამორჩენილობა მას არ აძლიებს ბედნიერებას, სიმართლასა და სამართ-ლიანობას. აზერბაიჯანელი ხალხის ცხოვრებაში გახვეწეუ-ლი იყო შარიათის სასტიკი დოგმები, სისისოლის ალების და-წურული კანონები. და, ომარის ამ კანონების უნებური მხარეპლი ხდება. ასეთია დრამის შინაარსი, რომელიც ნ. ნარიმანოვმა იმ დროისათვის დაწვრილად გამოთქვა. ეს იყო პროტესტი რეჟიმის წინააღმდეგ.

ნ. ნარიმანოვი სიჭაბუკის წლებიდანვე იყო აღტაცებუ-ლი მ. ფ. ახუნდოვის შემოქმედებით; მისი გავლენით იზრდებოდა და მწიფდებოდა დიდი დემოკრატის პროგრეს-ული მსოფლმხედველობა. იგი იქცა დემოკრატიურ-რეა-ლისტური მიმართულების ავანგარდულად ლიტერატურ-რამში, რომლის საფუძველი მირხა ფათალი ახუნდოვმა ჩა-ყარა.

1895 წელს ნ. ნარიმანოვმა დაბეჭდა კომედია „შამდნ-ბეგი“ („კვი პიესაგან“). ავტორი, უკვე დემოკრატ-განმა-დასტოვების პიესიციდან აპყარავეს ძვილი სამყაროს მანკიერებას, მათ მსეყურ ჩვენებს და საძულველი ოქრო-სადმი მორჩილებას.

გავტრებულმა შამდნ-ბეგის იურსახით, რომელიც ცდი-ლობდა ყოველნარიი ჭკუყვანი საშუალებით მდიდარი სა-ციოლე ჩაეგდო ხელში, ნ. ნარიმანოვი გვიჩვენებს გოგოლი-სეხური ლესეტაკაოვის ბუნებას აზერბაიჯანულ ყოფაში,

მარჯვედ იყენებს ღარიბებისა და ბურჟუაზიული სამყაროს წარმომადგენლების ცხოვრების კონტრასტულ სურათებს. ავტორი გადმოსცენს კეთილი, პატიოსანი, გულადი, უბრა-ლი ადამიანების გამარჯვებას მონობის, ფულის, მტაცებ-ლური ბუნების, ბეგების გადაუმწებელი წოდების პარაზი-ტულიობაზე. პიესაში რეალისტური სიღრმით არის გასანი-ვლი აზერბაიჯანელი ბეგის სულიერი სიღატაკე და მორა-ლური გახრწილება, რასაც უპირისპირდება ახალგაზრ-და პიესის სულიერი სიფაქტე, უნაგარი და ერთგული სიყ-ვარული. პიესა მთავრდება ბედნიერად, სულელად და მო-ტყურა იღუპება, იუსუფისა და პიესის ბედნიერება მი-სასლოდნელია. ამაშია ნ. ნარიმანოვის კომედიის დიდი იდე-ური და მხატვრული ძალა.

დრამატურგიამ ნ. ნარიმანოვი გამოიყვანა ხალხის ბედ-ნიერებასათვის მებრძოლ-რევოლუციონერის რთულ გზა-ზე. ნარიმანოვი გრძობდა, რომ არ უნდა არსებობდეს ერთგული მუდლი, რომ ადამიანებს მხოლოდ სიცოცხლე-კლასობრივი ანტაგონიზში უნდა მყოფდეს.

ასე დაიბადა „ბაპადურისა და სონას“ იდეა, რომელშიც ნ. ნარიმანოვი ორი ახალგაზრდის ტრაგიკული სიყვარუ-ლის ფონზე ხატავს ვფოდლურ-მემამულიერი სასოვადოე-ბის სოციალურ უთანასწორობას. ნარიმანოვის გმირები იღუპებიან, მაგრამ ეს არ არის ბნელეთის ძალთა გამარჯ-ვება, გმირებს სწამთ უკეთესი მერმისი, როდესაც მოისპობა ენოვრული უპირატესობა და განსაკავებულობა.

შემდეგი ნაწარმოები — ისტორიული დრამა „ნადირ-შაჰი“ — მოწმობს მწერლის მიერ დრამატული ხელოვნე-ბის კანონების დრამად დაუღლებლობას. დიდი მხატვრული და-მარჯვებულობით ხატავს ნ. ნარიმანოვი სასახლის ინტრი-გებსა და სისლიან შეთქმულებებს. მაჟურნალის თვალწინ გაველის ირანის უნუტი მმართველების სახეთა გაღრბა, ბეგების გამციდებლობა, ანგარის და ძალუკუვლანდმი ლტოლვა. პიესაში მათ უპირისპირდება ვფოდლების უღელქვეშ მემინავი ხალხი. მდიდარობა ძალადობამ, ძალ-მომიერობამ ხალხს მასები გადატაცებამდე მიიყვანა.

მთხვეი ჯავადს პირით ნ. ნარიმანოვი გამოთქვამს პროგრესულ მხედველებას, როგორი უნდა იყოს ხელისუ-ფალი, რომ ხალხს დაამასტურდეს. ჯავად მრისხანე ნა-დირ-შაჰს უტაცავს მისი ხალხის ტრაგიკულ მდგომარეო-ბას:

„შვილი ჩემო, იცი რა გამოვლელ მდგომარეობაში იმ-ყოფება ჩვენი საშობოლო? საშინელება ხდება, საშინელება. ჩვენი წმინდა ადგილები მტრის ხელთაა, რომელიც დაუნ-დოლდა ძარცვავს და ანადგურებს ხალხს. ნახავი განად-გურებულობა, ხალხი უკიდურეს სიღარიბეში იმყოფება. ბუნებრივი იხოცულობა სოფლებში. აი, ჩემი ბებური ცარი-ბის მიხედვით... ჩემი საყვარელი, სახელოვანი მდირო, ადამიანი დიდებას ორი გზით მოიხვეჭს: ბორცვებისა და საიკითი. ბორცვთქმედებით მოხვეჭილი დიდება წარმატ-ობაა, ასეთვე მხოლოდ მის იმოცილებული ლაპარაკობენ, რო-ცა მის სახელს წყველა-კრულით წარმობტყამენ. სივითი მიეწილები დიდება კი მარადისია და არც ვყვალს ხევედი. ის თაობით თაობას გადაეცემა... მე მინდა შენს სახელს სასოვით წარმოთქვამდნენ და არა წყველით. ამის მისაღ-წევად შენი ვინაობა და ენერჯია უმედური ხალხისა და ქვეყ-ნის ინტერესების დასასატად უნდა წარმართო.“

ბიძამისის სიტყვებით ანთებული ნადირი გადაწყვეტი-თავი გადადის ხალხისთვის, საშობობისთვის. იგი გაატა-რებს პროგრესულ, გარდამქმნელ ღონისძიებებს — იკლუ-ბისა გამოიყვანს საბელმწიფოსგან. ცვლსაშია ნ. ნარიმა-ნოვი ხელდაუ უღიღეს ბორცვებს. სასოვადობის გარ-დაქმნის უცილებელი პირობად ავტორს სამღვდლოების

იზოლირება, უმეკარი ხალხის მასზე მისი გავლენის შესუსტება მიანდა.

დესპოტი, უფომბელი, შურისმაძიებელი ნადირი მაინც ვერ გახდა ხალხის დამცველი. ნადირ-შაჰის მოკვლას შეთქმულთაგან ნარიმანოვი აფასებს როგორც იმ ისტორიული სიტუაციის (ნადირ-შაჰის ბატონობის) რეალურ დამთავრებას. ამასთან, ავტორის აუცილებლად მიანდა მწვავე აქტუალური პრობლემების წამოწევა, რათა რევოლუციის წინ მომზადდებინა მასები რეალიზირებული ხედვისაგან სულიერი განთავისუფლებისათვის. ნარიმანოვი ხაზს უსვამდა, რომ მუსულმანურ რელიგიამ იგი ხედავდა აზერბაიჯანელი მასების სოციალური განთავისუფლების სერიოზულ დაბრკოლებას.

ისტორიული დრამა „ნადირ-შაჰი“, ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის გარდა, მოუწოდებს აგრეთვე დესპოტი მთავრობის დამხობას, მთავრობისა, რომელიც არ გამოსატყვევებს ხალხის ინტერესებს.

საყვარელი საწვავლებლის — მიწის ფაქალი ახუნდოვის რევოლუციური იდეალების ერთ-ერთი მოწაფე და მიმდევარია ნ. ნარიმანოვი აყენებს ხალხის საძულველი მმართველობის ხალხიდან გამოსული მმართველობით, მმართველ-პატრიოტებით შეივლის პრობლემას. ამით ავტორი გააზრდა ხატავს თავის იტყობას ქვეყანაში პროგრესულ გარდაქმნათა გატარების გზების ძიების შესახებ.

ასე იხადებოდა დემოკრატის, განმანათლებლის, რევოლუციონერის პატრიოტული დრამა. პიესა მიმართული იყო ჩამორჩენილობის, რეაქციის, უმოქმედობის, ფეოდალური და რელიგიური მონობის წინააღმდეგ.

პიესის გაშთავლამ მის ავტორის სახელი და, ამასთან, მთავრობის დევნა მოუტანა. ცნობილია, რომ ნადირის როლს ასრულებდნენ ჩამორჩენილი დრამატული მსახიობები შესანიშნავი, არაბოლნაყი, მიწისა ანა ალიევი, ხიდეი რუსული და სხვ. პარტიზონის განსაკუთრებით მალაილი შეესაბამა დანიმასპურა კ არაბოლნაყი 1907 წელს საავსტრალიო მოგზაურობისას ვოლენსპირეთში, შუა აზიასა და ამიერკავკასიაში.

1908 წლის 8 ივნისს ქართული გაზეთი „ისარში“ დაბეჭდოვდა რევიენიანი ნაწიგანი იყო: დრამის ღრმა შინაარსი და შესრულების მალაილი კლასი გასაბები იყო იმათთვისაც, ვისაც არ ესმოდა აზერბაიჯანული ენა. ნადირ-შაჰის როლს ასრულებდა ალი ამასოევი.

პიესა არ ჩამოდიოდა სცენიდან რეაქციის წლებების მანძილზე, რაც ძალზე ამწვაავებდა მისი ავტორის მდგომარეობა და აძლიერებდა ნ. ნარიმანოვის პოლიტიკურ დევნას. წარმატებით მიდიოდა პიესა თბილისში, მენშევიკების ბატონობის დროსაც. ამ პერიოდში თეატრში მუშაობდნენ ბოლშევიკ-კომუნისტები, რომლებიც თეატრის მსახიობებსა და თანამშრომლებში პოლიტიკურ პროპაგანდას ეწეოდნენ. ერთი ამ მოღვაწეთაგანი იყო ალი ტაგი-ზადე — სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის ორგანიზაციის ბოლშევიკური გუგუვის („გუმიუკ“) ხელმძღვანელი.

ავტორის მალაილი დანიშნულება იმიუმი მდგომარეობის, რომ მაყურებლამდე მიიტანოს პიესა, ავტორის ჩანაფიქრი. ამიტომ ცდილობდა ნარიმანოვი ხალხთა განთავისუფლებისათვის პოლიტიკურად მეტრძილ მსახიობთა პლუვაციას აღზრდას. პიესის პოლიტიკური ქედრდობა მით უფრო მძლავრი იქნებოდა, რაც უფრო მეტად პოლიტიკურად მომწიფებულნი იქნებოდნენ აქტიორები — მასებში სცენური ხელოვნების უშუალო გამცილებელი.

აღსანიშნავია, რომ მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანული ინტელექციონა საქართველო ქართული ინტელექციონისა და მთელი ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღებითა

და მხარდაჭერით სარგებლობდა. მაგალითად, 1918 წლის 8 ოქტომბერს თბილისში, ქართული კლუბის საზოგადოებრივ შენობაში, ჩატარდა გრანდიოზული მხატვრული სადამო (მთაწყო „უგუშეტის“ ცენტრალურმა კომიტეტმა), რომელშიც მონაწილეობდნენ ტიციან ტაბიძე, ოვანეს თუმანიანი, სერგეი გოროდციკი, აბდურაგიმ ასეერდოვი და სხვ. თანამშრომელთა მოგონებებით სადამოს ესწრებოდნენ შალვა და-დიანი, კოტე მავაშვილი და ქართველი საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები.

ნ. ნარიმანოვის საგანმანათლებლო მოღვაწეობა არ განისაზღვრებოდა მარტო თეატრალური ხელოვნებით. მან ღრმა კვალი დააჩინა აგრეთვე აზერბაიჯანული ბიბლიოთეკის შექმნას. ამ საქმეს მან ჯერ კიდევ ჭაბუკოვანში, მასწავლებლობის წლებში მოკვდა ხელი, როცა ძალზე მწვავედ შეგრძობს მოსახლეობის მოთხოვნილება მშობლიური აზერბაიჯანული პიესის არსებობის აუცილებლობასზე.

1894 წლის 1 აგვისტოს ნ. ნარიმანოვის ინიციატივით ბაქოში გაიხსნა მშრომელი მასებისთვის საყვავლათო მიწასწავლობი ბიბლიოთეკა-სამატიხელო, რომელიც კულტურის ცენტრად იქცა. ამ თავს იყრიდნენ მათთვისველი ქალაქის ადვალა რაიონიდან და სოფლებიდანაც კი.

იხდებოდა დიდი იყო ნარიმანოვის როლი ბიბლიოთეკის შექმნას და მის საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომ ბიბლიოთეკას ნარიმანოვის სახელი მიანიჭეს.

ოცნებების და ერთგული საჯარო ბიბლიოთეკის შექმნაზე, ნარიმანოვმა ნ. განი-ზოფიანთან, გ. მამუდბაყოვთან და სხვებთან ერთად დაიწყო წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების შეგროვება. მან რიგი ქვეყნებისა და ქალაქების გამოიქვლიტებინა, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს მიმართა სთხოვნი, რათა დასმარებოდნენ ბიბლიოთეკის შექმნაში. და დაიწყო ზრდა ბიბლიოთეკის კავაპილიდან, რუსეთიდან და უახლოვდნენ გამოზავნილი მასალით — გაზეთებით, ჟურნალებით, წიგნებით.

დიდად მათგანვე შრომის ეწევა ნ. ნარიმანოვი კინოკაული შემოქმედების დარგში. რევოლუციის წლებში იგი წირს სტატიკური ლიტერატურით აჩიტიკის საკითხებზე, მოწოდებდა თამბაქოს უკავშირებს რივოლუციური ბრძოლის სასოგადოებრივ-პოლიტიკურ და აკრუალური საკითხებს.

1906 წელს გაზეთი „პაიათში“ დაიბეჭდა ნარიმანოვის სტატიები მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლებზე: ლ. ტოლსტოიზე, ნ. გოგოლზე, ფიქსელზე, ვაგიფ-ზა, ს. შირვანზე, შექსპირზე, ბაირონიზე, აოეიუსა და სხვებზე. ეს და ბიერი სხვა სტატიას მოწმობს მათი ავტორის ფართო ერუდიციასა და ორმა ცოდნას.

კალამი იყო ნ. ნარიმანოვის მრისხანი ითიოლოგიური იარალი თვითმპრობოლომოსთან. უაოლობო მშრომელი მასლების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ეს იარალი ყოლოლაზე მეტად აშინებდა ბუგებს, მილებს და ძალაუფლების მყერობელთ.

პრესა ნარიმანოვმა გამოიყენა მასობთან აავშირის და-სამყარებლობა. გამბატონბური ელასების, უქსოლოტაკურითა სამსილებლათა, ისოამის წინააღმდეგ საბრძოლოლოად, მუშათა და გლეხთა შესამჭიდრობლად ერთ ანტიბურჟუაზიულ ბანაკად.

ავტორმა მონაწილეობამ გაზეთებში „კასპია“ და „თერგამან“, ჟურნალში „სამლო-უომბაკინ“, აგრეთვე ირანის, იკაიპის, თურქეთის, ბოლოართოსა თა სხვა ქაიანი-ბის გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებში, ნარიმანოვის მოწაფეს დართო პოპულარობა და მსხვილი პოლიტიკური აღმოსავლეთმყოფლად აღიარება.

ნ. ნარიმანოვი იყო დიდი განმანათლებელი, უახლოსი თეატრალური ლიტერატურის გამოჩენილი პოეტი-დრამატურტი და პროფესიონალი რევოლუციონერი.

1909 წლის თებერვალში ნარიმანოვი კვლავ ჩამოვიდა თბილისში, აზერბაიჯანულ მესოფრებთა თხრობით იგი სა- მუშაოდ მიიღეს საავადმყოფოში, რომელიც ქალაქის მუ- სულმანურ ნაწილში მდებარეობდა. თავისი გულისმხმირე- ბისა და ყურადღებანიანობის წყალობით იგი პოპულარული სახალხო ექიმი, მუშებისა და წლებების საყოველთაო საყ- ვარული ადამიანი გახდა.

1909 წელს გამოჩენილი ქართველი მსახიობის ვასო აბაშიძის, დიდი ქართველი დრამატურგის შალვა დადი- ანისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწის ვალერიან გუგუის ინიციატივით ნ. ნარიმანოვი ოფიციალურად შეიყვანეს აზერბაიჯანულ სცენისმოყვარეთა მუდმივი თეატრის დასში. ვასო აბაშიძე დიდად ეხმარებოდა აზერბაიჯანულ თეატრს: ესწრებოდა რეპეტიციებს, დადგემებს, აძლევდა რჩევას-დარი- გებებს. თეატრის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა ნა- რიმანოვი, იგი წერდა პიესებს თეატრისთვის, თარგმნიდა რუს კლასიკოსებს, თვითონ დაგმდა სპექტაკლებს და მო- ნაწილეობდა კიდევ როგორც მსახიობი.

აი, რას წერდა თავისი მოგონებებში თეატრის ყოფილი მსახიობი, აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი, აწ გან- სვენებული მუსკავა მარანდოვი: „პირველად ნარიმან ნა- რიმანოვი ვნახე თბილისში... ის მაშინ უბრალო მასწავლე- ბელი იყო, მაგრამ თბილისის აზერბაიჯანულ შრომელთა შორის უკვე სიყვარულით სარგებლობდა. ეს სიყვარული მან ხალხის წინაშე თავისი გამოსვლებით დაიმსახურა. გამო- დიდად თბილისის სახალხო სახლში, მუსულმანური აუდი- ტორიის წინაშე მაიღობდა. აი სწორედ მაშინ გავიცანი ეს შესანიშნავი პიროვნება.“

ნარიმან ნარიმანოვი დიდად დაინტერესებული იყო ჩვენი დასის ცხოვრებითა და მუშაობით, ხშირად გვეპაუბ- რებოდა, გვარჩებდა, გვეხმარებოდა¹⁴.

ამასთან ერთად, ნარიმანოვი დიდ რევილუციურ მუშა- ბას ეწეოდა თბილისში მცხოვრებ აზერბაიჯანულ ინტე- ლიციასთან მის საერთო სახალხო ბრძოლაში ჩასაბმე- ლად.

აზერბაიჯანულ თეატრში მან ჩამოაყალიბა პოლიტიკურე, სადაც ლექციებს უკითხავდა მსახიობებსა და აზერბაიჯანე- ლი ინტელიგენციის წარმომადგენლებს: მასწავლებლებს, ჟურნალისტებს, ლიტერატურის მუშაკებს, კანკარის მონ- მსამსახურეთ. თავის ლექციებში იგი ახშვლდა მეფის თვით- მპყრობლობის კოლონიზატორულ პოლიტიკას და მოწინა- ვე მუშებსა და შრომელ ინტელიგენციას მოუწოდებდა არ- სებულ წყობილებას წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ამხელდა აჭიროვებ პანისლამის მიმდევარს, პანთურქისტებს, რომლებ- ლიც ისწავლიდნენ ფეოდალურ-პატრიარქალური წყობი- ბების უკუდასრულებასაკენ, აზერბაიჯანისა და საქართველოს აზერბაიჯანულ რაიონებში იმპატიის დამყარებისაკენ.

ნარიმანოვის რევოლუციური მოღვაწეობა თბილისში მალე შეიჭრა პოლიციამ. 1909 წლის თებერვალში იგი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს, ჩხრეკის დროს კი აღმოჩინეს ცარიზმის საწინააღმდეგო პროლა- ბაციები და ფურცლები.

1909 წლის 5 მარტს ჩანდარშთა სამამრთველო თავის წერილით თბილისის გუბერნატორისადმი აღნიშნავდა, რომ ნარიმან ნარიმანოვი ბევრ ნაჯახილოვი აგზავნიდა იარაღსა და ასაფეთქებელ ნივთიერებას ირანში და სათარხანისა და ბაგიჩანის რევოლუციური ჯარისთვის ქმნიდა მოხალისეთა რაზმს. შვიდი თვის ციხეში ჯდომის შემდეგ ნ. ნარიმანოვი გაასამართლეს და აატარებინა გადასახლება.

გადასახლებიდან იგი ბაქოში დაბრუნდა და ექიმად მუ- შაობდა შავი ქალაქის საავადმყოფოში.

ბაქოში ყოფნისას იგი არ სწყვეტდა კავშირს თბილ-

სელ რევოლუციონერებთან და პროგრესულ ორგანიზაციე- ბებთან.

ამიერკავკასიის ხალხებმა თავისუფლება მიიღეს, მაგ- რამ მასებში, განსაკუთრებით აზერბაიჯანულში, ძლიერი იყო წარსულის გადმინათებით, სიბნელე უმცირესა, უსწავ- ლეობა, რელიგიის მტკიცედ კმონდა მოკრძედილი გუ- ნის ხალხში, რაც აფერხებდა რესპუბლიკის ჩამოყალიბების კუ- თხების განვითარებას. ნარიმანოვი ხშირად ჩადიდა ბორ- ხალოს, ვაგაიანის, დასაქინეთისა და სხვა რაიონებში, სა- დაც ყველაფრის დასაუბრებლად გლეხებს, უხსნიდა, თუ რა როლს მათ საბჭოთა ხელისუფლებამ. მისი უშუალო მო- ნაწილეობით თბილისში დაიწყო გამოსვლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ — აზერ- ბაიჯანულ რესპუბლიკურმა გაზეთმა. მისივე უშუალო მონაწილეობით შედგა აზერბაიჯანულ პასუხისმგებელ მუ- შაკთა აქტივი, რომლებიც სისტემატურად წერდნენ გაზეთ- ში კორესპონდენციებს.

5. ნარიმანოვი, ამავე დროს, შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს თეატრალური ხელოვნების განვითა- რებს. თბილისში ყოფნისას ხშირად დადიოდა თეატრებ- ში. მას ხშირად ნახულობდნენ ლოცებში ფილიპე მახარა- ძესთან, მისა ცხაკაიასთან, სიღმისტრო თოდრასთან ერ- თად. ნარიმანოვი იტყებოდა სცენაზე მწვევე სოციალური ამბების ხილვა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ აღ- ფრთოვანებული იყო ლოპე დე ვეგას „ფურტე-ოვუნსას“ წარმატებით რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე. სომხური დრამის თეატრში მას უნახავს „ნაშუსი“. შირვან- ხადეს მიერ ოსტატურად დახატულ სომხურ ყოფას, სინამ- დელოს დიდი შთაბეჭდილება მოუხდინა. როგორც თანა- მდროშავენი მოწმობენ, „საქვტაკლის შემდეგ ნარიმანოვი აღუწინაგნა, რომ „ნამუსი“ ახლობლია აზერბაიჯანული ხალხისთვისაც, რადგან მასში აზერბაიჯანელები საკუთარ ყოფას, ბედსა და ზნე-ჩვეულებებს ხედავენ.

„თეატრის მოზრუნველობის განსაკუთრებული სკო- ლა, — ამბობდა ნარიმანოვი, — როგორც ბავშვები სკო- ლაში ცოდნას იღებენ, ისე ჩვენ აქ (თეატრში) ვივითა- რებთ ორგანს და ესთეტიკურ სიამოვნებას ვიღებთ“. მან იცოდა, იტატრი რომ გახსნეს ნამდვილი სკოლა მოზრუნე- ლისთვის, მასში მთელი პასუხისმგებლობით უნდა მუშაობ- დნენ ოსტატები და ტალანტები.

განსაკუთრებით ფაქიზად გრძნობდა ნარიმანოვი ქარ- თულ ეროვნულ მუსიკას, ყოველთვის სიამოვნებით ისმენდა ამერს „დაისის“, ადაფრთოვანება ვანო სარაჯიშვილის მატხაში. ქართული მუსიკა მოგონებებს, ბავშვობას დაუ- ძრავდა, შრომობერი მამისეული სახლის სურნელებს, ძე- ლი თბილისის კუთხეებს ასწენებდა და სიამოვნების ბე- რუსში ხვევდა.

ეროვნული ხელოვნება ყველაზე სრულად გამოხატავს ქართველი ხალხის მიდარს სულიერი სამყაროს. ნარიმანოვი მასში ხედავდა შრომით დამაშურალ, ბუმბარას, მებრძოლ ხალხს. საქართველოსა და თბილისის პიესაჟები მარტო ფიქრი კი არა, შთაგონების მამისეული სახლის სურნელებს, ძე- ლადეა გ. გაბაშვილის, მ. თოთის, ფთისმანის, ვ. ხოჯაბე- კოვის სურათები.

ნარიმანოვის ახარება ქართული კინემატოგრაფიის მილ- წვევში. სიამოვნებით ნახულობდა და დადიოდა აფსენბა ფილიმებს „წითელი ეშაქუნები“, „არაქნ ჯორჯიაშვილი“, რომლებიც ეძღვნებოდა საქართველოს რევოლუციურ მოძ- რაობას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის შექმნის შემდეგ ნ. ნარიმანოვის სსრკ ცენტრალური ადმ- ინისტრაციული კომიტეტის ერო-ერთ წამებდა პოსტზე ნიშნა- ვენ. მისივემ მუშაობისას იგი განუწყვეტლივ ზრუნავდა

ამირკავკასიის ხალხებზე, ესმარებოდა მუშებსა და გლეხებს სახალხო მუშაობის ადგილებში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საყოველთაო-სახალხო განათლებასა და ქალთა შორის მუშაობას.

1925 წელს, მარტის პირველ რიცხვებში, ნ. ნარიშკინოვი თბილისში ჩამოვიდა სსრკ ცაკ-ის გამსვლელ სესიასზე. ალი ტაგი-ზადე თავის მოგონებებში წერს: „მე მაშინ ბორჩალოს კომიტეტის მდიანად ვემუშაობდი და ვესწრებოდი სესიასს. სესიამდე ცოტა ხნით ადრე ნარიშკინოვი შეუსრულდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წელი. მისმა მეგობრებმა, რომლებიც მას იცნობდნენ თბილისში ერთობლივი რევოლუციური მოღვაწეობით, გადაწყვიტეს ამ თარიღის აღნიშვნა და მოაწყვეს სასწრაფო კრება ნარიშკინოვის სახელობის კლუბში.

უბილასს მაშინ შეატყობინეს, როდესაც წევრისთვის ყველაფერი მზად იყო. იმდენად მოკრძალებული იყო ნარიშკინოვი, რომ უარი თქვა ზეიმზე დასწრებაზე, მაგრამ დაუთმო ამხანაგების დაეინებულ თხოვნას და მივიდა საღამოზე. მოგონებებით გამოვიდა მე და კიდევ რამდენიმე ამხანაგი. ნარიშკინოვი მოვიყვინა, მადლობა გადავვიხადე და მთავრად სიტყვა წარმოთქვა, რომელშიაც მოგვიწოდებდნენ მჭიდროდ შევუერთდეთ კომუნისტური პარტიის გარემო, გვე-

ვლო ლენინური გზით. მან თქვა: „აღმოსავლეთის ხალხებისთვის არ არის სხვა გზა, გარდა კომუნისტისა, მხოლოდ ეს გზა გადაარჩენს მათ სიღარიბისაგან, მონობისაგან, დაეხმარება ნათელი მომავლის აშენებაში“.

ნ. ნარიშკინოვი სახელმწიფო საქმიანობასა და მწერლობას უთავსებდა აგრეთვე პატრიოტიზმის, პუბლიცისტიკას. მისი შესანიშნავი შრომები „ლენინი და აღმოსავლეთი“, „ერთი წელი ლენინი“, „მეცნიერული კომუნისტის განცხადება გზები“, „იროვნული საკითხი“ და სხვა მარქსისტულ-ლენინური მიმდევრების პროპაგანდის მაღალი ნიმუშებია.

1925 წლის 19 მარტს ნ. ნარიშკინოვი სსრკ ცაკ-ის თავმჯდომარის პოსტზე გარდაიცვალა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისგან მიძღვნილ გვირგვინზე ეწერა: „აღმოსავლეთის ხალხების რევოლუციურ ბელადსა და იმპერიალიზმით დამონებულთა სრული განთავისუფლებისთვის მებრძოლს“.

ნ. ნარიშკინოვი ატარებდა მსოფლიო, წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან. საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, ქართველი და კავკასიის ხალხების, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა, ახლო მეგობრის ნათელი სახე მარად იცოცხლება.

სომხური დრამები

მუშათა უხეხუმი

ვაჰან ოვანესიანი

დიდი მძებრის რევოლუციამდე თბილისში სცენის-მოყვარეთა ძალეობითა და მსახიობთა მონაწილეობით სპექტაკლები იმართებოდა ავსტლის აუდიტორიაში, მერაჰის არაქსიანის სახელობის თეატრში და ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახელობის თეატრში.

სპექტაკლებში მონაწილეობისათვის სცენისმოყვარენი არავითარ გასამრჯელოს არ ღებობდნენ, ბილეთები ძალზე იაფი ღირდა და ხალხიც სიამოვნებით ესწრებოდა.

ეს მუშათა კიდევ უფრო განმტკიცდა და ახალი ღონისძიებები დაიწახა 1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

მ წლებში თბილისში მოქმედებდა ათამდე სომხური დრამა, რომლებშიც გაერთიანებული იყო 200-მდე სცენისმოყვარე. ამ წრეებს შორის თვალსაჩინო მუშაობას ეწეოდნენ მტკავაძე, მშენებელთა, ასთომწიფობთა, გემო-კვების პროფკავშირის ხელისაწინა კლუბისა და ტრამაიის მუშათა დრამატული წრეები.

დრამურებს მრავალფეროვანი და მდიდარი რეპერ-

ტუარი ჰქონდათ. იდგებოდა ვ. სუნდუიანის „პეპო“, „დაქვეყლი ოჯახი“, „საღამოს ერთი ცხერი ხვირია“, „სოკარ პეტროვიჩი ჯოჯოხეთში“, ალ. შირვანზადეს „ნამუსი“, „პატრიონებისათვის“, „აგი სული“, „მორგანის მძახალი“, ვ. ფაფაზიანის „კლდე“ და სხვა პიესები.

განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა მსურებლებში შირვანზადეს პიესას „მორგანის მძახალი“.

ამ პიესის გასცენიურებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მუშათა სცენის გულშემატკივარს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტ ვაჰან გალსტიანს. პიესა დაიდგა მშენებელთა სომხური დრამურის ძალეობით.

პრესა დადებითად გამოეხატა ამ დადგმას: „როდუბის შემსრულებლები თითქმის იგივე მუშები იყვნენ, რომლებიც მონაწილეობას ეღებობდნენ ზემოთ ჩამოთვლილ პიესებში. წარმოდგენამ მშენებელთა ჩაიარა, სცენისმოყვარე მუშებს კარგი და მოხდენილი თამაში ხელი შეუწვეს პიესის წარმატებას. აშკარად ეტყობოდა, რომ ხელმძღვანელს, რეჟისორ ვ. გალსტიანს დიდი შრომა გაუწევია პიესის სათანადო მომზადებაში“ („პროლეტარი“, 1929 წ., № 70).

მუშები და მოსამსახურეები სიამოვნებით სწირავდნენ თავიანთ დასვენების საათებს სცენას, ენთუზიაზმითა და სიხარულით ატარებდნენ რეპეტიციებს და ამით იღებდნენ სულიერ და მორალურ კმაყოფილებას. მაყურებელი დიდი ინტერესით ელოდა და ესწრებოდა ყოველ ახალ დადგმას. ეს ზრდიდა სცენისმოყვარეთა პასუხისმგებლობას.

ვ. გალსტიანი იყო თბილისში სომხური დრამურების ერთ-ერთი ფუნდამენტული და ორგანიზატორი. მისი უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა თბილისის ზუბალაშვილის სახლის სომხური დრამატული, რომელსაც უსას-



საქართველოს სსრ კვების მრეწველობის
თბილისის სომხური დრამატული წრე
1925 წელს.

ყიდილოდ ხელმძღვანელობდა კიდევ იგი ოცი წლის განმავლობაში. ვაჰანი მარტო რეჟისორი კი არ იყო, საჭიროების შემთხვევაში სპექტაკლში საპასუხისმგებლო როლებსაც ასრულებდა.

1922 წელს ვ. გალსტიანის ხელმძღვანელობით მეტყავეთა პროფკავშირის დრამწრემ დადგა ვ. ფაფაზიანის „კლდე“. აი, რას წერდა გაზეთი „კარმირ ასტი“ („წითელი ვარსკვლავი“) ამ დადგმაზე: „...მრეწველია — რეჟისორის თანამდებობაზე ვ. გალსტიანი, რომლის მიერ შედგენილ წრეში მეტწილად მუშები არიან, მისი წყალობით და უანგარო მოღვაწეობით, წრის მუშაობა ნაყოფიერია“.

თბილისში მოქმედი სომხური დრამწრეების ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მნაცკან მარუთიანი. იგი ჯერ კიდევ მოწაფეობის დროიდან ეტრფოდა თეატრს, უნახავად არ ტოვებდა არც ერთ სპექტაკლს. 1914 წლიდან კი, როგორც სცენის-მოყვარე, მონაწილეობდა თბილისის ზუბალაშვილის სახლში გამართულ სპექტაკლებში, ასრულებდა წამყვან როლებს. მ. მარუთიანი 15 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა მეტყავეთა სომხურ დრამწრეს, სადაც დიდი მუშაობა ჩატარა თეატრთან მუშების დასახლოვებად. პრესაში აარაერთხელ დაწერილა მარუთიანის უანგარო მოღვაწეობაზე. დრამატული წრე არც მოსწავლეებს იყიწყებდა და მათთვისაც სისტემატურად მართავდა წარმოდგენებს.

მეტყავეთა დრამწრის ერთ-ერთი გულშემატკივარი და მონაწილე იყო საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და დრამატურგი სურენ ავჩიანი. ის მუდამ ქმარებოდა დრამწრის წევრებს, სისტემატურად ათვისებდა რეჟისონების გაზეთებში მათი დადგმების შესახებ.

თბილისის მუშათა ცენტრალური კლუბის სომხური დრამწრის მუშაობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სომხეთის სახალხო არტისტი ამო ხარაზიანს. მან დადგა პიესები: „მეფე“, „ყვითელი გვეო“, „არაზანა“, „კატასტროფა“ და სხვ. ეს დრამწრე, გარდა ცენტრალური კლუბისა, სპექტაკლებს მართავდა აგრეთვე ქალაქის სხვა კლუბებშიც.

თბილისის ხელოსანთა კლუბის სომხური დრამწრის კულტურულ მუშაობას წარმართავდა სომხეთის დამსახურებული არტისტი არამ ხოსროვი. დრამწრე ხელოსნებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ამიტომ იყო, რომ მის სპექტაკლებს მაყურებელი არ ეყოფოდა.

არამ ხოსროვი წლების მანძილზე მუშაობდა კახეთში, ქალაქ თელავში, პროფკავშირების კლუბთან არსებული თეატრის რეჟისორად. ამ თეატრში მუშაობდნენ განთქმული არტისტი ქალი ანა მარქარიანი, მიშა ხერხელიძე, გარეჯინ ტერ-აზოთინიანი, ოვანეს დავითიანი და სხვები.

მუშებს შორის დიდ კულტურულ მუშაობას ეწეოდა გემო-კვების პროფკავშირის სომხური დრამწრე. ის ემსახურებოდა ლუდ-ლიმონათის, პურის ქარხნების, თამბაქო-პაპირისის, ტკბილეულისა და სხვა ფაბრიკების მუშა-მოსამსახურეებს.

ერთხანს დრამწრეს თავისი კლუბი და თეატრი არა ჰქონდა, ამიტომ იძულებული იყო ქალაქის სხვა თეატრებში ჩაეტარებინა სპექტაკლები. აქვე მეტწილად გ. სუნდუკიანისა და ა. შირვანზადეს პიესები იდგმებოდა.

ამ დრამწრის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ძველი თეატრალი გვეორქ (გიქო) სარიანი (მაგ. პეპო — „პეპო“, ელიზბაროვი — „პატისონებისათვის“ და სხვ.). მაყურებელი გ. სარიანის გამოსვლას სცენაზე ყოველთვის აღფრთოვანებით ხვდებოდა. პროფკავშირები ყოველმხრივ ემხარებოდნენ დრამწრეს.

ამ სტრუქტურის ავტორს, სხვედნა ერთად, თავისი წვლილი მიუძღვის გემო-კვების მუშაკთა პროფკავშირის სომხური დრამწრის ჩამოყალიბებაში.

ოციან და ოცდაათიან წლებში თბილისის სახელმწიფო სომხური დრამის თეატრიც გამოდიოდა მეტყავეთა, მშენებელთა, ასოთამყვანთა, ტრამვაის მუშათა და სხვათა კლუბებში.

თეატრის მოყვარულნი ყოველთვის სულიერად გამყოფილი და აღფრთოვანებული ტოვებდნენ ამ მსახიობების მონაწილეობით გამართულ სპექტაკლებს.

„კლდის ვეფხვი“ — როგორც მას შეარქვეს, სპორტულ კოსტუმშია. მიიხსნეული დაუძაბავია, თავისუფალი. რაც ძალზე დამახასიათებელი იყო მიხეილისათვის. იგი არ ყოფილა პოზიორი და გამოირჩეოდა თავისუფალი განწყობილებითა და უბრალოებით.

პორტრეტის ფონი მოცისფრო-მოვერცხლისფროა. ყველაფერი ტილოზე სიცივის ასოციაციას ქმნის. სპორტსმენი გარემოცულია ყინულის ლოლუებისგან ნამსხვრევებით. თვლისა და ყინულის გარემოცვაში მკვეთრადაა გამოკვეთილი მიხეილ ხერგიანის კუნთმაგარი სხეული. სახეზე მკაცრი გამომეტყველება აღბეჭდია, რომლის იქით იგრძნობა კეთილი ადამიანი, მისი დახვეწილი ინტელექტი, დიდი სულიერი სიმშვიდე და ძალა, თუმც მისი ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი სიცოცხლე მუდმივ ფათერაკებთან იყო გადაჯაჭვული და მათთან შერკინებაში ნაწრობითი.

საინტერესოა აღისონ ჯაფარიძის პორტრეტი. მის ხშირ, შეტეხილ წარბებზემ ნაღვერდლებივით ანთია დიდრონი, შავი თვალები. ერთი შეხედვით ვაჟკაცს მრისხანე, მაგრამ სათნო იერსახე აქვს. შავი მოხდენილი უღვაწები და ტალღებად დაყრილი თმები, ნაცრისფერი ჩოხა ემსხა და იერს მატებს ვაჟკაცს. ამ პორტრეტის ფონზე ჩაუქად განაწყობს მნახველს. შორეულ იისფერ ნისლში მრავალი საუკუნის მომწურე, სათოფურჩალამებული კოშკები ჩანს. სურათს რომანტიკული ელფერი დაპკრავს და მნახველსაც ასვევ განაწყობს.

ყურადღებას იპყრობს სვანეთის პეიზაჟებიც, რომლებიც ძირითადად სალათისფერ კოლორიტშია გადაწყვეტილი.

თითქმის ყველა პეიზაჟში ფონად თეთნულდის, უშბისა და შხარას მწვერვალთა კეცილები მოჩანს. ბევრ პეიზაჟში მხატვარს ფონად აუღია იქაური ნათესების მოზაიკური კვადრატები. სვანური პეიზაჟების ნაწილი გამოხატავს კონტრასტს ძველებურ მარუბებსა და თანამედროვე ორსართულიან კოტეჯებს შორის.

ციალა კანდელაკმა შექმნა ქართველ მეცნიერთა პორტრეტების მთელი გალერეა: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ალექსანდრე ვაჩიშვილის პორტრეტში აქცენტრებულია მეცნიერის მტკიცე ხასიათი, ნებისყოფა, სიღრმისიულ და სიდიდრე.

პროფ. იასე ცინცაძის პორტრეტი ყურადღებას იპყრობს კომპოზიციური ჩანაფიქრით: ნახევრად მოტრიალებული ტორსი, ერუდირებული ადამიანის რბილი გამოხედვა; თითქმის ტრიბუნაზეა პროფესორი და წარმოთქმულ ფრანს ჩაპკვირებშია.

საინტერესო კომპოზიციური გადაწყვეტა მოუძენა ციალამ ექიმ ფსიქიატრის, მიხეილ მეგელაძის პორტრეტს. ექიმი სავარძელში ზის, ხელები სახელურზეზე დაუწყვია, მისი მოდუნებული სხეული, ჩაღრმავებული თვალებლები გადმოსცემს ექიმის დაღლილობას. პორტრეტი მხატვრის თავისუფალ და გაბედულ ხელწერაზე მეტყველებს. იგი კარგად გადმოსცემს სახის ნაკეთებს, კარგად ამჩნევს განუმეორებელსა და ინდივიდუალურ ხასიათს: დაღარული ლოყები, ოდნავ წინ წამოხრილი თავი, ასაკი.

მ ხ ა ტ მ ა რ ი, კ ე დ ა ბ ო ბ ი

კოტე მესხი

ასპლპზრდს მხატვრის სადიპლომო ნამუშევარი ყველამ ერთხმად მიიწონა. ფუნჯი და ცხოვრების საგზური დაულოცეს.

„ქართველი მადონა“ — ასე „მონათლა“ ციალა კანდელაკის პირველი ფერწერული ტილო ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა გიორგი ჩუბინაშვილმა. ციალას მასწავლებელმა — სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ თავის მოწაფეს შრომისა და ხალხისადმი სიყვარული შეაუნერგა.

ადამიანისადმი დიდი სიყვარული ლეიტმოტივად გასდევს მხატვრის შემოქმედებით ბიოგრაფიასა და მის მხატვრულ ნააზრევს. ციალა კანდელაკი ღრმად იჭრება ადამიანის შინაგან სამყაროში და ოსტატურად გადმოსცემს ტილოზე მის ბუნებას, გრძნობებს. ამ მხრზე ალანიაშავია მიხეილ ხერგიანის პორტრეტი, რომელიც 1966 წელს დაწერა. პორტრეტი დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მესტიელები ამაყოფენ ამით, პორტრეტი დაწერილია გაბედული, ფართო მონასმებით. იგი მოცისფრო ტონებშია გადაწყვეტილი, როგორსაც იძლევა კაშკაშა მზის სხივებზე ყინულოვანი მწვერვალების ანარკელი.



მ. კანდელაკი

მანანას პორტრეტი

პიროვნების დიდებუებოვნება, მისი მაღალი ინტელექტი შეიგრძნობა ექიმ პიმენ ყურაშვილის პორტრეტში. მას მონაცრისფრო პიჯაკი აცვია, რომლის შიგნიდან ქათკათა პერანგი ჩანს. სათვალის შუშების ელვარება და ჭალარა თმა სურათზე ღია ცისფერ გამას ქმნის.

მ. კანდელაკი



სოფელ სიმონეთის ხედი

ციალა კანდელაკი გატაცებითა და საქმის სიყვარულით წარმოგიდგენს მეცნიერ ქალთა სახეებს.

მეცნიერებათა დოქტორი რუსუდან ბულუსაშვილი ღია სალათისფერ სამოსშია წარმოდგენილი. ამავე ფერის თვალებზე აღბეჭდილია ქალური კდემამოსილება. მოცისფრო ფონზე თავჩაკიდებული, ნაწი წითელი მიხაკებია მობნეული, რაც კიდევ უფრო მიმზიდველსა ხდის პორტრეტს და აძლიერებს საერთო შთაბეჭდილებას. ექიმი ქალის თილი, გრძელი თითები ერთგვარად ხაზს უსვამენ მის პროფესიას. ოდნავ შემობრუნებული თავი, სიკვლეუცხა და სინაუს მატებს მას.

მანანა ჩიქოვანის პორტრეტს მხატვარმა „სვედა“ უწოდა. აქ დომინირებს შავი ტონები, გაბედული მონასმები. დამაჯერებლადაა გადმოცემული შავი სამოსის ფაქტურა. მნახველს დიდხანს ამახსოვრდება ქალიშვილის ცრემლებმომღვარი, სვედიანი თვალები, ციმციმი, მინორული განწყობილების გამაძლიერებელი ტუჩები, მაგრამ სვედა გარდამავალია, სწორედ ეს იგრძნობა ახალგაზრდა ქალის გამოსხვედაში.

ეტიუდებიდან აღსანიშნავია ღია მარაბლის პორტრეტი. ძალზე თავისებური, ნუშის მოყვანილობის თვალები ციალებს. აქაც, მხატვრის საყვარელი ვერცხლისფერი ტონები ჭარბობს.

ბავშვური გულწვილობა, დიდი, თეთრი ბაფთების ელფერით განათებული სახე ოსტატურად აქვს გადმოცემული მხატვარს გოგონა მაია გერასიმოვას ერთ სეანსში დაწერილ პორტრეტში. სასიათის გამოკვეთით გამოირჩევა ლოლა ჯაფარიძის პორტრეტი, სადაც შინდისფერი მართა განწყობილების დამხვეწვ დეტალად გვევლინება.

საინტერესოდაა დაწერილი ბავშვების — ოქროსკულულებიანი მანანა კლდიაშვილისა და მარინა უზუნოვას სახეები. მათი ეშმაკური ღიმილი, მოვარდისფრო ლოყები და



მ. კანდელაკი
სოფელი გარეყულა

ბროწეულისფერი ტურები ამ ბავშვებისადმი სიმპათიით აღავსებს მნახველებს.

მოცგავავე ლილიანა მითათვილის პორტრეტი პაერო-განი ტონების მონაცვლეობით არის დაწერილი. აქ აქცენტირებულია მისი არტისტიზმი.

ხასიათის გამოკვეთის უნარი იგრძნობა ძმების ვასიკო და გივი ქობულიების პორტრეტებში. ერთი თითქოს ამაყი და მიუდგომელია, მეორე კი წყნარი ბიჭუნაა. პორტრეტულ მსგავსებას თან სდევს ხასიათის კონტრასტულობა.

მხატვრის შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პეიზაჟებს.

პილიგრიმის ზურგანითი მოიარა იმერეთი ცილა კანდელაკმა. მხატვრის საეტიუდო პალიტრა და ფუნჯების კრებული იყო მისი თანამგზავრი. დავით კლდიაშვილის სამშობლოში, სოფ. სიმონეთში მან ბუნების ფონზე ოთარ, ბიძინა და ამირან კლდიაშვილების ფერწერული პორტრეტები შექმნა. მის პეიზაჟებში აისახა დავით კლდიაშვილის მშობლიური ადგილები: სიმონეთის შემოგარენი, შორეული სატოვანი ხედები, მთის ფერდობებზე მიმოზნეული წითელი კრამიტით დასხურული სახლები, ძელებების ტყე-რები, დავით კლდიაშვილის სახლ-მუხეუმის საერთო ხედი. სახელოვანი მწერლის ეზოში დგას გადატეხილი ძელები, რომლიც ტანი ამონაყარი ნორჩი ტოტებით კვლავ ამაყად გააჭურვებს მიდამოს, მისი ფესვები მძლავრად ჩასტილებია მიწას. ეს სიმბოლური გააზრება მხატვრისა, თვით დავითის შემოქმედებაც ზომიერმა ფესვებითაა ხალხში ჩამდგარი და ფესვებდონიერი ძელებსაგან განსხვავდება სიცოცხლისაგან. ამ ძელებსთან ატარება თავისუფალ წუთებს შემოქმედებითი აზრებით დატვირთული დავით კლდიაშვილი.

იმერეთის სოფელი, ტყეებში მიხვეულ-მოხვეული გზები და მიჭყელი ბილიკები, სიმწვანეში ჩაბურული ეზოე-

ბი, გაშლილი კაკლის ხეები, ხავერდოვანი კორდები, მოლურჯო ქედები, მკლავებგადახვეული მხედრებივით რომ მოჩანან. ასეთია მხატვრის პეიზაჟების ძირითადი თემა, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ თავიანთი შესრულების სრულყოფით, მზის სინათლის სიჭარბით, პალიტრის სიმდიდრითა და ეშხით.

ცილა კანდელაკი ძალზედ მნიშვნელოვან პედაგოგიურ მუშაობასაც ეწევა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, სატვისა და ფერწერის კაბინეტში, რომლის ხელმძღვანელი დაარსების დღიდან იყო ამჟამად საქართველოს უხუცესი მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი გრიგოლ პარტენის ძე მესხი. აქ სწავლობდნენ ახლა უკვე კარგად ცნობილი მხატვრები: გოგი თოთბაძე, რენო თურქია, გურამ გელოვანი, გივი მაისურაძე, თეონა ასიტაშვილი და სხვები. 1958 წლიდან კაბინეტს ხელმძღვანელობს ცილა კანდელაკი. ამ კაბინეტში აღზრდილი ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა დღეს თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტია: აკაკი გოქსაძე, ოთარ ბერანიძე, თამაზ გვეგუკური, ლიზა ოგანეზოვა, აეთო პოპიაშვილი, ამირან ელბაქიძე, შოთა შოთაძე და სხვები.

მხატვრის შემოქმედებით ბიოგრაფიას ამდიდრებს და უფრო ნაყოფიერს ხდის მისი ჟურნალისტური საქმიანობა. იგი წერს ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საკითხებზე. მის კალამს ეკუთვნის ბროშურა „ბავშვთა ესთეტიკური აღზრდისათვის“. სტატიები „შეფასვართ ბავშვებს ფერწერა“, „ესთეტიკური აღზრდის ზოგიერთი საკითხი“ და სხვ.

სასურველი იქნებოდა გვენასა ამ საინტერესო მხატვრის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა.

კვლავ „მეხურისა“ და „მეხელის“ შესახებ

ლალი ჯღამაია

ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიამ შემოგვიანხა მთელი წყება საინტერესო ტერმინებისა, რომელთა სწორ განზრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ქართული ნათარგმნი თუ ორიგინალური ჰიმნოგრაფიისათვის, არამედ თვით ბერძნული სასულიერო პოეზიის შესწავლისათვის. ამ რიგშია ტერმინი „მეხური“, რომელსაც თითქმის ოთხმოცი წელია იკვლევენ. მკვლევართა ერთი ჯგუფი (მ. ჯანაშვილი, ნ. მარი, გ. ჟორდანიას), „მეხურში“ ეთნიკურ ტერმინს ხედავს, მეორე ჯგუფი (პ. კარბლაშვილი, კ. გეგელიძე, ე. თიბო, ო. ჩიჯავაძე, ე. მეტრეველი) მას მუსიკალურ ტერმინად მიიჩნევს. ეს უკანასკნელი თვალსაზრისი განამტკიცა ბოლო დროს გამოქვეყნებულმა ორმა ანდერძმა X I საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწის გიორგი მთაწმიდელისა, რომელიც ერთის მის მიერ რედაქტირებული „თვენი“ ჩვენს დრომდე მოღწეულ ნუსხებში.¹

დღეს კვლავ ვეხებით ამ ტერმინის — „მეხურისა“ და მასთან დაკავშირებული „მეხურის“ მნიშვნელობას, რაც გამოიწვია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ვ. გვასარიას წერილმა „მეხურისა“ და „მეხურელის“ მიმართება ქართული საგალობლებისადმი“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1970, № 1).

რომ უფრო ნათელი გახდეს ვ. გვასარიას წერილში წამოყენებული თვალსაზრისის უსაფუძვლობა, მკითხველს გაეცნოთ საკითხის ისტორიას.

ტერმინი „მეხური“ X საუკუნიდანაა დადასტურებული. ის რამდენჯერმეა მოხსენიებული მიქაელ მიდრეკილის ცნობილ იადგარში (ხელნაწ. ინსტ. S 425). პირველად ეს ტერმინი მიქაელის იადგარში გვხვდება იმ ნაწილის შემდეგ, რომელსაც „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“

ეწოდება: „...მე, გლასამან მიქაელ მიდრეკილმან... ფრიადითა ხარკებითა და გულსმოდგინე ძიებითა შეგვირბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვნენ ენითა ქართველთაათა მ ე ხ უ რ ნ ი, ბერძნულნი და ქართულნი და სრულნი ყოვლითა განგებითა დავწერენ წმიდასა ამას შინა წიგნსა ყოვლითა განმარტებითა და ჭეშმარიტებითა“ (24 რ).

მეორეჯერ, აღდგომის საგალობლების ბოლოს: „...მე, მიქაელ მიდრეკილმან ვილუაწე და უხეშთაეს უძღურისა ძალისა ჩემისა შრომათა ვაწუხე და შეგვირბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოვნენ ენითა ქართველთაათა მ ე ხ უ რ ნ ი ბერძნულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა წესისაბერ საკელესიოსას“ (262 V).

ძლისპირებთან დაკავშირებით ერთგან ხელნაწერის კიდევ გაკეთებულია შენიშვნა: „საყუარელნი, უკეთუ ერთსა ძლისპირსა ხედა რომელიმე ცილო ერთი ორგვარად იყოს აღნიშნულ, ნუ უცხო გინ, ნუცა ურთიერთას წინა აღმდგომ, რამეთუ რომელიმე მრავლისა ძლისპირისა ერთი ცილო ორგვარად არს მ ე ხ უ რ ა დ, ხლო შენ რომელი გინებს, ბრძანე, რამეთუ ორივე ჭეშმარიტ არს“ (27 რ).

იმავე კრებულში საგალობლის ტექსტთან ორჯერ გვხვდება „მეხური“:

1. შობის საგალობლთან. სხუანი (გალობანი) გერნი „მეხურნი“.

2. ნათლისღების საგალობლთან. სხუანი „მეხურნი“. მიქაელ მიდრეკილის გარდა, „მეხური იადგარი“, რომელსა შიგან განგება საწელიწადო სწერია“, ნახსენებია იმ წიგნთა შორის, რომელიც 1020-40-იანი წლების ანდერ-

ძის მიხედვით მელქისედეკ კათალიკოსმა მოიპოვა მცხეთის ტაძრისათვის.²

და ბოლოს, გიორგი მთაწმინდელის რედაქციის თავისი XII საუკუნის სინურ ნუსხაში (Sin. 2) იხსენიება „მეხური“: (წოხებრისა იხ), გალობანი წმიდისა გრიგოლის იხნი და წმიდისა ბასილიხნი მეხურნი. ხელწავრის კიდევუ, უგალობითისას³ გასწერვი კი აღნიშნულთა საგალობლის ავტორი „იოანე დამასკელი“.

მ. ჯანაშვილი, რომელმაც პირველმა მიაქცია ამ სიტყვა ყურადღებას, ფიქრობდა, რომ „მეხური“ მიქაელ მოდრეკელის ზემოთ მოტანილ ანდერძში სომხურის ნაცვალთა იხსნება. „მეხური“ ნაწარმოებია სომხური სიტყვიდან „იხა“, რომელიც ქართულში კანონწმიდრად „ხაჲსა“ გვაძლევს. აქედან მივიღეთ მეხაჲ — მეხური, რომელიც შემოკლებული სახეობაა სომხურისა.³ „მეხური“ რომ სომხურს ნიშნავს, ამას მ. ჯანაშვილის აზრით, ისევ უჭერს მხარს, რომ მიქაელ მოდრეკელის იადგარში აქ-იქ გვხვდებოდა სომხური სიტყვები და წინადადებები.⁴

მ. მარი „მეხურში“ „მესხურს“ ხედავს.⁵ თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ მიქაელ მოდრეკელის იადგარში „...მეხური უნთბრედა ნივთი მნიშვნის მუსიკალური ტერმინა, названия особого церковного лада“.⁶ „მეხური“ უდრის „მესხურს“ — იგივე აზრი მ. მარმა გაითვალა 1912 წელს რევენზიაში კ. კეკელიძის შრომაზე «Иерусалимский канонарь».

მაგრამ იმავე 1912 წელს შრომაში „История термина абхаз“, მ. მარმა შეიყვალა შეხედულება „მეხურის“ მნიშვნელობის შესახებ. მან „მეხური“, მ. ჯანაშვილის მსგავსად, სომხურს დაუკავშირა. „от „მეხი“ образовано прилагательное «мехური», которое в качестве церковного термина в применении к песнопению, противоположаемому грузинскому и греческому, давно следовало бы понимать в значении армянского“.⁷

1912 წელსვე მ. მარმა „მეხურში“ კვლავ სონ-მესხებს დაუყოფიბა.⁸

1956 წელს გამოსულ ნაშრომში „მეხურელი“ გ. ჯორდანიამ „მეხური“ ისევ ეთნიკურ ტერმინად მიიჩნია. მაგრამ ავტორის თვალსაზრისით, „მეხური“ ხურიტების სახელწოდებიდან მომდინარეობს და გულისხმობს ხურიტულ კომპებს ან გადატანით, ხური დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელია, ან დადენად, „მეხური“ X საუკუნეში შესაძლებელია ნიშნავდეს არა ხურულს, ხურიტულს, არამედ დასავლურ ქართულს. ამგვარად, მისი შეხედულებით, მიქაელ მოდრეკელმა X საუკუნეში შეკრიბა ქართულ ენაზე არსებული საგალობლები ბერძნული, ქართული (აღმოსავლურ ქართული) და მეხურულ-ხურული, ანუ დასავლურ ქართული.⁹

აკად. კ. კეკელიძემ ნათვალს „მეხურის“ ეთნიკურ ტერმინად მიიჩნევს უსაფუძვლოა:

1. „მეხური“ არ შეიძლება „მესხურს“ გულისხმობდეს, რადგან ქართველებისა და მესხების (იგივე ქართველების) ლიტურგიულად დაპირისპირება ყოველ ქართველდგენელთა შიშინ, რომელსაც „ქართლად ფირადი ქვეყანაა აღირაცხვის, რომელსაცა შინა ქართულთა ენითა ვამი შევიწირვის და ლოცვაა ყოველი აღებრულების“.

2. „მეხური“ არც ხურიტულს გულისხმობს, რადგან შეუძლებელია მიქაელ მოდრეკელის მეათე საუკუნის გასულ შედგროვებინა მეორე ათასწლეულში ცნობილ ხურიტების საგალობლები. „მეხური“ არც დასავლურ ქართულის აღნიშვნელია, რადგან ასევე წარმოუდგენელია აღმოსავლურ ქართული საგალობლების დაპირისპირება დასავლურ ქართულთან.

3. და ბოლოს, VIII საუკუნიდან მოყოლებული ქარ-

თულ-სომხური სარწმუნოებრივი ურთიერთობის ფონზე შეუმღებელი X საუკუნეში მიქაელ მოდრეკელს თავი მოეყარა ქართულ ენაზე არსებული სომხური საგალობლები-სათვის.¹⁰

„მეხურის“ სომხურად გაგებას არც ის სომხური მინაწერები უჭერს მხარს, რომელიც მიქაელ მოდრეკელის საგალობელთა კრებულში წარმოგვიდგინა — სულ 29. როგორც პროფ. ილ. აბულაძემ გარკვევა.¹¹ ამ სომხურ მინაწერებს რაიმე უშუალო კავშირი არა აქვთ საგალობლის ტექსტთან. მიქაელ მოდრეკელის კრებულში სომხური მინაწერები შესაბამისი ქართული სტრიქონების ბოლო სიტყვების სომხურ თარგმანს წარმოადგენს. ისინი შესრულებული უნდა იყოს ქართველის მიერვე, რომელსაც სუსტად ცოდნია სომხური. სომხურ მინაწერებს ქართული ენის გავლენა ეტყობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკვლევართა გარკვეული ჯგუფი „მეხურს“ მუსიკალურ ტერმინად მიიჩნევს. ამ მხიშვნელობით პირველად კ. კარბელაშვილმა მიაქცია „მეხურს“ ყურადღება. იგი „მეხურს“ ისეთ მუსიკალურ ტერმინად თვლიდა, რომელიც აღნიშნავს ორნაირ კილოზე სათქმელ საგალობლებს.¹²

აკად. კ. კეკელიძის შეხედულებით „მეხური“ მიქაელ მოდრეკელის ცნობილ ანდერძში (ვპოვებ საგალობელნი მეხურნი ბერძნულნი და ქართულნი) მუსიკალური ტერმინია და აღნიშნავს გალობით შესასრულებელ საგალობლებს: «Мы принимаем данное слово как музыкальный термин, но не в смысле лада или напева, а в смысле показателя вообще на певческое исполнение».¹³

ბიზანტიური მუსიკის მკვლევარ ქ. თიბოს თვალსაზრისით „მეხური“ მხოლოდ ხორცირებულ საგალობლს უნდა აღნიშნავდეს.¹⁴

1956 წელს მუსიკათმცოდნე ო. ჩიჯავაძემ „მეხურის“ მუსიკალურ ტერმინად გაგებასთან დაკავშირებით გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ძღისპირის „ერთ კილოთა ორგვარად არს მეხურად“ გულისხმობს საგალობლის ორნაირ ხმას: ძირითადი (მუხურები) და მორთულთა (украшения). საგალობლებში ასეთი ორი ხმის არსებობა ვიკალურ შესრულებასთან არის დაკავშირებული. თავის მხრივ, ეს გარემოება (საგალობლებში ორნაირ ხმის არსებობა) მიემატება „მეხურთან“.¹⁵

„მეხურის“ მუსიკალურ ტერმინად გაგების თვალსაზრისით საყვებით დაადსტურებს X საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის ორმა ანდერძმა, რომლებიც ერთთვის მისივე რედაქციის ივნისისა (Jer. 98) და სექტემბრის (Jer. 110) „თვესს“. ორივე „თვენი“ აღწერილი აქვს რ. ბლიცს, მაგრამ აღწერილობათა ანდერძები გატანალი არ არის.¹⁶ ისინი გიორგი მთაწმინდელის „თვენიზე“ მუშაობის პროცესში გამოვლინდა.¹⁷

ორივე ანდერძში ვხვდებით აკად. კ. კეკელიძის მოსაზრებით დადასტურებას, რომ „მეხური“ მხით მთასრულებული საგალობლების აღმნიშვნელი მუსიკალური ტერმინია. აქედან გამომდინარე კი, ჩვენი თვალსაზრისით, „მეხელი“ გულისხმობდა იმ პირს, რომელიც ბერძნულად თარგმნიდა და ქმნიდა „მეხურს“ საგალობლებს.

„მეხურისა“ და „მეხელის“ კვლევა ამით არ დამთავრებულა. 1965 წელს გამოვიდა პროფ. ელ. მეტრეველის წერილი „მეხურისა“ და „მეხელის“ გაგებისათვის.¹⁸ წერილში ბიზანტიური კიმოზგარდის ფონზე განხილულია საკითხები მეხური ღმრთისმშობლისა წყაროს, მეხური იადგარის ჩამოყალიბების, მეხელთა კორპორაციის, მეხურთა მიერ საგალობლების ასლად თარგმნის შესახებ. ავტორი სრულად ახალ მომენტს უმატებს ამ ტერმინების გაგებას: „მეხელები“ ეწოდებოდათ პირველ პროფესიონალ მთარგმნელებს და ერთდროულად მებლობელ-მუსიკოსებს, რო-

